

უეფა გრანტებს არ მოგვაკლებს

A6



"თქვენი აფხაზეთი"

A8



„რე-აქცია“, „თავისუფალი თემა“

B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, 2005 წელი. №243 (1103)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## ამბები

### დაუსრულებელი სამუშაოები და წინასწარ გაწერილი თანხები

რამდენი ლარით განისაზღვრება დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი, გაურკვეველია, თუმცა რამდენი ლარი დაიხარჯება გზის საფარის აღდგენით სამუშაოებზე, უკვე ცნობილია. თბილისის მთავრობამ გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის 120 მილიონი ლარი ბიუჯეტის დამტკიცებამდე გამოყო.

A2

## ამბები

### „წითელი“ პასპორტი კვლავ ძალაშია

საქართველოს პრეზიდენტმა უკვე მეოთხედ გაუგრძელა ვადა ძველ, საბჭოურ პასპორტებს. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, "წითელი" პასპორტი ძალაში კიდევ 5 თვის განმავლობაში რჩება.

A2

## ამბები

### საქართველოს ელჩის რეზიდენცია უკრაინაში საარჩევნო დაპირისპირებას ეწირება?

23 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" 2 წლისთავზე, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოს ესტუმრება. თუმცა, ამ ვიზიტის შესახებ უკრაინული პრესა ჯერჯერობით არაფერს წერს. სამაგიეროდ, უკრაინულ მედია კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობს საქართველოსთვის მიყიდული უკრაინული საბრძოლო ქვეითთა მანქანებისა(ბმპ-2) და კიევში მშენებარე ქართველი დიპლომატების რეზიდენციის მშენებლობის სკანდალურ ისტორიებს, ერთიმეორის მიყოლებით რომ აგორდა სექტემბრის ბოლოს.

A3

## ამინდი

| | 2/11 | 3 /11 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 18 |
| ტყიბული | 18 | 18 |
| სოხუმი | 16 | 16 |
| დმანისი | 14 | 13 |
| გორი | 15 | 15 |
| ონი | 12 | 11 |
| ზუგდიდი | 18 | 19 |
| ახმეტა | 16 | 16 |
| გაგრა | 13 | 13 |
| სამტრედია | 20 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1777 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2083 |
| რუბლი | 0.0632 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| იურიდიული კონსულტაცია | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| რევიუ | B 2 |
| რეგიონი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# დაცული ტერიტორიის დაცლილი მდგომარეობა

ზაზა ფაჩუაშვილი



მოსახლეობით თუ ვიმსჯელებთ, თუშეთი აღარ არსებობს. მთები და ველები კი არის თვალის გასახარად, მაგრამ 54 ცარიელი სოფელი გულს უკლავს კაცს. თუმცა, ათასი ჯურის მომხდურს ახარებს კიდეც. მოდიან უცხოტომელები და თუშებისგან მიტოვებულ სახლებს და საქონლის სადგომებს ისაკუთრებენ. ჰოდა, თითქოს საკუთარ მთავრობასთან ჭიდილი არ კმაროდა, თუშებს ახლა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებთან უწევთ ომი ყოველ ზაფხულს, როცა გზა იხსნება და ბარიდან ისევ მშობლიურ მთაში ბრუნდებიან.

მთავრობა ვახსენეთ და ბარემ მოვუთავოთ ხელი – ტექნიკური პროგრესის საუკუნოვან ეპოქაში ერთი კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, გზის პრობლემას მოაგვარებდა და მთიან ქვეყანაში მთა-ბარს შუაში არ გაწყვეტდა.

გაგრძელება B3 გვერდზე

# ჩვენი გზა

## ხელისუფლების დისკრედიტაცია არ არის

მაია ჭალაგანიძე

*რევოლუციის შემდეგ ადამიანებს შეეცვალათ წარმოდგენა თავისუფლებასა და დემოკრატიაზე და ეს ცნებები მათთვის აბსტრაქტული აღარ იყო. თუმცა, რეალობა გაცილებით მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე თავისუფლებას ნაზიარევ წვიმაში გამოსულ ხალხს ეგონა. ეს განცდა დაეუფლათ უბრალო ადამიანებსაც და მათაც, ვისაც ისინი რევოლუციის ლიდერებს უწოდებდნენ. პოლიტიკოსებისთვის და თან გამოცდილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისთვის არც იმედგაცრუებაა უცხო ხილი და დიდად არც გზადაგზა თანამებრძოლთა დაკარგვა უკვირთ. სამწუხაროდ, რაც დრო გადის, უკეთ ჩანს, რომ ხელისუფლება საბჭოთა ბალასტისგან ბოლომდე არ გათავისუფლებულა და არც მაინცდამაინც იმედგაცრუებული მოსახლეობის დანახვაზე ეტირებათ. როგორც ყველა ხელისუფლება, ჩვენიც პოპულარობის დაკარგვას რეფორმების აგრესიულობას აბრალებს და არ იმჩნევს, რომ რეფორმებიც, დასჯაც, წახალისებაც და გამჭვირვალობაც*



*ვიბრძოლებთ იმ არჩევნებში, სადაც პოლიტიკურ სურათს შევცვლით.*

*ფრაგმენტულად, ალაგ-ალაგ ხდება და ზოგჯერ, ლოგიკას მოკლებულია. ლიბერალური ღირებულებების შექმნის გზაზე კი ზოგი ოპოზიცია ხელისუფლების შეცდომებზეა ჩასაფრებული და ზოგიც ბრძოლის სხვა, უფრო "ფხიზელი თვალის" გზას ირჩევს. ისე, ეს უკანასკნელი გაცილებით დაუფასებელი არჩევანია, ვიდრე "მაგარ-მაგარი" განცხადებები ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას, როგორც წესი, არც ხელისუფლება აფასებს და ხალხსაც მყვირალა პოლიტიკოსები ურჩევნია ჭკუადამჯდარ ანალიტიკოსებს. იღებს თუ არა ხელისუფლება ამგვარი ოპონენტების თამაშის წესებს, ამას "რესპუბლიკელი" თინა ხიდაშელისგან გავიგებთ, რომელიც ამ ბოლო დროს თვალს და ყურს კი მოაკლდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ პარტიულობის ჩარჩოებმა "მოთოკა". ის, უბრალოდ, საქართველოში არ იყო.*

გაგრძელება B1 გვერდზე

# ნუთუ აზერბაიჯანი შემდეგია?

ალექსანდრ მუზიკანტსკი
*მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო პოლიტიკის განყოფილების უფროსი*

აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რომელიც 6 ნოემბერს არის დაგეგმილი, სულ უფრო აქტუალური ხდება კითხვა, მოხდება თუ არა ამ ქვეყანაშიც "ფერადი რევოლუცია", ისეთი, როგორსაც საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ჰქონდა ადგილი. რასაკვირველია, მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება გამორიცხული არ არის, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი პერსპექტივა ბუნდოვანი რჩება.

გაგრძელება A4 გვერდზე



*აზერბაიჯანში "ფერადი რევოლუცია" გამორიცხული არ არის.*

## ქართულ-ოსური სიტყვიერი ჭიდილი

*სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც, კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრის და პრემიერის გარდა, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები შედიან, დაადგინა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის დარეგულირების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რეგიონის დემილიტარიზაციაა.*

ნინო გომართელი

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ ქართული მხარე არსებულ ვითარებასთან შეგუებას არ აპირებს და მიაჩნია - აუცილებელია რეგიონის დემილიტარიზაცია და იქ არსებული უკანონო სამხედრო ფორმირებებისა და შეიარაღებების გატანა. აღნიშნულ საკითხს თბილისი აუცილებლად დააყენებს 15-16 ნოემბერს, ლუბლიანაში დაგეგმილ შერეული სამშვიდობო კომისიის მორიგ სხდომაზე.

რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრის და არაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის შეხვედრას, ნოღაიდელის თქმით, თარიღი ჯერჯერობით უცნობია. მიზეზი კი არის ის, რომ ოსური მხარე სურვილს არ ამჟღავნებს, **"საქართველოს ხელისუფლებას სახვეწარი არავისთან არაფერი აქვს."** თუმცა, ფაქტია ისიც, რომ თუ ასეთი შეხვედრა გაიმართებოდა, ეს ხელს შეუწყობდა რეგიონში სამშვიდობო პროცესის და სტაბილურობის შენარჩუნებას და იქ რაიმე პროვოკაციების განხორციელების აღკვეთას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „მადნეული“ გაყიდულია

### რას სთავაზობს გამარჯვებული სახელმწიფოს?

*ერთკვირიანი "საპრივატიზაციო მარათონის" შემდეგ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს "მადნეულის" ახალი მფლობელი გუშინ დაასახელა. გამარჯვებული* Stanton Equities Corporation *საწარმოში 35 მილიონ 100 ათას დოლარს იხდის, მაშინ, როცა მისი კონკურენტი* Energy And Industry Complex *მზად იყო, "მადნეულში" 900 ათასი აშშ დოლარით მეტი, 36 მილიონ 126 აშშ დოლარი გადაეხადა. რატომ მიანიჭა უპირატესობა სამინისტრომ* Stanton Equities Corporation-*ს? რას სთავაზობდა გამარჯვებული კომპანია საქართველოს ხელისუფლებას და როგორ აფასებენ ექსპერტები* Stanton Equities Corporation *სატენდერო წინადადებას? - "24 საათი" გუშინ მთელი დღე ამ საკითხებს არკვევდა.*

ეთერ მამულაშვილი
დიანა ჩაჩუა

გასული ერთი კვირის განმავლობაში "მადნეულის" პრეტენდენტი კომპანიები ურთიერთსაპირისპირო განცხადებებს ავრცელებდნენ და ჟურნალისტებთან საუბრის დროს საკუთარი უპირატესობების შესახებ დიდხანს საუბრობდნენ.

მთავარი არგუმენტი, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ Stanton Equities Corporation-ს, შემოთავაზებული ფასი და უკეთესი წინადადებები იყო. მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძის განმარტებით, კონკურსში დამარცხებული Energy And Industry Complex "მადნეულის" და "კვარციტის" აქციებში და საწარმოს ვალების გასასტუმრებლად 40.6 მილიონ აშშ დოლარს იხდიდა, **"ხოლო Stanton Equities Corporation - 51.1 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც 35.1 მილიონი დოლარი აქციების ღირებულებაა, ხოლო 16 მილიონი დოლარი - საწარმოს ვალები, რომელსაც მომავალი მფლობელი გაისტუმრებს,"** - დასძინა ჩოგოვაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ომბუდსმენის ოფისი ოპოზიციური პარტია არ არის, რომ ყველაფერზე რადიკალური განცხადებები აკეთოს“

*ცოტა ხნის წინ სოზარ სუბარს ომბუდსმენის თანამდებობაზე ყოფნის ერთი წლისთავი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში სახალხო დამცველის მისამართით საზოგადოების მხრიდან კმაყოფილებაც გაისმოდა და კრიტიკაც. "ჩემი მიზანია შედეგის მიღწევა და არა მაქსიმალურად რადიკალური განცხადებების გაკეთება", - ამბობს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დანიშნული ომბუდსმენი. თუ რისი გაკეთება შეძლო სოზარ სუბარმა ამ ხნის განმავლობაში, მან "24 საათს" თავად ჩააბარა ანგარიში.*

თამარ კაციტაძე

- ერთი წლის მუშაობის ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი შედეგია ომბუდსმენის ოფისის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან რთული ყოფილა. ჩვენ, ფაქტობრივად, აბსოლუტურად ახალი ოფისის დაფუძნება მოგვიხდა. მართალია, ისევ დარჩა სამი დეპარტამენტი, მაგრამ - მნიშვნელოვნად განსხვავებული ფუნქციებით. ამასთან, შევქმენით რამდენიმე სამმართველო, რომლებიც უფრო კონკრეტული მიმართულებით მუშაობენ. მართლმსაჯულების სამმართველო პოლიციის, პროკურატურის, უშიშროების, ციხეების, სასამართლოს, ჯარის და ამ ტიპის სტრუქტურებზე ახდენს მონიტორინგს; მეორე - სოციალურ-ეკონომიკური სამმართველო, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ, შრომის, ბავშვთა უფლებებზე და ჯანმრთელობის პრობლემებზე მუშაობს. თავისუფლების და თანასწორობის სამმართველო სწავლობს სამოქალაქო-პოლიტიკურ, რელიგიის, სიტყვის, სექსუალური უმცირესობების უფლებებს. ადმინისტრაციული სამმართველო კი ზედამხედველობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ დარღვევებს.

სამწუხაროდ, მოგვიხდა რეგიონული ოფისების შემცირება. ადრე მოქმედი 6 რეგიონული ოფისი მთლიანად გრანტიდან ფინანსდებოდა. გრანტის დამთავრების გამო კი, იძულებულნი გავხდით, დაგვეტოვებინა ორი რეგიონული ოფისი დასავლეთ საქართველოში - ქუთაისსა და ზუგდიდში და ახალი წარმომადგენლობა გავხსენით ბათუმში. მომავალში თუ იქნება ბიუჯეტიდან დაფინანსება, გვინდა ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ფილიალების აღდგენა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ცვლილებები 2006 წლის ეროვნულ გამოცდებზე

ნაცვლად რაიონული ცენტრებისა სარეგისტრაციო პუნქტებისა, აბიტურიენტები რეგისტრაციას საკუთარ სკოლებში გაივლიან. იქვე შეავსებენ განაცხადის ფორმას.

მერე გადაეგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, სადაც ცენტრალიზებულად მოხდება მთელი საქართველოდან მიღებული მონაცემების დამუშავება და ბაზის შექმნა.

შემდეგ საგამოცდო ბარათის ნიმუშები კვლავ იგზავნება სკოლაში, რომ აბიტურიენტებმა კიდევ ერთხელ გადახედონ თავიანთ არჩევანს და სასურველი ცვლილებების შეტანის შემდგომ ხელმოწერით დაადასტურონ საბოლოო არჩევანი, რომლის შეცვლა აღარ მოხდება. საგამოცდო ბარათების ნიმუშები ბრუნდება ეროვნულ ცენტრში და ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ ხდება საგამოცდო ბარათების საბოლოო ვერსიების ამობეჭდვა.

ადმინისტრაციული პროცესის ამგვარი შეცვლა ამარტივებს რეგისტრაციის პროცესს, ცენტრალიზაცია კი მინიმუმამდე შეამცირებს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ასევე, აბიტურიენტთა განაწილების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტისთვის დამატებითი მექანიზმი იქმნება, აბიტურიენტსაც გაცილებით მეტი დრო რჩება საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად და თავდაპირველი არჩევანის გადახედვის საშუალება ეძლევა. **აბიტურიენტს შეუძლია არა 5, არამედ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 7 ფაკულტეტზე გააკეთოს განაცხადი**.

გამოცდის დამთავრების შემდეგ აპელაციის პროცესის დაწყებამდე ყველა აბიტურიენტი მიიღებს საგამოცდო ნამუშევრების ქსეროასლებს.

**რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს,** ტრადიციისამებრ, იქნება სავალდებულო გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებსა და უცხოურ ენაში. იქნება არჩევითი გამოცდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისტორია-საზოგადოებრივ მეცნიერებებში, მათემატიკასა და ლიტერატურაში.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო გამოცდის მიზანი ენობრივი კომპეტენციის შეფასებაა, თუმცა იგი სავალდებულო ლიტერატურული მასალის ცოდნასაც ამოწმებს. ტესტით მოწმდება მართლწერა, მართლმეტყველება, ლექსიკა და სტილისტიკა; მხატვრული ტექსტების გააზრების და ანალიზის უნარი; უცნობი პუბლიცისტური ან სამეცნიერო ტექსტის გააზრების უნარი; წერითი მეტყველების უნარი.

რაც სეეხება არჩევით გამოცდას ლიტერატურაში, ტესტის მიზანი ლიტერატურული ანალიზისა და წერითი მეტყველების უნარის შეფასებაა. ტესტით მოწმდება სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული მასალის ცოდნა და მიღებული ინფორმაციის გამოყენების, გაანალიზებისა და მხატვრული ტექსტების გააზრების უნარი; დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნება, უცნობი ტექსტის შესახებ კრიტიკულად, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი, მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების ანალიზის უნარი და წერის კულტურა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტი მოიცავს საკითხებს ფიზიკიდან, ქიმიიდან და ბიოლოგიიდან. ტესტში შევა ის საბაზისო მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად; ტესტი ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას და ამ ცოდნის გამოყენების უნარს ბუნების მოვლენების ასახსნელად; აბიტურიენტი საგამოცდო ტესტთან ერთად მიიღებს ცნობარს. მასში მოცემული იქნება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მან შეიძლება გამოიყენოს ტესტის დავალებებზე პასუხების გასაცემად.

საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებების ტესტი მოიცავს საკითხებს საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან; ზოგიერთ საკითხს სამოქალაქო განათლებიდან, მაგალითად: საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება; ტესტში შევა ის საბაზისო მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

გარდა სამი სავალდებულო საგნისა, ფაკულტეტებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი საგანი არჩევითი საგნებიდან, რომლის ჩაბარებაც სავალდებულო იქნება აბიტურიენტთათვის, რომლებიც ამ ფაკულტეტზე გააკეთებენ განაცხადს; ორი ალტერნატიული საგნიდან კი აბიტურიენტი თავად ამოირჩევს ერთ-ერთს, მეოთხე საგამოცდო საგანს.

**გრანტის მიღების წესი -** სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა ზოგადი უნარების გამოცდის შედეგის საფუძველზე. 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგადი უნარების ტესტირების შედეგები მაღალ კორელაციაშია საგნობრივ მიღწევებთან.

სახელმწიფო გრანტი არ გაიცემა, თუ აბიტურიენტი ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ან არ გამოცხადდება მის მიერ არჩეულ რომელიმე გამოცდაზე.

ვისაც აქვს სურვილი, გამოიყენოს 2005 წელს მიღებული ქულები, ეს შესაძლებელია ყველა საგანში, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო გამოცდას ყველა ერთნაირი პროგრამით აბარებს, განურჩევლად ეროვნებისა და მიუხედავად იმისა, ფაკულტეტი რუსულენოვანია თუ ქართულენოვანი.

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია ტელეკომპანია "თანამგზავრში" შევიდა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გუშინ ხმაური იყო თელავის რაიონულ ტელეკომპანია "თანამგზავრში". ამის მიზეზი ფინანსური პოლიციის ტელევიზიაში შესვლა გახდა. როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, აღნიშნული უწყება ტელეკომპანიის ფინანსური საქმიანობით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც "თანამგზავრის" საინფორმაციო სამსახურის ეთერით რეგიონის და რაიონის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ზედიზედ რამდენიმე კრიტიკული სიუჟეტი გავიდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფინანსური პოლიციის ტელევიზიაში შესვლა, კომპანიის ერთ-ერთი აქციონერის ზურაბ ქუმსიაშვილის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე მოხდა. ქუმსიაშვილი ამბობს, რომ მისი აქციების 40 პროცენტის წართმევას ფიზიკური მეთოდების გამოყენებით "კრიმინალური სამყაროს" ავტორიტეტის სახელით ცნობილი ლუკა რამაზაშვილი ცდილობს, რომელსაც ტელევიზიის ხელში ჩაგდება უნდა.

ტელეკომპანია "თანამგზავრის" სასამართლო წესებით დავა მაუწყებლობის ახალ და ძველ ხელმძღვანელობას შორის ერთი წელია გრძელდება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ კომპანიას თავდაპირველად სამი აქციონერი - ზურაბ ქუმსიაშვილი, ვანო ახალმოსულიშვილი და ელდარ გრიშკაშვილი, მეტსახელად "ქექიები" ჰყავდა. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი, როგორც თელავში ამბობენ, პოლიტიკური და კრიმინალური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა, "თანამგზავრის" ბატონ-პატრონად, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიაზიას სხვა აქციონერიც ჰყავდა, ქუმსიაშვილი იქცა.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ტელეკომპანიის გარდაცვლილი აქციონერის ელდარ გრიშკაშვილის მეუღლე მარიეტა გრიშკაშვილი ტელევიზიის ფინანსური საქმიანობით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნიდან გაირკვა, რომ ქუმსიაშვილს ტელევიზიის 35 ათასი ლარი ჰქონდა მითვისებული და მიუხედავად არაერთი შეხსენებისა, ზურაბ ქუმსიაშვილი აღნიშნული თანხის ტელევიზიისთვის დაბრუნებას არ აპირებდა. ამის შემდეგ საქმეში ცნობილი ავტორიტეტი ლუკა რამაზაშვილი ჩაერთო, რომელიც გრიშკაშვილების ოჯახთან დაახლოებული პირი იყო, რის შემდეგაც ზურაბ ქუმსიაშვილს ტელეკომპანიის დატოვება მოუხდა. "თანამგზავრის" მმართველად კი მარიეტა გრიშკაშვილის და ლუკა რამაზაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, ენრი კობახიძე დაინიშნა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სასამართლო დავები. თუმცა, მომჩივანი მხარე სასამართლოში თავდაპირველად კომპანიიდან გაძევებული ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ ქუმსიაშვილი აღმოჩნდა. იგი დღესაც ამბობს, რომ მისი გათავისუფლება უკანონოდ მოხდა. საგულისხმოა, რომ ტელევიზიის აქციების 40-40 პროცენტი ქუმსიაშვილს და გრიშკაშვილს ჰქონდათ, ხოლო 20 - ვანო ახალმოსულიშვილს. ქუმსიაშვილი აცხადებს, რომ ტელევიზიაში მისი ყოფნა ახალმოსულიშვილის ხმაზე იყო დამოკიდებული, რომელზეც, როგორც ქუმსიაშვილი ამბობს, ლუკა რამაზაშვილმა ზეწოლა მოახდინა და აქციონერთა კრებაზე ახალმოსულიშვილმა მხარი გრიშკაშვილს დაუჭირა.

**"ის, რასაც ტელევიზიის ხელმძღვანელობა მედავება, უსაფუძვლოა, რადგან ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ მათ დოკუმენტაცია გააყალბეს. არადა, პირიქით, ტელევიზიის ახალ ხელმძღვანელობას აქვს ჩემი 4 ათასი ლარი ვალი. გარდა ამისა, შენობა რომელშიც ტელეკომპანიაა განლაგებული, საკუთარია და იქიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით გამომაძევეს,"** - ამბობს ქუმსიაშვილი და იქვე იმასაც აცხადებს, რომ მომხდარი ლუკა რამაზაშვილს უკავშირდება, რადგან ტელევიზიის აქციების შეძენა მას სურს და ყველანაირი მეთოდით ცდილობს მის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას.

საპირისპიროს ამბობს ტელევიზიის ამჟამინდელი მმართველი ენრი კობახიძე. იგი ამბობს, რომ რამაზაშვილს ტელევიზიის შეძენის სურვილი არ აქვს, ხოლო ზურაბ ქუმსიაშვილს ხელისუფლება იყენებს, რადგან რევოლუციის შემდეგ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურმა რაიონის ხელმძღვანელობის არაკანონიერ ქმედებებზე არაერთი ინფორმაცია გააშუქა. ის, რომ "თანამგზავრის" ჟურნალისტებზე თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისგან, გოჩა მამაცაშვილისგან და გამგეობის სხვა თანამშრომლებისგან ზეწოლას ჰქონდა ადგილი, ამაზე საინფორმაციო სამსახურის მთავარი რედაქტორი ნატო მეგუთნიშვილიც საუბრობს. **"ეს ყველაფერი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს გოჩა მამაცაშვილს უკავშირდება, რადგან მას უნდოდა, ტელეკომპანიაში წილი ჰქონოდა და აქაურობა ეკონტროლებინა. მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე კრიტიკული სიუჟეტები ზედიზედ გავიდა ეთერში, მამაცაშვილის და გამგეობის თანამშრომლების მუქარამ იმატა. რაც შეეხება ქუმსიაშვილს, იგი მედეა მეზვრიშვილის და იმ ხელისუფლების რუპორი იყო,"** - ამბობს მეგუთნიშვილი და იმასაც აცხადებს, რომ ხელისუფლების გააქტიურება ტელეკომპანიის ხელში ჩასაგდებად იმას უკავშირდება, რომ არჩევნებია მოახლოებული. აღნიშნულ ბრალდებას თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კატეგორიულად უარყოფს.

ფინანსურის პოლიციის შესვლა სამაუწყებლო კომპანიაში, როგორც აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი დავით გაბიდაიძე ამბობს, ზურაბ ქუმსიაშვილის განცხადების საფუძველზე მოხდა. ტელეკომპანიის ამჟამინდელი მმართველი ენრი კობახიძე კი ამბობს, რომ მანამდე ანალოგიური განცხადებით ფინანსურ პოლიციას მათაც მიმართეს, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. **"წერილში მინიშნებულია, რომ ტელეკომპანიიდან თანხები არამიზნობრივად იხარჯება და გადასახადებს მალავს. რაც შეეხება ტელევიზიის ახალი ხელმძღვანელის მიერ შემოტანილ ანალოგიურ განცხადებას ქუმსიაშვილის წინააღმდეგ, ჩემამდე არ მოსულა, რადგან ის ამ უწყებაში წინა ხელმძღვანელის დროს შემოვიდა,"** - აცხადებს კახეთის რეგიონის ფინანსური პოლიციის შეფი დავით გაბედაიძე.

ტელეკომპანიის ახალი ხელმძღვანელის თავის მართლების მიუხედავად, რაიონულმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინ განაჩენი ზურაბ ქუმსიაშვილის სასარგებლოდ გამოიტანა. ენრი კობახიძის თქმით, მოსამართლე ჯაშიაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ გოჩა მამაცაშვილმა მასზე ზეწოლა მოახდინა. ამის საფუძვლად აუდიოჩანაწერი მოჰყავს, რომელსაც საზოგადოებას ეთერის საშუალებით მოასმენინებს, ზურაბ ქუმსიაშვილს კი ხელისუფლების მიერ მართულს უწოდებს.

რაც შეეხება მამაცაშვილს, იგი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და ყველაფერს ტელეკომპანიის მონილეებს შორის დავით ხსნის. **"ეს არის შიდა დაპირისპირება და მეტი არაფერი,"** - ამბობს მამაცაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანიის ყოფილმა ხელმძღვანელმა ზურაბ ქუმსიაშვილმა სასამართლო პროცესი მოიგო, ენრი კობახიძემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

# რამ გადაარჩინა პენსიონერთა არქივი

ნონა მაისურაძე



პერსონალურ პენსიონრებს, რომელთა პენსია დღეისათვის 28 ლარია, 1994 წლამდე სხვადასხვა დამსახურების მიხედვით, ჩვეულებრივი პენსიონრებისაგან განსხვავებული პენსია ეძლეოდათ. მათ პენსიას უნიშნავდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დამნიშნავი კომისია, რომელიც 1994 წლიდან გაუქმდა. თუმცა, მათი საქმეები სახელმწიფო კუთვნილებაა და ისინი უვადოდ უნდა ინახებოდეს. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ამ დოკუმენტებში მელიტონ ქანთარიას საქმეც ინახება.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში პერსონალური პენსიონრების საქმეების დაარქივება მიმდინარეობს. მასალებს, რომლებიც წლების მანძილზე ფონდის შენობის ბოლო სართულზე დაუცველი იყო, მტვრისგან ასუფთავებენ და რაიონების მიხედვით ალაგებენ. ამ სამუშაოს ფონდის საორგანიზაციო მუშაობისა და ავტომატიზირებული აღრიცხვის დეპარტამენტი ახორციელებს. სამსახურის უფროსის ვაჟა ჯაფოშვილის განმარტებით: **"პერსონალური პენსიონრების საპენსიო საქმეები სახელმწიფოს ისტორიაა და ისინი დაცული უნდა იყოს. სამუშაო, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ, საკმაოდ რთული და პასუხსაგებია. მთელი საქართველოს პერსონალური პენსიონრების საქმეები უსუფთაოდ და უპირობოდ ეწყო. რა თქმა უნდა, არც რაიონების მიხედვით იყო განაწილებული და თუ დროულად არ მივხედავდით, ბევრი საინტერესო მონაცემის გაბნევის საშიშროებაც არსებობდა. თითოეული პენსიონრის საქმე ე.წ. "ცარცის" ქაღალდის ყდაშია განთავსებული, სწორედ ამან შეუწყო ხელი მათ გადარჩენას და დღემდე შენახვას. ჩვენ თითოეულ საქმეს საგულდაგულოდ ვასუფთავებთ და არსებული მასალის საფუძველზე საცხოვრებელი ადგილის დაზუსტების შემდეგ, რაიონების მიხედვით ვანაწილებთ. პერსონალური პენსიონერების მონაცემები ერთიან კომპიუტერულ ბაზაშიც შეგვყავს. ეს საკმაოდ მასშტაბური სამუშაო იყო და მთელი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. ამჯერად კი, უკვე დახარისხებულ საქმეებს რაიონების მიხედვით გადავგზავნით და იქ პერსონალური პენსიონრების დოკუმენტაცია უვადოდ შეინახება."**

ამდენად, პერსონალური პენსიონრების საქმეები ამიერიდან ფონდის რაიონულ (საქალაქო) ფილიალებში უვადოდ დაიდებს ბინას. ამის გარდა, ფონდში დაწყებულია პენსიონერთა საპენსიო საქმეების განახლება.

# დაუსრულებელი სამუშაოები და წინასწარ გაწერილი თანხები

*რამდენი ლარით განისაზღვრება დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი, გაურკვეველია, თუმცა რამდენი ლარი დაიხარჯება გზის საფარის აღდგენით სამუშაოებზე, უკვე ცნობილია. თბილისის მთავრობამ გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის 120 მილიონი ლარი ბიუჯეტის დამტკიცებამდე გამოყო. არსებობს თუ არა კეთილმოწყობის სამსახურში გაწერილი პროგრამა, რომელიც ფულის განკარგვის კონკრეტულ სქემას მოიცავს და რატომ მოხდა ერთხელ დაგებული ასფალტის რამდენჯერმე გადათხრა, ამის შესახებ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს კობა სუბელიანს ვესაუბრეთ.*

თამარ დვალი

**- დედაქალაქის მთავრობის 6 ოქტომბრის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ 2005 წლის ბიუჯეტში გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის 81 მილიონ 660 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა ამ ხარჯებმა 91 მილიონ 954 ათასი ლარი შეადგინა, რატომ გახდა საჭირო დამატებითი თანხების გამოყოფა?**

- ეს ციფრები სიმართლეს არ შეესაბამება. ალბათ, რაღაცა გაუგებრობაა. გზების საფარის აღდგენით სამუშაოებზე 91 მილიონი ლარი ნამდვილად არ დაგვიხარჯავს. ამ დროისთვის დაახლოებით 74,76 მილიონი ლარი გვაქვს ათვისებული.

**- 2005 წლის ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხა - 98 მილიონ 760 ათასი ლარი კეთილმოწყობის სამსახურს ერგო. გეგმის მიხედვით, გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე უნდა ჩატარებულიყო, ასევე უნდა მომხდარიყო გვირაბის შეკეთება, რაც არ მომხდარა. რა არის ამის მიზეზი?**

- წელს გვირაბების შეკეთება ვერ მოხერხდა და ამ სამუშაოების ჩატარებას მომავალი წლისთვის კომპლექსურად ვგეგმავთ. რაც შეეხება გზას, რამდენიმე კვირის წინ საგამოფენო ცენტრ "ქარვასლაში" შედგა რიყის განაშენიანების პრეზენტაცია. პროექტის მიხედვით, სანაპიროზე გზა რესტორნების მხარეს გადავა. მტკვართან ახლოს კი, მოაჯირის გასწვრივ სასეირნო ფართობი დარჩება. სწორედ ამის შემდეგ გაკეთდება მთელი პარამეტრი.

**- სანაპიროს გარდა, წელს კიდევ რომელი მონაკვეთის გაკეთება ვერ მოხერხდება?**

- ზოგიერთ ქუჩაზე დაახლოებით 70 გრძივი მეტრის მონაკვეთი დარჩება, ალბათ, გასაკეთებელი. თუმცა, არც ამის თქმა შეგვიძლია დანამდვილებით. თუ გზის დაგება ვერ მოესწრო, ეს ჩვენი პრობლემა კი არა, მეგზევეების პრობლემაა, რადგან დაჯარიმდებიან. სახელმწიფო ამით არ ზარალდება. პრინციპში, პატარა მოცულობებზეა საუბარი.

**- რატომ მოხდა, რომ ერთხელ დაგებული ასფალტი უმეტეს ადგილას ხელმეორედ გადაითხარა და დაიგო?**

- ძალიან დიდი კრიზისი გვქონდა... ასფალტისთვის საჭირო ინერტული მასალა, რომელიც შედგება ქვა-ღორღისგან, ბიტუმისგან, ფილერისგან და ა.შ., საქართველოში არ მოიპოვება. ამ მასალებს თავად მეგზევეები ყიდულობენ. ბაქოში არის ყველაზე კარგი წარმოების ბიტუმი. რადგანაც ბაქოშიც დიდი მოთხოვნა იყო აღნიშნულ მასალაზე, ჩვენს მეგზევეებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. როდესაც ჩვენი სამსახური ტენდერს გამოაცხადებს და რომელიმე კომპანია გაიმარჯვებს, ჩემი პრობლემა ნამდვილად აღარ არის, მასალას სად იშოვის. თუმცა, ამ შემთხვევაში ქალაქი გადათხრილი იყო და სხვა გამოსავალი არ გვქონდა, პრობლემა სამთავრობო დონეზე გადაწყდა. ჩარევის შედეგად, ერთი დღის განმავლობაში გამომუშავებულ ბიტუმს ბაქოს ქარხანა ჩვენ გვითმობდა. აღმოჩნდა, რომ არც ეს ოდენობა იყო საკმარისი. კომპანიებმა თავიანთი ძალებით დაიწყეს სხვა ქვეყნებიდან, ძირითადად, ირანიდან და ყაზახეთიდან მასალის შემოტანა. ირანულმა გაამართლა, ყაზახეთიდან შემოტანილმა - არა. რადგანაც ლაბორატორიული შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ადგილას ასფალტი არ იყო ხარისხიანად დაგებული. მეგზევეები ვაიძულეთ, საკუთარი სახსრებით აეყარათ ასფალტი და ხელმეორედ დაეგოთ. ეს, ძირითადად, იმ ადგილებს შეეხება, სადაც გზა ყაზახეთიდან შემოტანილი ბიტუმით გაკეთდა. მაგალითად, ჭავჭავაძის გამზირზე უხარისხო ბიტუმის გამო, დაახლოებით 1 200 კვ.მ ასფალტის საფარი სამჯერ ავაფხეკინეთ.

**- დაგებამდე არ შეიძლებოდა ხარისხის შემოწმება?**

- ეს ჩვენი პრეროგატივა არ არის. ჩვენი საამსახური მხოლოდ დაგებული ასფალტის ლაბორატორიულ შემოწმებას ახდენს.

**- იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საპროექტო სამუშაოებს ერთი კომპანია ატარებდა, მოულოდნელად კი უპირატესობას სხვა კომპანიას ანიჭებდით. საბოლოოდ რომელი უცხოური კომპანიები შეირჩა და რამდენად კმაყოფილი ხართ მათი მუშაობით?**

- ტენდერის შედეგად შეირჩა: ქართულ-თურქული კომპანია "ბლექსი-გრუპი", ქართულ-ჰოლანდიური "კავკაზუსნეთ-პროჯექტი" და გერმანულ-ქართული კომპანია. დანარჩენი ქართული იყო. შეჯამება რომ გავაკეთოთ, მე, როგორც დამკვეთი, ძალიან კმაყოფილი ვარ გერმანელების მუშაობით. მათ კარგად ორგანიზებული ბრიგადები ჰყავდათ. არცთუ ისე უკმაყოფილო ვარ ჰოლანდიელების. რაც შეეხება თურქებს, ცოტა პრობლემები შეგვიქმნეს. ხშირად იქმნებოდა ქაოსი. ქუჩის გადაკეტვის გრაფიკს ვერ ადგენდნენ კარგად.

**- ჯერ ცნობილი არ არის, თუ რამდენით განისაზღვრება მომავალი წლის ბიუჯეტი. თუმცა, ქალაქის მთავრობის დადგენილებით, 2006 წლის ბიუჯეტში გზებისთვის 120 მილიონი ლარი გერგოთ. გაქვთ თუ არა წინასწარ გაწერილი პროგრამა, სადაც მითითებული იქნება, კონკრეტულად რას მოხმარდება ეს თანხა?**

- არა, ჯერ არ გვაქვს. სავარაუდოდ, 15 ნოემბრისთვის გვექნება. 2005 წელს დაგეგმილი იყო ცენტრალურ უბნებში ასფალტის დაგება, მომავალ წელს კი პრიორიტეტად გარეუბნები გამოცხადდა. სავარაუდოდ, ეს იქნება კონიაკის დასახლება, გლდანულა, მუხიანი, დიღმის კვარტლები და სხვა. ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს ჩამონათვალი, რომელიც შემდეგ კიდევ გადაიხედება.

**- თქვენი დაანგარიშებით, მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამების განსახორციელებლად რა ოდენობის თანხა დაგჭირდებათ და თუ გაქვთ გამოკვეთილი პრიორიტეტები?**

- პრიორიტეტად კვლავ გზების საკითხი რჩება. ჩემი ვარაუდით, გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის 120 მილიონი ლარი ბევრია. წლევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, ეჭვის საფუძველი არ გვაქვს, თუმცა არც ის ვიცით, როგორი ამინდები დაგვესწრება. ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. გამწვანება იქნება ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. გამწვანების განყოფილებამ შეისწავლა, რამდენი სკვერი გაკეთდა ქალაქის მასშტაბით და რამდენია გასაკეთებელი. ამას ემატება გაზონები, შუაგამყოფი ზოლები და ა.შ. ჩვენი ვარაუდით, მთლიანობაში დაახლოებით 135 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

**- დავით აღმაშენებლის ძეგლის გადასატანად ხარჯები კეთილმოწყობის სამსახურმა გაიღო. ბუნებრივია, ბიუჯეტში ამის თანხები არ იქნებოდა გათვალისწინებული. საიდან მოხდა ამ თანხის გამოყოფა და რამდენი ლარია საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად?**

- ჩვენ ბიუჯეტში გვაქვს პუნქტი – კეთილმოწყობის სხვადასხვა ხარჯები, რისთვისაც 900 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი. ძეგლის გადატანითი სამუშაოებიც აქედან დაფინანსდა. ჯერ არ ვიცით, რამდენი ლარი დაიხარჯება საბოლოო ჯამში, მაგრამ ამ დროისთვის 35 ათას ლარამდეა დახარჯული. ჩვენი გათვლებით, მთლიანი თანხა 70, 80 ათას ლარს მიაღწევს. ორი კვირის განმავლობაში აღმაშენებლის ძეგლს სპეციალურ სათავსოში შევინახავთ, შემდეგ კი აღმაშენებლის ხეივანში გადავიტანთ.

# „წითელი" პასპორტი კვლავ ძალაშია

თამარ მაისურაძე

საქართველოს პრეზიდენტმა უკვე მეოთხედ გაუგრძელა ვადა ძველ, საბჭოურ პასპორტებს. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, "წითელი" პასპორტი ძალაში კიდევ 5 თვის განმავლობაში რჩება. როგორც ირკვევა, ძველი პასპორტებით, ძირითადად, საქართველოს ასაკოვანი მოსახლეობა სარგებლობს, რომელიც პენსიას სწორედ "წითელი" პასპორტით იღებს.

"წითელი" პასპორტების შეცვლის აუცილებლობა მას მერე გახდა განსაკუთრებით აქტუალური, რაც საქართველოში "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამა" ამუშავდა. როგორც ამ პროგრამის ხელმძღვანელმა ლევან ფერაძემ გვითხრა, "სააგენტო მონაცემთა ბაზაში ვერ დააფიქსირებს ძველი პასპორტის მქონე მოქალაქეს, რადგან თითოეულ პიროვნებას საიდენტიფიკაციო ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით ენიჭება. ამდენად, სწორედ სააგენტოს წარმომადგენლები წარდგნენ მთავრობასთან "შუამდგომლობით", რომ პირადობის მოწმობის ასაღებად საჭირო ორ-ლარნახევრიანი ბაჟი გაუქმებულიყო. ამ სიახლეს პირადობის მოწმობების აღების საკითხი კიდევ უფრო უნდა გაეადვილებინა.

რაც შეეხება უმწეოებს, რომლებისთვისაც კუთვნილი პენსია სახლში მიჰქონდათ, მათთვის "წითელი" პასპორტის შეცვლის საკითხი სახლიდან გაუსვლელად უნდა გადაწყვეტილიყო.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანსა და იუსტიციის მინისტრის მოადგილე კოტე ვარძელაშვილს შორის "გაფორმდა" სიტყვიერი მოლაპარაკება, რომლის საფუძველზეც უმწეო პენსიონრების საკითხი, პირადობის მოწმობის აღების შესახებ, უპრობლემოდ უნდა მოგვარებულიყო. ამ საკითხის მოგვარება კი ადგილობრივ გამგეობებს დაევალა. მინისტრების მოადგილეების შეთანხმებას დაემატა პრემიერ-მინისტრის მითითებაც, რომელიც ზურაბ ნოლაიდელმა თითოეული გამგეობის ხელმძღვანელს მისცა.

შეთანხმებისა და მითითების თანახმად, გამგეობებს დაევალა, რომ თითოეული უმწეოსთვის სახლში უნდა გადაეღოთ ფოტოსურათი, შემდეგ კი იუსტიციის სამინისტროს რიგგარეშე (ყოველგვარი შეფერხების გარეშე) უნდა დაემზადებინა მათთვის პირადობის მოწმობები.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ "ადგილზე მომსახურება უპრობლემოდ მიმდინარეობს, რომ პრობლემამ, ძირითადად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იჩინა თავი". თუმცა, ამ პრობლემის წინაშე დედაქალაქში მცხოვრები პენსიონრები აღმოჩნდნენ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათთვის პირადობის მოწმობის შეცვლის თაობაზე არავის მიუკითხავს.

რომ არა პრეზიდენტის განკარგულება, ძველი პასპორტების ვადის გაგრძელების შესახებ, პენსიონრები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

მეორე ჯგუფის ინვალიდ ვახტანგ თოფურიასთვის პენსია სახლში ფოსტალიონს მიჰქონდა. მას მერე, რაც ეს ძველი პრაქტიკა მოისპო, უმწეო პენსიონრებს კუთვნილი პენსიის მისაღებად ორი ვარიანტი დარჩათ: პირველი – ნოტარიულად დამტკიცებული მინდობილობა პიროვნებაზე, რომელიც ფოსტალიონს შეცვლიდა, ანუ პენსიონრის კუთვნილ ფულს აიღებდა და უმწეოს სახლში მიუტანდა; ან მეორე - "სახალხო ბანკის" სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის თანახმადაც, უმწეოსთვის პენსიის სახლში მიტანა თავად ბანკის წარმომადგენლებს ევალება.

ამ ეტაპზე პენსიების აღების პრობლემა დროებით გადაჭრილია, თუმცა, "წითელი" პასპორტის ძალაში დატოვება სოციალურად დაუცველ იმ კატეგორიის ადამიანებს ვერ აძლევს ხელს, რომლებიც "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში" მონაწილეობის მიღებას აპირებენ.

კიდევ რამდენი განკარგულების გამოცემა მოუწევს პრეზიდენტს და როდის მოგვარდება ყველა პენსიონრის პირადობის მოწმობით უზრუნველყოფის საკითხი, ჯერჯერობით გაურკვეველია.

# განათლება მდგრადი განვითარებისთვის

"ეკოლოგიური განათლება" შემდეგი ფრაზით იცვლება – "განათლება მდგრადი განვითარებისთვის", რასაც თბილისში ორდღიანი კონფერენცია ეძღვნება. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მეხუთე კონფერენციის მთავარი მიზანი გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და ამ სფეროში არსებული პრობლემებისა და პერსპექტივების განხილვაა.

კონფერენციის ორგანიზატორების ინფორმაციით, გაეროსა და ევროგაერთიანების მცდელობები ამ მიმართულების განვითარებისთვის, ძირითადად, გულისხმობს განათლების სისტემებში მდგრადი განვითარების პრინციპების უფრო გაღრმავებას და მათ ინტეგრირებას ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან. კერძოდ, საუბარი ეხება მდგრადი განვითარების ინტეგრაციას სკოლამდე, სკოლის, უმაღლეს სასწავლებლებში ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას და, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, არაფორმალური განათლების გაღრმავებას.

**"ამჟამად ქვეყნებში მიმდინარეობს მდგომარეობის შესწავლა და შეფასება, რასაც მოჰყვება ე.წ. სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელ რეგიონში რა სტრატეგიებითა და მიდგომებით იქნას შეტანილი განათლება მდგრადი განვითარების თაობაზე. ეს კონფერენციაც სწორედ შესწავლის ერთ-ერთი ეტაპია, სადაც აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო დააფიქსირებენ არსებულ მდგომარეობას და ძირითად ტენდენციებს. ისინი შეჯამდება, განსახილველად გადაეცემა ევროგაერთიანებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებისა და თუ ორგანიზაციების წარმომადგენლობებს და მათი აზრის გათვალისწინებით შემუშავდება რეზოლუცია. მას დოკუმენტის ძალა ექნება და ამით ქვეყანა გამოაცხადებს, რომ სრულად ეთანხმება და აღიარებს განათლებას მდგრადი განვითარებისთვის, რასაც კონკრეტული ნაბიჯები და ქმედებები მოჰყვება,"** – აცხადებს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნატო კირვალიძე.

**24 საათი**

## *მოკლედ*

### სალომე ზურაბიშვილი ყველა პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობისთვის მზად არის

თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის N68-ში "სალომე ზურაბიშვილის მოძრაობის" პირველი ოფისი გაიხსნა. ოფისი საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა პირადად გახსნა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მოძრაობის 200-მდე აქტივისტმა მიიღო. მოძრაობის პირველი კონფერენცია, სავარაუდოდ, დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ რეგიონებში, მისივე თანამოაზრეების ინიციატივით, მოძრაობის ოფისები გაიხსნება. იგი ყოველ სამშაბათს მოქალაქეებს შეხვდება.

მან მზადყოფნა გამოთქვა, ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის მომავალი და საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა.

მისივე თქმით, იგი საზოგადოებასთან ერთად მოძრაობის პროგრამის შემუშავებას გეგმავს.

რაც შეეხება მოძრაობის დამფინანსებლებს, ზურაბიშვილის განცხადებით, "ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთდა, თანამოაზრეების მხარდაჭერით განხორციელდა და მომავალშიც ასე იქნება."

"მოძრაობის მთავარი მიზანი ფორმალური დემოკრატიის ნაცვლად რეალური დემოკრატიის დამკვიდრება იქნება. საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნისა და დემოკრატიის მშენებლობაში," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, იგი რეგიონებიდან "პირველად, სახელოვანი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის ქალაქში - ფოთში ჩავა. შემდეგ საქართველოს ყველა რეგიონს მოივლის და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდება."

"ჩვენი მოძრაობა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდება და ყველა დონის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას," - აღნიშნა ზურაბიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

### ირაკლი ალასანია საქართველოს ხელისუფლების გეგმებს აშშ-ს ხელმძღვანელობას აცნობს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ირაკლი ალასანია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების გეგმებს გაერო-სა და აშშ-ს ხელმძღვანელობას აცნობს.

აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ირაკლი ალასანია მეექვსე დღეა, აშშ-ში ვიზიტით იმყოფება.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანიას შეხვედრები ჰქონდა გაერო-სა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში. დაგეგმილია მისი შეხვედრები აშშ-ს კონგრესში.

ალასანიას ვიზიტი ნიუ იორკსა და ვაშინგტონში 7 ნოემბრამდე გასტანს, რომლის ფარგლებში იგი აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლებს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების გეგმებს აცნობს. **ინტერპრესნიუსი**

### სერგეი შამბა - გალის რაიონში მცხოვრები ქართველების აფხაზურ ჯარში გაწვევა მათდამი ნდობის გამოვლინებაა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გალის რაიონში მცხოვრები ქართველების აფხაზურ ჯარში გაწვევას აფხაზური ხელისუფლების მხრიდან მათდამი ნდობის გამოვლინებად აფასებს. შამბას მტკიცებით, გალის რაიონში მცხოვრებ წვევამდელებს "აფხაზურ ჯარში ძალის დატანებით არ იწვევენ." მისივე თქმით, გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილებს აფხაზურ ჯარში თუ იწვევენ, ეს იმის გამოხატულებაა, რომ ხელისუფლება მათ "აფხაზეთის მოქალაქეებად მიიჩნევს და ნდობას უცხადებს."

"გალის რაიონში მცხოვრებ აფხაზეთის მოქალაქეებს უნდა ესმოდეთ, რომ აფხაზურ ჯარში წაუსვლელობის შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან მათდამი დამოკიდებულება შესაბამისი იქნება," - აღნიშნა შამბამ გალის აფხაზური ადმინისტრაციის მიერ გალის რაიონის სოფლებში წვევამდელების გაწვევასთან დაკავშირებული ფაქტების კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც, გალის აფხაზური ადმინისტრაცია ქართველ ახალგაზრდებს აფხაზურ ჯარში სამსახურს ავალდებულებს.

შამბას განმარტებით, გალის რაიონში დაბრუნებული დევნილებისადმი საბოლოო დამოკიდებულებას აფხაზეთის ხელისუფლება მას შემდეგ ჩამოაყალიბებს, როცა მათ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას შესთავაზებს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „მადნეული" გაყიდულია

პირველი გვერდიდან

მინისტრის თქმით, საკონკურსო პირობების მიხედვით, გამარჯვებულმა კომპანიამ აქციების ღირებულება ორ ტრანშად, 15 დეკემბრამდე უნდა გადაიხადოს, ხოლო ვალები მომავალი წლის 15 თებერვლამდე უნდა გაისტუმროს. Stanton Equities Corporation ასევე ვალდებულია, მომავალი 3 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს საწარმოს პროფილი, მუშამოსამსახურეთა რაოდენობა და მათი ხელფასები. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო Stanton Equities Corporation-თან ხელშეკრულებას 20 დღის ვადაში გააფორმებს.


კაზრეთის კარიერი.

### ვინ არის და რა პირობით ყიდულობს Stanton Equities Corporation "მადნეულს"?

Stanton Equities Corporation, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსული ბიზნეს-ჯგუფის Промышленные инвесторы-ს შვილობილი კომპანიაა. ის ამ ჯგუფის წევრი კომპანიაც არის, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი კირილ ვოლკოვი, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, ამბობს, რომ რუსული ბიზნეს-ჯგუფი ამ დროისთვის დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის კაპიტალს ფლობს. **"მას რუსეთში ასევე აქვს კომბაინების და ტრაქტორების ქარხანა და ახორციელებს ინვესტიციებს ბიოტექნიკის სფეროში,"** - განაცხადა ვოლკოვმა.

ექსპერტებს შორის თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, ხომ არ იყო Stanton Equities Corporation სპეციალურად "მადნეულის" საყიდლად შექმნილი კომპანია? ამ ეჭვს, გარკვეულწილად, ისიც ამტკიცებს, რომ Промышленные инвесторы-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება Stanton Equities Corporation-ის შესახებ.

რუსული ბიზნეს-ჯგუფისა და Stanton Equities Corporation-ს შორის ურთიერთკავშირსა და ამ უკანასკნელის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად, "24 საათი" Промышленные инвесторы-ის ოფიციალურ წარმომადგენელს, ოლეგ რუმიანცევს მოსკოვში გუშინ დაუკავშირდა. ქვემოთ გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს. ინტერვიუდან ნათელი ხდება, რომ "მადნეულის" რეალური მფლობელი Промышленные инвесторы-ია და არა Stanton Equities Corporation.

- "მადნეულის" პრივატიზაციაში მონაწილე "Stanton Equities Corporation" არის სტანდარტული კომპანია, რომელიც "მადნეულის" აქციების ნომინალურ მფლობელს წარმოადგენს. თუმცა, მას მართვის არანაირი ბერკეტები არ ექნება. რეალურად, "მადნეულის" მმართველი კომპანია ბიზნეს-ჯგუფი "Проминвестор"-ია. ამ ტიპის საწარმოების მართვის გამოცდილება ჩვენს კომპანიას აქვს. შესაბამისად, ჩვენ ამ სფეროში გამოცდილი, მაღალი დონის სპეციალისტები გვყავს.

**- როდის შეიქმნა Stanton Equities Corporation?**

- არ ვიცი, როდის შეიქმნა "Stanton Equities Corporation", რადგან ამ ფაქტს ამ შემთხვევაში ღირებული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ "Stanton Equities Corporation"-ის აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს "Проминвестор"-ი, რომელიც მართავს კიდეც მას.

**- მაინც, როდიდან ფლობს თქვენი ბიზნეს-ჯგუფი Stanton Equities Corporation-ის აქციათა საკონტროლო პაკეტს?**

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ ინფორმაციას თქვენთვის ღირებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ვთქვათ, 2002 წლიდან. ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი. "Проминвестор"-ი არის მსხვილი ბიზნეს-ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა კომპანიებს მართავს. ასე რომ, ამიერიდან, ყველაფერი, რაც დაკავშირებული იქნება "მადნეულთან", შეეხება არა "Stanton Equities Corporation"-ს, არამედ "Проминвестор"-ს. თუმცა, ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტში და წერილში შემდგომაც ნახსენები იქნება "Stanton Equities Corporation" და არა "Проминвестор"-ი.

**- "მადნეულის" გარდა, რითი არის დაკავებული Stanton Equities Corporation?**

- არის კიდევ რიგი მსხვილი კომპანიები, რომლებშიც "Stanton Equities Corporation" აქციებს ფლობს. თუმცა, აქაც, აქციების ფლობის გარდა, ეს კომპანია არაფრით არის დაკავებული.

**- რა საჭირო იყო პრივატიზაციაში სხვა კომპანიის სახელით მონაწილეობა. თავიდანვე რატომ არ გამოვიდა ასპარეზზე** Проминвестор-**ი?**

- უბრალოდ, თანხების გადარიცხვის თვალსაზრისით ეს მოუხერხებელი იყო.

**- კერძოდ?**

- მოუხერხებელია, როცა გარიგებას დებს მსხვილი ბიზნეს-ჯგუფი "Проминвестор"-ი. ჩვენ კომპანიებს არ ვყიდულობთ, ჩვენ მათ ვმართავთ.

სხვათა შორის, Промышленные инвесторы-ს საქართველოში გარკვეული ბიზნესი უკვე გააჩნია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსული ბიზნეს-ჯგუფის საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების სფეროს უკავშირდება. Промышленные инвесторы საქართველოში კომპანია "უშბას" ფლობს, რუსეთში კი მის ჰოლდინგში, ძირითადად, საზღვაო სანაოსნო კომპანიები შედიან. Промышленные инвесторы ერთ-ერთი ის კომპანიაა, რომელიც გასული წელს საქართველოს საოკეანოსანაოსნოზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობდა და მარცხიც იწვნია.

გამარჯვებული კომპანია მილოცვების შემდეგ გუშინ საქართველოში სამომავლო გეგმებზეც ალაპარაკდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ Stanton Equities Corporation-ი შპს "კვარციტის" დარჩენილ 50 პროცენტს ავსტრალიელებისგან უახლოეს მომავალში იყიდის. "კვარციტის" ავსტრალიელ მეპატრონეებთან ამჟამად გასაყიდ ფასთან დაკავშირებით აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ავსტრალიელებისგან "კვარციტის" 50 პროცენტს იმაზე ბევრად იაფად იყიდიან, ვიდრე სახელმწიფოს წილში უნდა გადაიხადონ.

კირილ ვოლკოვის თქმით, ბრიტანულ-რუსულ კომპანიას ასევე შემუშავებული აქვს სპეციალური პროექტი, რომლის მეშვეობითაც ბოლნისის მოსახლეობა ეკოლოგიური კატასტროფისაგან დაცული იქნება და მადნეულიდან და კვარციტიდან მავნე ნივთიერებები არ მოხვდება ნიადაგსა და წყალში.

Stanton Equities Corporation-ი მომავალში "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადების საპრივატიზაციო პროცესებში მონაწილეობის მიღებასაც გეგმავს. კომპანიის წარმომადგენლის კირილ ვოლკოვის თქმით, ასევე რაჭაში დარიშხანის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაა დაგეგმილი.

### რას სთავაზობდა სახელმწიფოს Energy And Industry Complex?

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგმა" გაზეთ "24 საათს" აცნობა, ქართულ-ბრიტანული კომპანია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" 2000 წლის 27 ივნისს დაფუძნდა. კომპანიის საწესდებო კაპიტალი, ბოლო მონაცემებით, 34 ათასი ლარია.

კომპანიის ხელმძღვანელი რუსული წარმოშობის ვინმე ანდრეი ჩერნენკოა, რომელიც შპს Energy Production Limited-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. თავის მხრივ, ეს კომპანია Energy And Industry Complex-ის დამფუძნებელი და აქციათა 99 პროცენტის მფლობელია. დარჩენილი 1 პროცენტის მფლობელი კი ვინმე გიორგი გაბრიჩიძეა.

Energy Production Limited-ის ძირითადი საქმიანობა, როგორც ამ კომპანიის სარეგისტრაციო ჩანაწერშია მითითებული, ნაგებობათა საერთო მშენებლობაა. შპს Energy And Industry Complex-ის ოფიციალური მისამართია ქ. რუსთავი, გაგარინის 12.

საკონკურსო წინადადებების თანახმად, რომელიც ცენტრმა "24 საათს" აცნობა, Energy And Industry Complex-ი "მადნეულში" 36 მილიონ 126 აშშ დოლარს იხდიდა და იღებდა ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკონკურსო პირობებში იყო მითითებული.

ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც Energy And Industry Complex-ის შესახებ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" გახდა ცნობილი. მიხეილ კაკულია, რომელიც "მადნეულის" გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებს, ამავე დროს, იმ იურიდიული კომპანიის იურისტია, რომელიც Energy And Industry Complex-ს იურიდიულ კონსულტაციას უწევს. კიდევ ერთი: 1999 წლიდან მოყოლებული დღემდე სს "მადნეულის" იურიდიული მრჩეველი არის ირაკლი მგალობლიშვილი, რომელიც პარლელურად Energy And Industry Complex-ის იურიდიული რწმუნებულია.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას Energy And Industry Complex-ი ჯერ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, ხოლო შემდეგ სასამართლოში გაასაჩივრებს. მისი შეფასებით, სამინისტრომ ბრიტანულ-რუსულ კომპანიას უპირატესობა უსამართლოდ მიანიჭა, ვინაიდან Energy And Industry Complex-მა სამინისტროს ბევრად უკეთესი და იურიდიულად გამართული პირობები შესთავაზა. **"ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოვუწოდებთ, შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება, რათა "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებისას დაშვებული შეცდომები არ განმეორდეს და იურიდიული გაუმართაობების გამო პრივატიზაცია არ ჩაიშალოს,"** - განაცხადა მგალობლიშვილმა.

### როგორ აფასებენ ექსპერტები კონკურსში გამარჯვებული კომპანიის წინადადებებს?

Stanton Equities Corporation-ის საკონკურსო წინადადებების შეფასება ერთ-ერთ იმ ეკონომიკის ექსპერტს ვთხოვეთ, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესს შიგნიდან თუ გარედან ადევნებდა თვალყურს. ქონების მართვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ზურაბ გარაყანიძემ კონკურსში გამარჯვებული კომპანიის რამდენიმე პირობა თუ წინადადება, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოდ მიიჩნია. კერძოდ, გამარჯვებულ კომპანიას საკონკურსო წინადადებაში სამი დამატებითი პირობა აქვს ჩადებული. ერთ-ერთი ასეთი პირობაა საწარმოში რეაბილიტაციის მოხსნა, რაც, ექსპერტის აზრით, შეუძლებელია. გთავაზობთ ექსპერტის დეტალურ მოსაზრებას Stanton Equities Corporation-ის პირობების შესახებ:

1) რეაბილიტაციის რეჟიმის მოხსნას თავის თავზე ეს კომპანია დამატებით პირობად ვერ აიღებს, რადგან კანონით "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" (თავი III მუხლი 25-ის პირველი პუნქტით): "რეაბილიტაცია დასრულდება, თუ მიღწეული იქნება რეაბილიტაციის მიზანი. სასამართლო იღებს განჩინებას რეაბილიტაციის დასრულების შესახებ". ხოლო ამავე კანონის 25-ე მუხლით, "რეაბილიტაციის მიზანი": "რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევას, მისი საწარმოს ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას". აშკარაა, რომ ჯერ მყიდველმა უნდა შეასრულოს "რეაბილიტაციის მიზანი" და შემდეგ სასამართლომ (და არა მყიდველმა) შეიძლება მიიღოს განჩინება. თანაც, მყიდველი თანხის მთლიანად დაფარვის ერთ-ერთ პირობად რეაბილიტაციის პროცესის ქართული სასამართლოს მიერ დასრულებას მიიჩნევს.

2) Stanton Equities Corporation-ი მეორე დამატებით პირობად სახელმწიფოსგან მოპოვებულ მადანზე საკუთრების უფლებას ითხოვდა. მადანზე საკუთრების უფლების გაფორმება შეუძლებელია, ვინაიდან "წიაღის შესახებ" კანონით მადანი სახელმწიფო საკუთრებაა.

3) Stanton Equities Corporation-ი მესამე დამატებით პირობად წერს, რომ, მისი კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არსებული კონსოლიდირებული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების სალდო იქნება არაუმეტეს 16 მილიონი აშშ დოლარისა. ანუ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კომპანია დავალიანების დაფარვის ვალდებულებას იღებს. ეს კი, მარტივად რომ ვთქვათ, შემდეგს ნიშნავს: კომპანია დებს პირობას, რომ "მადნეულის" დღეს არსებული ვალი მის მფლობელობაში აღარ გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ Stanton Equities Corporation-ი თავის საკონკურსო წინადადებებში არსად ცალსახად არ აფიქსირებს, რომ ის მზად არის დაფაროს საწარმოს დღეს არსებული კრედიტორული დავალიანება.

და ბოლოს: დამარცხებული კომპანიის Energy And Industry Complex-ის საკონკურსო პირობების ექსპერტულ ანალიზს "24 საათი" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

# საქართველოს ელჩის რეზიდენცია უკრაინაში საარჩევნო დაპირისპირებას ეწირება?

*23 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" 2 წლისთავზე, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოს ესტუმრება. თუმცა, ამ ვიზიტის შესახებ უკრაინული პრესა ჯერჯერობით არაფერს წერს. სამაგიეროდ, უკრაინულ მედია კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობს საქართველოსთვის მიყიდული უკრაინული საბრძოლო ქვეითთა მანქანებისა(ბმპ-2) და კიევში მშენებარე ქართველი დიპლომატების რეზიდენციის მშენებლობის სკანდალურ ისტორიებს, ერთიმეორის მიყოლებით რომ აგორდა სექტემბრის ბოლოს.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება",
სპეციალურად
"24 საათისათვის" კიევიდან

"უვარგისი უკრაინული" საბრძოლო იარაღის თემას უახლოეს ნომერში ვრცლად შევეხებით, ამჯერად კი საქართველოს დიპლომატებისათვის განკუთვნილი (და არა საელჩოსი, როგორც არასწორად გადაიცა ზოგიერთი ქართული საინფორმაციო საშუალების მიერ) სახლისა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის შესახებ ვისაუბრებთ.

**"ეს ჩვენი პირველი გამარჯვებაა"**, მიაჩნია კიევის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ვიქტორ ივანჩენკოს, რომელიც საზოგადოებრივ გაერთიანება "კიევის მოქალაქეთა ხმას" უდგას სათავეში. სწორედ ის ხელმძღვანელობდა და უჭერდა მხარს გონჩარის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების ორკვირიან საპროტესტო აქციას, რომელიც საქართველოს საელჩოსგან მოითხოვდა, უარი ეთქვა აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაზე.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ "გაერთიანებული სოციალ-დემოკრატრები" და უკრაინის "ქრისტიან-ლიბერალური კავშირი". მათი საერთო "გამარჯვება" კი იმაში გამოხატა, რომ მშენებლობის საკითხი ლამის ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დაპირისპირების მიზეზად იქცა. ამიტომ 22 ოქტომბერს უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გრიგოლ ქათამაძე დაჰპირდა მოსახლეობას, რომ მშენებლობა შეჩერდებოდა მანამ, სანამ კიევის საქალაქო საბჭო არ მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

ეს დღე კი 3 ნოემბერია. ორი დღის შემდეგ გაიმართება საერთო შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კიევის საქალაქო ადმინისტრაციის უცხოურ დიპლომატიურ მისიებთან მუშაობის დეპარტამენტის უფროსი, ქართული რეზიდენციის მშენებლობის ინვესტორი ფირმის "გოსმშენინვესტის" ხელმძღვანელი, საქართველოს ელჩი და გონჩარის ქუჩის მცხოვრებლების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები. თუმცა, გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იქნება.

კიევის საქალაქო საბჭომ საქართველოს საელჩოს რეზიდენციის ასაშენებლად სხვა ფართი უნდა შესთავაზოს, ქალაქის ცენტრში კი 1000 კვადრატული მეტრის გამოყოფა იოლი არ იქნება. არადა, ამ პირობის შესრულებას ითვალისწინებს ორმხრივი 1995-2000 წლებში საქართველოსა და უკრაინას შორის ხელმოწერილი შეთანხმება მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ, რომელიც ქვეყნის პარლამენტის რატიფიკაციის შედეგად, კანონიერ ძალაში შევიდა. გარდა ამისა, საქართველოს საელჩო არ არის ერთადერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელსაც "დიდი მშენებლობით" შეწუხებული კიეველი მოქალქეები და მათი პოლიტიკური მხარდამჭერები, მიწის ნაკვეთებს ედავებიან. "ანალოგიურ მდგომარეობაშია სლოვაკეთისა და თურქეთის საელჩოები," - განაცხადა ჩვენთან საუბარში სამშენებლო კომპანია "გოსმშენინვესტის" მფლობელმა ვლადიმირ დრობოტმა. "ჩვენ საქართველოს საელჩოსთან შეთანხმებით სრულიად კანონიერ მშენებლობას ვაწარმოებთ და არ დაგვირღვევია პროექტით გათვალისწინებული პარამეტრები. არ არის სწორი, თითქოს ჩვენ ბავშვებს ვართმევდეთ სათამაშო მოედნებს, მწვანე პარკს და ასე შემდეგ. მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანეს იმ პარტიათა წარმომადგენლებმა, რომლებიც კიევის მერის მარტისთვის დანიშნულ არჩევნებში (ამავე პერდიოდში უკრაინაში საპარლამენტო არჩევნებიც იმართება.- რედ.) ამომრჩევლების ხმების მოსაზიდად ასეთი სახის პიკეტირებას სხვა მაღალსართულიანი მშენებლობების შესაჩერებლადაც მიმართავენ. ასეთი ქმედება პოლიტიკური პიარის შემადგენელ ნაწილად იქცა," - დასძენს ვლადიმირ დრობოტი.

8 სართულიანი სახლის ნახევარში უნდა განთავსებულიყო ელჩის რეზიდენცია და რამდენიმე ბინა უკრაინაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებისათვის. სახლის ნახევარი კი გადაეცემოდა უკრაინულ სამშენებლო ფირმა "გოსმშენინვესტს", რომელსაც, შეთანხმების თანახმად, საკუთარი თანხებით უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი. თუმცა, ხელშეკრულების თანახმად, თუკი მშენებლობის დასრულებისათვის საქართველოს გაუჩნდებოდა შესაბამისი თანხა, ქვეყანას შეეძლო მთლიანად გამოესყიდა ინვესტორისაგან შენობა, რაც კიევის ცენტრში უძრავ ქონებაზე არსებული ასტრონომიული ფასების გათვალისწინებით, სერიოზულ დივიდენდს მოუტანდა ქვეყანას თუნდაც ამ ფართის გაქირავებით.

საქართველოს საელჩოსთან დადებული ხელშეკრულებით კომპანია "გოსმშენინვესტმა" პროექტირებასა და პროექტში საპაიო მონაწილეობით საინჟინრო ინფრასტურქტურაში 300 ათასი დოლარი უკვე დახარჯა. შესაბამისად, თუკი კიევის მერია გადწყვეტილებას შეცვლის და უკრაინაში საქართველოს საელჩოს ახალ მიწის ნაკვეთს შესთავაზებს, კომპანია ქალაქის ხელმძღვანელობისაგან შესაბამის ფულად კომპენსაციასაც მოითხოვს. და მზად არის, საკუთარი უფლება სასამართლოს ძალითაც დაიცვას.

ასე რომ, 3 ნოემბერს საბოლოოდ უნდა გაირკვეს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს კიევის საქალაქო საბჭო. თუმცა, ამთავითვე შეიძლება ითქვას ერთი რამ, რომ საქართველოს შეუძლია დაიცვას მშენებლობის უფლება გონჩარის ქუჩაზე არსებულ ნაკვეთზე, თუკი ეს საკითხი არა პოლიტიკური მიზანშეწონილობის, არამედ კანონის თანახმად გადაწყდება.

# ქართულ-ოსური სიტყვიერი ჭიდილი

პირველი გვერდიდან

ამასთან, როგორც შეხვედრის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, საკოორდინაციო საბჭო კვირის ბოლოს უკვე პრეზიდენტთან შეიკრიბება და დაახლოებით ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ გამოიკვეთება კონკრეტული მიმართულებები, რაც საჭიროა რეგიონში არსებული ვითარების დასარეგულირებლად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ რუსეთის ფედერაციის ელჩი ვლადიმირ ჩხიკვიშვილი მიიწვიეს და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის საგანგებო დავალებათა ელჩის ვლადიმირ კენიაკინის მიერ მანამდე გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტება სთხოვეს.

როგორც ცნობილია, კენიაკინმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ქართული მხარის მიერ მომზადებული გეგმა შეაფასა, როგორც არარეალისტური და ხაზი გაუსვა, რომ მასში ქართული მხარის პოზიციის გარკვეული გამკაცრება აღინიშნება, ამასთან, არ შეესაბამება გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ სამეტაპიან ინიციატივას.

შეხვედრაზე ჩხიკვიშვილმა დაადასტურა, რომ საგანგებო დავალებათა ელჩის განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალურ პოზიციას ასახავს.

ამის საპასუხოდ, საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთის პოზიციას ზედაპირული და ნაჩქარევი უწოდა და რუსულ მხარეს მოუწოდა, მეტი კონსტრუქციულობა და მოქნილობა გამოიჩინოს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში სერიოზული პროგრესის მისაღწევად.

ჟურნალისტებთან საუბარში კი ვლადიმირ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის მიერ გასულ წელს შემოთავაზებული **"სამეტაპიანი გეგმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით უფრო რეალურია, ვიდრე ქართული მხარის მიერ 27 ოქტომბერს ვენაში ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გაჟღერებული."**

ჩხიკვიშვილის განმარტებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ის ფორმატი, რომელიც ამჟამად მუშაობს, სავსებით მისაღებია და ის სახეცვლილებას არ საჭიროებს. კონფლიქტის დარეგულირებაში აშშ-ს მონაწილეობაც მისაღებია.

**"კონფლიქტის დარეგულირებას ეტაპობრივად უნდა მივუდგეთ. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამეტაპიანი სამშვიდობო დარეგულირების გეგმა, რომელიც ახლახან ნიუ-იორკში წარადგინეს, გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე წინადადება, პრობლემა ერთ წელიწადში გადაწყდეს. წლის მანძილზე ასეთი პრობლემები არ წყდება. თუ ყურადღებას სხვა კონფლიქტებს მიაქცევთ, ისინი ძალიან დიდი ხნის მანძილზე წყდებოდა. მაგალითად, კვიპროსის პრობლემა, რომლის მოგვარებას 30 წელზე მეტია ცდილობენ,"** - განაცხადა ელჩმა.

რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის შესაძლო შეხვედრას, როგორც ჩხიკვიშვილი აცხადებს, რუსეთი მხარს უჭერს ამ შეხვედრის ჩატარებას და მხარეებს ყველანაირად შეუწყობს ხელს.

გეგმასთან დაკავშირებით კომენტარი გუშინ ოსურმა მხარემაც გააკეთა. კერძოდ, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ ოფიციალურად არანაირი პროექტი არ მიუღია.

**"ქართული მხარე ამტკიცებს, რომ გეგმა მოიწონა აშშ-ს სენატმა, ეუთო-ში შემავალმა ქვეყნებმა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას დაავიწყდა ყველაზე მთავარი - შეათანხმონ ის სამხრეთ ოსეთთან. უფრო გონივრული იქნებოდა 5-16 ნოემბერს დაგეგმილ ლიუბლიანას შეხვედრამდე მოცდა და ამ გეგმის იქ გაჟღერება. მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთმა მოიწონოს,"** - იუწყება თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ბორის ჩოჩიევის სიტყვებზე დაყრდნობით.

სამოქმედო გეგმის ოსური მხარისთვის გაცნობა საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას დაავალა, რომლის ცხინვალში ვიზიტიც ჯერჯერობით არ შემდგარა.

დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ასევე ირწმუნება, რომ არ უნახავს ახალი გეგმა, თუმცა მასზე მოსაზრება მაინც აქვს და მიაჩნია, რომ ის ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესიდან რუსეთის განდევნას გულისხმობს, რაც თურმე დაუშვებელია.

**"ეს ქართულ-ოსური კონფლიქტია და არა ქართულ-ამერიკული, ან ქართულ-ევროპული. ამიტომ, მოლაპარაკების მაგიდასთან ჩვენთან უნდა დამსხდარიყვნენ და განეხილათ ეს გეგმა, და მხოლოდ შემდეგ მიემართათ შუამავალი ქვეყნებისათვის და, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციისთვის,"** - თქვა კოკოითიმ და დაამატა, რომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის მოსახლეობის 100-ვე პროცენტი რუსეთის მოქალაქეა და, გარდა ამისა, თავის დროზე სწორედ რუსეთმა შეაჩერა "ძმათამკვლელი ომი", როცა არც აშშ-ს, არც ეუთო-ს, არც სხვა ევროპულ ორგანიზაციებს კონფლიქტში ჩარევა არ უცდიათ.

კოკოითიმ ისიც თქვა, რომ საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გეგმით ყოველთვის იმ დროს გამოდის, როცა ქვეყანაში **"სოციალური ხასიათის კრიზისული სიტუაცია იქმნება და ეს სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ტრანშის მისაღებად საერთაშორისო სპონსორებისათვის მიმართვა."**

ამასთან, მისივე განცხადებით, ეს თანხები არასოდეს მოხმარებია სამხრეთ ოსეთს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომაზე 50-მდე ელჩის თანდასწრებით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის დეტალური გეგმა ოფიციალურად გამოაქვეყნა.

ზურაბ ნოღაიდელის მიერ წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს: საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურებას და, ამ მიზნით, ერთობლივ საკონტროლო კომისიაში ეუთო-ს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წევრად შეყვანას; პირდაპირ კონტაქტებს მხარეებს შორის, ქართულ-ოსურ დიალოგს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დონეზე; კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას; ეკონომიკურ რეაბილიტაციას; მოლაპარაკებას სამხრეთ ოსეთის სტატუსზე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში; კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის პარალელურად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაძლო დაფუძნებას; 1991 წლის შემდეგ დაგროვილი საპენსიო დავალიანების სრულად დაფარვას; რესტიტუციის შესახებ კანონის მიღებას; სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთათვის საქართველოს მოქალაქეთა პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი ყველა მოწმობის შეუფერხებლად დარიგებას; 1991-1992 წლებში ორივე მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას; ოსური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლისათვის საგანგებო კანონების მიღებასა და შესაბამისი ინსტიტუტების შექმნას.

# ბრიტანეთის ავიახაზების საჩუქარი

"ბრიტანეთის ავიახაზების" ზამთრის გრაფიკის გამოცხადების აღსანიშნავად კომპანია თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისზე გთავაზობთ სპეციალურ ფასს 400 დოლარის (72) ლარი) ოდენობით. ბილეთების შეძენა და მგზავრობა შესაძლებელია 2006 წლის მარტის ბოლომდე.

დიდ ბრიტანეთში, ლონდონზე უფრო შორი მგზავრობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ "ბრითიშ ეარვეისის" სპეციალური შემოთავაზებით, რომლის ფასიც 450 დოლარია (810 ლარი). როგორც საქართველოში "ბრითიშ ეარვეისის" გაყიდვების მენეჯერი ნინო ანდრიაძე აცხადებს, **"გვაქვს შესაძლებლობა, მომხმარებელს შევთავაზოთ, შობის სეზონზე ეწვიონ ლონდონს სპეციალური ფასდაკლებით და დატკბნენ ზამთრის ამ მომხიბლავი ქალაქით."**

"ბრითიშ ეარვეისის" ზამთრის გრაფიკი 31 ოქტომბრიდან ამოქმედდა. კვირის განმავლობაში, ავიახაზები თბილისი-ლონდონი-თბილისის მიმართულებით სამ რეისს ასრულებს. ფრენა სრულდება დილის საათებში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისი-ლონდონის რეისი სრულდება "ბრიტანეთის ავიახაზების" ფრენჩაიზერული პარტნიორის BMED –ის მიერ და მომხმარებელს სთავაზობს ბიზნეს-კლასისა და ეკონომ-კლასით მგზავრობას.

თბილისი-ლონდონი-ჰითროუს გრაფიკი მგზავრებს ავიახაზის მსოფლიო მასშტაბის ქსელს სთავაზობს, რომელიც დაახლოებით 80 ქვეყანის 150 აეროპორტს უკავშირდება.

დამატებითი ინფორმაციის ან ბილეთების დაჯავშნისათვის მგზავრებს შუეძლიათ დარეკონ 94 07 21 ან იხილონ ვებგვერდი www.ba.com.

*24 საათი*

## გლობალური დათბობა - "დიდი რვიანის" თავსატეხი

ხათუნა ბაბიევი

"დიდი რვიანის" სახელმწიფოთა ორდღიანი კონფერენცია გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით ლონდონში 1 ნოემბერს დაიწყო. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ენერგეტიკისა და ეკოლოგიის მინისტრების შეხვედრაზე განხილვის თემას "დიდი რვიანის" ინიციატივათა რეალიზაციის გზები წარმოადგენდა.

გარდა ამისა, ფორუმში მონაწილეობენ სხვა 12 სახელმწიფოს - ავსტრალიის, ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, მექსიკის, ნიგერიის, პოლონეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ კორეისა და ესპანეთის წარმომადგენლებიც. შეხვედრის ინიციატორი კვლავ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი იყო, რომელიც ამ იდეით ჯერ კიდევ შოტლანდიაში გამართულ გლენიგლზის სამიტზე გამოვიდა.

უმთავრესი გზავნილი, რაც კონფერენციის მსვლელობის პირველსავე დღეს გაისმა, იყო - ბრძოლა გლობალურ დათბობასთან ტექნოლოგიური მეთოდებით და არა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების დონეზე.

**"დაბალი შემცველობის ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლისათვის ტექნოლოგიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უკვე ბუნების მიერ ნაკარნახევი ისეთი გრაფიკის წინაშე აღვმოჩნდით, რასაც მხოლოდ ხელშეკრულებების გაფორმებით ვერ გავუმკლავდებით. ამას ოკეანეების დათბობა, ყინულის დნობის ტემპები და ქარიშხლების სწრაფად მზარდი სიმძლავრეც მოწმობს,"** - აღნიშნა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის ეკოლოგიის მინისტრმა მარგარეტ ბეკეტმა.

ბეკეტის თქმით, მსოფლიო ბანკმა უკვე განსაზღვრა ინვესტიციების ჩარჩო-პროგრამა ენერგეტიკის სფეროში, რომელიც გამიზნულია განვითარებადი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებში მასშტაბური ინვესტირებისათვის.

დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების მინისტრის ალან ჯონსონის განცხადებით კი, უკვე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მრავალი განვითარებული ქვეყანა საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების პარალელურად სახელმწიფო დონეზე დამატებით ზომებსაც იღებს გარემოს დაბინძურების შემცირების თვალსაზრისით.

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიისთვის 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოყო. გარდა ამისა, აღსანიშნავია აშშ-ს და საფრანგეთის ძალისხმევაც, სადაც ახალი ენერგეტიკული კანონმდებლობით "სუფთა" ენერგიის გამოყენების სტიმულირება ხდება, რაც გარემოსთვის ნაკლებად საშიში ნარჩენების მქონე ტრანსპორტის გამოყენებასა და მაღალი თბოიზოლაციის შენობა-ნაგებობების მშენებლობას ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მაგალითს უკვე მიბაძეს სხვა ქვეყნებმაც, რომლებმაც ანალოგიურ პროგრამაზე მუშაობა დაიწყეს.

რაც შეეხება უშუალოდ გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, ლონდონის კონფერენციას წინ უძღოდა გლენიგლზის "დიდი რვიანის" სამიტზე ხელმოწერილი შეთანხმება დაბალი შემცველობის ნახშირბადის ტექნოლოგიის განვითარების შესახებ. აღნიშნულ ხელშეკრულებაში საუბარია "სუფთა ნახშირის" გამოყენებაზე, რომელიც სპეციალურ მოწყობილობაში იწვება; ასევე ატომური და კვლავწარმოების უნარის მქონე ენერგეტიკის განვითარებაზე. ეს უკანასკნელი კი გლობალური დათბობის ფონზე მართლაც მოექცა ყურადღების ცენტრში.

დაბოლოს, დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა უწყება ამ დღეებში აპირებს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შესახებ დეტალური პროექტების წარმოდგენას, რომელიც "სათბურის აირის ნაირსახეობის" მკვეთრად შემცირებისკენ იქნება მიმართული.

გარდა ამისა, კვირის ბოლოს ლონდონში კიდევ მოეწყობა დამატებითი მოლაპარაკებები, რომლის მიზანიც ენერგეტიკული სფეროს ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა იქნება. მასში მონაწილეობას კი უკვე 40 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

### ორი სიტყვით

**ერაყი.** ქვეყნის ჩრდილოეთში გუშინ 10 წლის კამიკაძემ ქალაქ კირკუკის პოლიციის გენერალი ააფეთქა. როგორც სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება, ბიჭმა "შაჰიდის ქამარი" იმ დროს აამოქმედა, როცა მის მახლობლად გენერალ ჰათაბ აბდალა არების ავტომანქანამ გაიარა. აფეთქების შედეგად გენერალი მუცელში, მკერდსა და ფეხში დაიჭრა, დაშავებულია ავტომანქანის მძღოლიც.

კიდევ ერთი ტერაქტი გუშინ ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქ ბასრაში განხორციელდა. ქალაქის ცენტრში დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა. ხელისუფლება შიშობს, რომ მსხვერპლის რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

ერაყში დისლოცირებული ამერიკის ჯარების სარდლობის ინფორმაციით, ბოლო დღეების განმავლობაში ერაყში შვიდი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ოქტომბერში ამერიკულმა სამხედრო კონტინგენტმა 92 ჯარისკაცი დაკარგა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**აზერბაიჯანი.** ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის "ჰიუმან რაითს უოჩის" აზრით, აზერბაიჯანი მზად არ არის თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად. კენჭისყრა 6 ნოემბრისთვის არის დანიშნული. უფლებათადამცავები მძაფრად აკრიტიკებენ აზერბაიჯანის ხელისუფლებას ოპოზიციის შევიწროებისთვის. "ჰიუმან რაითს უოჩის" ანგარიშში ჩამოთვლილია ოპოზიციონერ კანდიდატთა მასობრივი დაპატიმრებებისა და ცემა-ტყეპის შემთხვევები, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მათთვის დაბრკოლებების შექმნის ფაქტები. **რადიო თავისუფლება**

## ნუთუ აზერბაიჯანი შემდეგია?

პირველი გვერდიდან

აზერბაიჯანის მმართველი პარტია "ენი აზერბაიჯანი", ილჰამ ალიევის მხარდაჭერისა და ადმინისტრაციული რესურსის მიუხედავად, მაინც პრობლემებს ვერ აუდის. ყოველ შემთხვევაში, სამი ოპოზიციური პარტია, - ისა გამბარის "მუსავატი", ალი ქერიმლის "სახალხო ფრონტი" და სოციალ-დემოკრატიული პარტია – 2003 წელს გარდაცვლილი ჰეიდარ ალიევის შემცვლელად მისი ვაჟის ილჰამის მოსვლის შემდეგ საკმაო გავლენითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

უფრო მეტიც, ისევე როგორც საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, დინასტიური პოლიტიკა აზერბიჯანში, კლანური მმართველობის გამოვლინებაა, რომელთაგან თითეული კლანის წარმატება მის წევრთა პრეზიდენტთან ახლობლობით არის განპირობებული.

ეს სისტემა, შესაძლოა, სტაბილურად მოგვეჩვენოს, რეალურად, იგი საკმაოდ მყიფეა, რადგანაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, კლანები უკანონობასთან, უსამართლობასთან და სიღატაკესთან ასოცირდება.

ოპოზიციამ უკვე დაიწყო გარდაქმნებისთვის ნიადაგის მომზადება. სამი ოპოზიციური პარტიის გაერთიანების - "აზადლიგის" - ლიდერები უკვე დღეს აცხადებენ, რომ არჩევნების ნებისმიერი შედეგი, სადაც ოპოზიციას ხმების 70 პროცენტზე ნაკლები ექნება, ფალსიფიცირებულად ჩაითვლება და აუცილებლად მოჰყვება ქუჩის აქციები. ეს სწორედ ის სცენარია, რომელიც უკვე განხორციელდა 2000 წელს სერბეთში, 2003 წელს საქართველოში და 2004 წელს უკრაინაში.

მაგრამ იმუშავებს თუ არა ეს მოდელი აზერბაიჯანში? "გენერალური რეპეტიცია" 2003 წელს სრული კრახით დასრულდა. მაშინ ოპოზიციამ, მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო გაერთიანება და ერთიანი ფრონტით ილჰამ ალიევის წინააღმდეგ გამოსვლა, გამოაცხადა, რომ არჩევნების შედეგები გააყალბეს და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. ქუჩაში გამოსული არცთუ დიდი მასის განდევნა კი ხელისუფლებამ იოლად შეძლო და მრავალი პროტესტანტიც დააპატიმრა..




*მოსახლეობის უმრავლესობისთვის სახელისუფლებო კლანები უკანონობასთან, უსამართლობასთან და სიღატაკესთან ასოცირდება.*

ამჯერად ოპოზიცია ერთიანია. მათ 125 პარლამენტარზე შეთანხმება უკეთესად შეძლეს, ვიდრე ერთ პრეზიდენტობის კანდიდატზე.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მაინც უპირატესობას ფლობს. თუ გავიხსენებთ, - თბილისშიც, კიევშიც და ბიშკეკშიც ოპოზიცია მანამდე უკვე ფლობდა მაღალ თანამდებობებს ხელისუფლებაში. მართალია, ეს ხელისუფლება მათ, საბოლოო ჯამში, კორუფციაში დაადანაშაულეს, მაგრამ მათ ეს ისე მოახერხეს, რომ ხალხის ნდობა არ დაუკარგავთ.

აზერბაიჯანის დღევანდელი სიტუაცია დიდად განსხვავდება ამ ვითარებისგან. დღევანდელი ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი 1992-93 წ.წ. ხელისუფლებაში კი იმყოფებოდა., მაგრამ მწარე მოგონებების გარდა მათი მმართველობის პერიოდი ხალხს არაფერს აგონებს. მით უმეტეს, რომ მაშინ ომი მძვინვარებდა სომხეთთან ყარაბაღის გამო.

თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ წინა "ფერადი რევოლუციები" მსოფლიო საზოგადოებრიობის, უფრო სწორად, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ემყარებოდნენ.

ისევე როგორც საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, მმართველი რეჟიმის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩანს ეს ხელისუფლება "საერთაშორისო" ტელეეკრანზე – ანუ ადამიანის უფლებათა დამრღვევად, რომელიც ხალხის ნების საპირისპიროდ მოქმედებს და, ამით, "მიღებულ დემოკრატიულ ფასეულობებს" არღვევს.

აზერბაიჯანის ხელისუფლება მთლად ამგვარად არ გამოიყურება. 1993 წელს ჰეიდარ ალიევმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, შეაჩერა ომი სომხეთთან. შეძლო აზერბაიჯანის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა და ნავთობმრეწველობის აღორძინების შედეგად თავისი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტიც აღადგინა. მამიდან შვილისადმი ხელისუფლების გადაცემა მშვიდობიანიად განხორციელდა და ილჰამ ალიევმა წარმატებით შეძლო უმნიშვნელოვანესი პროექტის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის განხორციელება (ეს პროექტი უკიდურესად აღიზიანებს რუსეთსა და სომხეთს).

ამავდროულად, ნავთობზე მაღალმა ფასებმა შესაძლებლობა მისცა ბაქოს, უფრო მეტი ხარჯი გაეწია სოციალურ დახმარებაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დღეისთვის ბაქო წარმოადგენს უზარმაზარ სამშენებლო მოედანს, სადაც ერთდროულად შენდება მრავალსართულიანი სახლები, მაღაზიები და გზები, რაც მთავარია, შენდება რეკორდული სისწრაფით, - და, ბუნებრივია, მოსახლეობის ფართო ფენისთვის სარგებლობის მომტანია.

მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს "აღმშენებლობითი პროცესი" შესაძლოა, სრულიად უსარგებლო გამოდგეს, თუ დასავლეთმა და კონკრეტულად, აშშ-მ გადაწყვიტა, რომ ილჰამ ალიევის მმართველობა ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად გამოიყენებს "მედია-იმიჯს".

დასავლეთის მთავარი ინტერესი არ მდგომარეობს აზერბაიჯანის ნავთობის რესურსებში, რომელიც, თუ სიმართლე გვინდა, მსოფლიო ნავთობმოხმარების 0,06 პროცენტს უზრუნველყოფს. სტრატეგიული ინტერესი მდგომარეობს იმ გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, რომელიც აზერბაიჯანს გააჩნია. ასევე იმ როლში, რომელიც აზერბაიჯანს შეუძლია შეასრულოს მეზობელი, აგრესიულად განწყობილი ირანის გასანეიტრალებლად.

თუმცა, ერთი შეხედვით, დასავლეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს ოპოზიციასთან ბრძოლაში. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ევროპარლამენტის თავმჯდომარე და ამჟამინდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილე ხომ სულ ახლახან იმყოფებოდნენ ბაქოში. გარდა ამისა, ექსპერტებიც იგივე მოსაზრებას ამკვიდრებენ. როგორც აშშ-ს საგარეო პოლიტიკის უხუცესმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გერმანულ რადიოსადგურთან ინტერვიუში განაცხადა: "აზერბაიჯაინელების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ილჰამ ალიევს უჭერს მხარს. ამიტომ, ვითარება მკვეთრად განსხვავდება საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში არსებულისგან".

თუმცა, როგორც ჩანს, დასავლეთი ოპოზიციის მხარდაჭერით, ორმაგ ფსონებსაც დებს. იგივე ბზჟენისკი ამბობს: "რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება მაქსიმალურად სტაბილური და ლეგიტიმური იყოს".

თუ დასავლეთი გადაწყვეტს, რომ ხელისუფლება "არასანდო" გახდეს, ილჰამის სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე უარი, ბაქოში ოპოზიციისა და ხელისუფლების შეტაკებების ამსახველი ყოველდღიური კადრები და, ყველა ნარინჯისფერი საქონლის კონფისკაცია მაღაზიებიდან ძალიან გამოდგებოდა.

ბუნებრივია, მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიები არ გამოიწვევს რევოლუციას. მაგრამ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფო სუსტია და, ამიტომ, შინაგანი არეულობისთვის არამდგრადია. აზერბაიჯანი არ წარმოადგენს გამონაკლისს, ხოლო რუსეთი, რომელმაც ერთხელ უკვე დააშავა საქართველოსა და უკრაინაში ღიად ჩარევით, მიანიშნებს, რომ ამჟამად მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

მთავრობა თითქოს დარწმუნებულია იმაში, რომ ნავთობის მაღალი ფასები, ადმინისტრაციული რესურსები და ადგილობრივ მედიასაშუალებებზე კონტროლი არჩევნებში გამარჯვების გარანტიას იძლევა. თუმცა, შესაძლოა, ეს რესურსი არასაკმარისი აღმოჩნდეს.

*პროექტი სინდიკატი, 2005*

## ლონდონის ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნის პარაკლისი

1 ნოემბერს ლონდონში ზაფხულის ტერაქტში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ღონისძიება გაიმართა, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს მონარქები დედოფალი ელისაბედი და მისი მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი ფილიპეც დაესწრნენ.

7 ივლისის მსხვერპლნი წმინდა პავლეს ტაძარში ღვთისმსახურებისას გაიხსენეს. ღონისძიებაზე მიწვეული სტუმრების რაოდენობა 2000-ს აჭარბებდა. ესენი იმ საბედისწერო დღეს გადარჩენილი ხალხი, დაღუპულთა ოჯახის წევრები, სამაშველო ჯგუფებისა და სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლები, დიდი ბრიტანეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მაღალჩინოსნები იყვნენ. პარაკლისს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერიც ესწრებოდა.

სამგლოვიარო მესა ტაძრის წინამძღვარმა ჯონ მოზესმა აღავლინა. სიტყვით გამოვიდა კენტერბერის არქიეპისკოპოსი როეუნ უილიამსიც.

ცერემონიაზე სამაშველო სამსახურის ოთხმა წარმომადგენელმა საკურთხეველთან 4 სანთელი მიიტანა, ოთხ ადგილზე განხორციელებული ტერაქტის ნიშნად. სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წევრებმა კი ამ სანთლებიდან ე.წ. იმედის სანთლები აანთეს, რაც ტერორიზმის წინაშე ადამიანთა ერთიანობის სიმბოლო იყო.

მთელი ცერემონიის ტრანსლაცია კი პირდაპირ ეთერში ხდებოდა, სპეციალური ეკრანი იყო დამონტაჟებული ტრაფალგარის მოედანზეც.

პარაკლისის დასრულების შემდეგ კი დედოფალი ელისაბედი დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და იმ პირებს გაესაუბრა, ვინც ივლისის შემზარავ ტერაქტებს სასწაულით გადაურჩა. 7 ივლისს ლონდონში თითქმის ერთდროულად გაისმა მეტროს ვაგონებსა და ავტობუსში 4 აფეთქების ხმა. ტერაქტებს 56 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის 4 თვითმკვლელი ტერორისტი. დაშავებულთა რაოდენობამ კი 700 კაცს გადააჭარბა.

*24 საათი*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის შესრულება GFA Terra Systems-ის წარმომადგენლობა, აღორძინების საკრედიტო ბანკი - KFW-ს თანადაფინანსებით აცხადებს ღია ტენდერს ნიადაგის ატლასისთვის რეპრეზენტატიული კვლევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაახლოებით 500 ჭრილი. ნიმუშის აღებას და შემდეგომი ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას, რომლისთვისაც პროექტი ყველა დაინტერესებულ პირს იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული აქვთ ნიადაგური კვლევა თანამედროვე კოდირებული სისტემის გამოყენებით.
2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2 თვე.
3. დაინტერესებულმა პირებმა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დანართი №1-ის მიხედვით შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, რომელიც შეიცავს ტენდერში მონაწილის მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოთა ნუსხას, სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას, პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემებს და სხვა ტექნიკურ შესაძლებლობებს, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინონ მ/წლის 17-დან 18 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბულაცაურის ქ.№10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 0113
4. საკვალიფიკაციო მონაცემებს უნდა დაერთოს შემდეგი ცნობები და ინფორმაციები:

ა)ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
ბ)ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან ყადაღის შესახებ;
გ)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;
დ)ცნობა ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
ე)აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
ვ)სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეესტრის შესახებ, წესდება(ასლი)
ზ)ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული საგადასახადო ინსპექციის მიერ;
თ)ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დამატებით (გარდა "ა" "ვ" პუნქტებისა) ფიზიკური პირებისთვის:

ა)ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ)ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ მ/წლის 24 ნოემბრის 17 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ბულაჩაურის ქ.№10/27 IV სართული, საფოსტო განყოფილება 0113
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სემდეგი პირებისგან: ლიკა ჭანტურია - მიწის კონსოლიდაციის კომპონენტის მენეჯერი, საკონტაქტო ტელეფონი 25 15 28 მისამართზე: ქ.თბილისი, ბულაჩაურის ქ.№10/27 IV სართული, საფოსტო განყოფილება 0113

*სატენდერო კომისია*

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნებისმიერ უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07



ცენტრ პოინტი

# „ომბუდსმენის ოფისი ოპოზიციური პარტია არ არის, რომ ყველაფერზე რადიკალური განცხადებები აკეთოს"

პირველი გვერდიდან

**- როგორც ცნობილია, ომბუდსმენის გარდაქმნილი ოფისი ახალი კადრებით დაკომპლექტდა, სახალხო დამცველის აპარატში მომხდარმა საკადრო წმენდამ კი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია..**

- ყველა, ვინც გავუშვით სამსახურიდან, უკმაყოფილოა და ეს ბუნებრივია. მართალია, თავიდანვე თანამშრომელთა უმრავლესობა გამოვცვალეთ, მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს არ იყო ისეთი რადიკალური წმენდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. ამ შეცდომის გამოსწორება დროთა განმვალობაში მომიხდა. მაგალითად, დავტოვეთ არაიურისტი კადრები, რომელთა გამოცდილების გამოყენებას ვფიქრობდით, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდით, რომ, როცა საქმე სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებს, მხოლოდ გამოცდილება საკმარისი არ არის. დღეს კი ის ახალგაზრდული გუნდი, რომელიც ჩვენს აპარატში შეიკრიბა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, რომელიც არის სახელმწიფო აპარატში. მართალია, გამოცდილება ხშირად არ აქვთ საკმარისი, მაგრამ არიან უაღრესად მოტივირებულები და მონდომებულები, ხოლო ცოდნასა და გამოცდილებას ყოველდღიურად იმაღლებენ პრაქტიკული მუშაობისა თუ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტრენინგ-სემინარების გზით.

**- სტრუქტურული და საკადრო ცვლილება რამდენად აისახება ოფისის პრაქტიკულ საქმიანობაზე?**

- მთავარი განსხვავება ის არის, რომ აპარატი ბევრად უფრო მობილური გახდა. აღარ ვართ დამოკიდებული იმაზე, განცხადებები შემოგვდის თუ არა. გავდივართ ადგილებზე, მონიტორინგს ვატარებთ და პრობლემას ვსწავლობთ საქართველოს ნებისმიერ წერტილში. ამის მაგალითია ის, რომ ცხრა თვის განმავლობაში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ჩვენს აპარატს გაკეთებული აქვს ორი ათასზე მეტი ვიზიტი. ეს სერიოზული სამუშაოა, რაც სერიოზულ ფინანსებზე არის დამოკიდებული. მსგავსი მასშტაბური მონიტორინგი, ვფიქრობ, მსოფლიოში არ განხორციელებულა. ამ მონიტორინგის შედეგად პოლიციის ყველა განყოფილებაში შემოიღეს სტანდარტული ჟურნალები და, თითქმის, აღარ არის დარღვევა ვადებთან დაკავშირებით. აშკარად იკლო დაკავების საკნებში ცემა-წამების ფაქტებმა. თუმცა, კვლავ ხშირად ვხვდებით ისეთ დარღვევებს, როცა დაკავებულებს საკუთარ უფლებებს არ აცნობენ, არ აძლევენ ახლობლებთან დარეკვის საშუალებას; არის შემთხვევები, როცა პრობლემებს უქმნიან ადვოკატებს და ა.შ. აქვე აღვნიშნავ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს აქვს დაზიანებები მიღებული დაკავების დროს. ცხადია, არის შემთხვევები, როცა ეჭვმიტანილები სამართალდამცველებს მართლაც უწევენ წინააღმდეგობას, მაგრამ დაზიანებათა რიცხვი გვაფიქრებინებს, რომ პოლიცია აშკარად ზედმეტად იყენებს ძალას. ასეთ ფაქტებზე ინფორმაციას ვაწვდით შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჭიროების შემთხვევაში - გენერალურ პროკურატურასაც, და უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევას მიეცა შესაბამისი რეაგირება. გარდა კონკრეტული შემოწმებებისა, საქართველოს ყველა რეგიონის მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის და პოლიციელებისთვის ვატარებთ ტრენინგებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

**- თავის დროზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და თქვენი ორგანიზატორობით, მონიტორინგის ჯგუფების შექმნას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. რამდენად გაამართლა ამ ჯგუფების მუშაობამ?**

- ეს საბჭოები ჩვენი ოფისივით მასშტაბურად ვერ ფუნქციონირებს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ისინი უფრო სწრაფად მიდიან "დანაშაულის" ადგილზე და რეაგირებენ. ვფიქრობ, რომ თუ მონიტორინგის საბჭოები მომავალში საზოგადოებრივ საბჭოებად გადაიქცევა, უკეთ იმუშავებენ.

**- სახალხო დამცველის ოფისის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება პატიმრების უფლებები, თუმცა მათი მდგომარეობა არაფრით იცვლება...**

- გეთანხმებით, ეს ის სფეროა, სადაც ყველაზე მეტად ირღვევა ადამიანის უფლებები, რადგან საპატიმროებში არსებული პირობებიც კი უკვე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. მაგრამ, ეს პრობლემა არ გადაიჭრება, ვიდრე არ ამოქმედდება ახალი ციხეები. ამიტომ, დღეს სუბიექტურ პრობლემებზე გავამახვილებ ყურადღებას. ეს არის ის კორუფცია, რომელიც გამეფებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და რის შედეგადაც, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო ირღვევა ადამიანის უფლებები. თუნდაც ერთი მაგალითი რად ღირს, როცა N1 ციხის უფროსმა კიკალიშვილმა თავისი ხელით სცემა სამ პატიმარს. ნაცემი პატიმრები მეც ვინახულე, ინახულეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ქალბატონმა ელენე თევდორაძემ; ჩავატარეთ ალტერნატიული ექსპერტიზა და ყველა ხელს ადებდა ხელმძღვანელს. ის კი, დასჯის ნაცვლად, ცოტა ხანში №7 საპყრობილის უფროსად გადაიყვანეს. სწორედ ამ ადამიანმა აღუკვეთა უკანონოდ თავისუფლება მონიტროინგის საბჭოს წევრებს. მისი მოადგილე დაპატიმრებულია, მაგრამ თვითონ დაუსჯელი დარჩა. სისტემა, რომელსაც შოთა კოპაძე ხელმძღვანელობს, მთლიანად კორუფციაზეა აგებული. მე პარლამენტში მოვითხოვე როგორც კიკალიშვილის, ისე დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლება, მაგრამ საკითხი დღემდე ვერ გადაწყდა; ასევე, გვაქვს რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირებული, როდესაც ავადმყოფი ციხის საავადმყოფოდან გაწერეს იმიტომ, რომ მან ფულის გადახდა ვერ შეძლო. ამის გამო, ერთი პატიმარი გარდაიცვალა, ერთ შემთხვევაში კი, ჩვენი ჩარევის შემდეგ ბოლო წუთებში მოვახერხეთ უკიდურესად მძიმე ავადმყოფის კვლავ საავადმყოფოში დაბრუნება.



სოზარ სუბარი.

**- აღნიშნული პრობლემების გამო, თქვენ, ფაქტობრივად, დაუპირისპირდით იუსტიციის მინისტრს, რომელმაც თქვენი თანამშრომლები და სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე მონიტორინგის საბჭოს წევრები კორუფციაში დაადანაშაულა.**

- სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული კორუფცია იმდენად მასშტაბურია, რომ ამის სხვაზე გადაბრალების მცდელობა, უბრალოდ, აბსურდია და სხვა არაფერი. თავად განსაჯეთ: იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა, ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე, ათობით პატიმარი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან საპყრობილეში გადაიყვანა, რაც სერიოზული დანაშაულია. მოგვიანებით თავადვე აღიარეს ეს შეცდომა და მათი უმრავლესობა სამედიცინო შემოწმების შემდეგ კვლავ სამკურნალო დაწესებულებაში დააბრუნეს. ამისთვის პასუხისმგებლობა არც გენერალური ინსპექციის უფროს დაეკისრა და არც შოთა კოპაძეს. იუსტიციის მინისტრმა უნდა გააკონტროლოს, რომ მისი ყველა ქვეშემრდომი იცავდეს კანონის უზენაესობას, განსაკუთრებით - ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. არ შეიძლება პენიტენციურ სისტემას ხელმძღვანელობდეს კორუმპირებული ხალხი, რომლებიც თავად არიან შეკრულები იმ კრიმინალებთან, რომლებიც მართავენ სისტემას. ერთ მაგალითს გავიხსენებ: იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს წევრმა თეა თუთბერიძემ N1 საპყრობილის ადმინისტრაციულ კორპუსში თავისუფლად მოსეირნე ერთ-ერთი საშიში კრიმინალი შენიშნა, საპყრობილის ადმინისტრაციიდან კი არავის აღმოაჩნდა გამბედაობა, რომ ამ კრიმინალისთვის არათუ ებრძანებინა, არამედ მორიდებით მაინც ეთხოვა საკანში დაბრუნება. ასეთი ადმინისტრაცია კი პენიტენციურ სისტემაში ვერც წესრიგს დაამყარებს, ვერც კორუფციას აღმოფხვრის და, ცხადია, ვერც ადამიანის უფლებებს დაიცავს.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ დაკავებულთა ცემა-წამების შემთხვევებმა მინიმუმამდე იკლო, არასამთავრობო ორგანიზაციები კი საკმაოდ დიდ ციფრებს ასახელებენ...**

- მე ვამბობ, რომ ცემა-წამებამ წინასწარი დაკავების საკნებში იკლო. თუმცა, სხეულის დაზიანებების მაღალი ხარისხია დაკავების მომენტში. არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატები გვატყობინებენ დაკავებულთა ცემის შესახებ, მაგრამ ეჭვმიტანილები თუ ბრალდებულები პოლიციელების მხრიდან ფიზიკურ ზეწოლას უარყოფენ. ამ შემთხვევაში, ვერაფერს გავხდებით.

**- ის პრობლემები, რაზეც ვსაუბრობთ, ფაქტობრივად, უცხო არც წინა სახალხო დამცველის ოფისისთვის ყოფილა. თუ გაქვთ სხვა, ახალი მიმართულებები?**

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო ჩვენი ოფისის დაინტერესება ჯანდაცვის სფეროთი. ეს სრული სიახლეა. მართალია, ამ სფეროში უამრავი პრობლემაა, მაგრამ ამჯერად ჩვენ პრიორიტეტულად მივიჩნიეთ ფსიქიატრიული საავადმყოფოები. გასაგებია, რომ ჩვენი ვერც ერთი საავადმყოფო ვერ დააკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს. ამიტომ, გვინდა, დავიწყოთ მინიმალური სტანდარტით. მომავალში კი მთლიანად ჯანდაცვის სფეროს უნდა მივაქციოთ ყურადღება. კიდევ ერთი სფერო, სადაც ვიწყებთ მონიტორინგს, არის კერძო კომპანიებში შრომითი უფლებების დაცვა. გვქონდა ამ სახის საჩივრები, მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ დარღვევებზე საუბრობენ მხოლოდ ის მუშები, რომლებიც გაათავისუფლეს, ისინი კი, ვინც დარჩნენ სამუშაო ადგილზე, დარღვევას უარყოფენ. მასალები დაგვიგროვდა იმაზეც, რომ კერძო კომპანიებში სერიოზულად ირღვევა სამუშაო დრო. ვინმემ, შეიძლება, ამის გამო გამაკრიტიკოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ სანამ ქვეყანაში სამუშაო ადგილების პრობლემა მწვავედ დგას, ამაზე საუბარი ნაადრევია.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი ჩავატარეთ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტიდან კერძო თუ იურიდიულ პირების მიმართ დავალიანების ამოღება მხოლოდ ოთხი პროცენტი ხდება. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან ამით არამარტო ადამიანის უფლება ილახება, არამედ ქვეყნის იმიჯიც. უამრავი განცხადება შემოვიდა სახელმწიფო დაწესებულებებიდან გათავისუფლებული ადამიანების. უმეტეს შემთხვევაში, გათავისუფლება კანონიერი იყო. თუმცა, სახალხო დამცველის ოფისის დახმარებით, აფხაზეთის პოლიციის 1400-მა გათავისუფლებულმა თამანშრომელმა ორი თვის ხელფასი მიიღო თავისი დანამატით. ახლა ვმუშაობთ ენერგოსისტემიდან გათავისუფლებული 1500-მდე ადამიანის საქმეზე, რათა მათაც მიიღონ კუთვნილი ხელფასი და გადახდის პროცესი უკვე დაიწყო. საინტერესოა ფინანსური პოლიციიდან დათხოვილი რამდენიმე ადამიანის საქმე. როგორც ისინი ამბობენ, ყველა თანამშრომელს წინასწარ დააწერინეს განცხადებები, რომლებსაც უფროსი ინახავს და როცა დასჭირდება, ათავისუფლებს ამა თუ იმ თანამშრომელს. წინასწარ რამის მტკიცებას არ ვაპირებთ, ახლა ვსწავლობთ ამ საქმეს. საინტერესოა, რომ ამ საქმის შესწავლის პროცესში საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" ადამიანი უფლებების სერიოზული დარღვევები აღმოვაჩინეთ - კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მებაჟეები და ფინანსური პოლიციის წარმომადგენელები განბაჟებას უკანონოდ ახდენდნენ. დავიწყეთ ამ ფაქტის შემოწმებაც. სერიოზულ გარღვევას მივაღწიეთ რელიგიური უმცირობების უფლებების დაცვის კუთხით. შეიქმნა რელიგიათა საბჭო, სადაც ყველა რელიგიის წარმომადგენელია შესული და ისინი ერთად მსჯელობენ სხვადასხვა პრობლემაზე; გვაქვს პროგრამები ინვალიდების დახმარების კუთხით. ერთ-ერთი პრიორიტეტია ეთნიკური უმცირესობები, სადაც სერიოზული პრობლემებია. ჩადით სამცხეში, ჯავახეთში, წალკაში, მარნეულში და ნახავთ, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ოფისი, ვისაც ენდობიან. მართალია, დახმარებას ყოველთვის ვერ ვახერხებთ, მაგრამ ნდობის მოპოვება შევძელით. ვმუშაობთ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, ბავშვთა და ქალების უფლებებზე და გარკვეული წარმატებები გვაქვს.

**- ბოლო პერიოდის მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ომბუდსმენის აპარატს ჯარისკაცები ხშირად ნდობას უცხადებენ.**

- თავდაცვის სამინისტროს მონიტორინგი ჯერჯერობით არ გვაქვს ისე აწყობილი, როგორც საჭიროა. ეს რთული სისტემაა. დღემდე იქ არსებული მდგომარეობა ჩვენი ოფისის მიერ სისტემურად არ ყოფილა შესწავლილი. ამიტომ, ამ სფეროში ახლა ვიწყებთ მონიტორინგს. მართალია, ზოგჯერ ადგილზე ვსწავლობთ სიტუაციას, ზოგჯერ კი ჯარისკაცები თავად მოგვმართავენ, მაგრამ ეს მაინც ცალკეული შემთხვევებია. ჩვენი ჩარევის შემდეგ შესაძლებელი გახდა ახალქალაქის ერთ ერთი სამხედრო ბაზიდან გაქცეული ჯარისკაციებს ნაწილის უკან დაბრუნება. ასეთსავე შედეგს მივაღწიეთ აზერბაიჯანელი სამხედროების გაქცევის შემთხვევაშიც. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში ჯარისკაცები, ძირითადად, სოციალურ პრობლემებზე ან ჯარისკაცებს შორის დაპირისპირებაზე კი არ საუბრობდნენ, არამედ ცალკეული ოფიცრების მხრიდან ეროვნული კუთხით დისკრიმინაციაზე. ორივე შემთხვევის გამო აღძრულია საქმე. ჩვენი მანდატი არის სამართლებრივი რეაგირება და თუ ამით შედეგს ვერ ვაღწევთ, მაშინ ყველაფერს ვაკეთებთ საზოგადოებრივი აზრის შესაქმელად. მაგალითად, ჯარისკაც კუკავას შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის შექმნით შევძელით გამოძიების დაწყება. ამასთან, ომბუდსმენის ოფისის ყველაზე დიდი ბერკეტი არის საპარლამენტო ანგარიში და პარლამენტის წინაშე ამა თუ იმ პრობლემის დაყენება.

**- გიჭერთ თუ არა მხარს პარლამენტი?**

- როგორც აღვნიშნე, კოპაძის შემთხვევაში, მიუხედავად საპარლამენტო მხარდაჭერისა, შედეგს ვერ მივაღწიეთ. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რა მექანიზმით ინარჩუნებს იგი თანამდებობას ან ვინ მფარველობს მას. სხვა მხრივ, არის საკითხები, განსაკუთრებით გამოძიების კუთხით, როცა პარლამენტის ჩარევით სერიოზული ცვლილებები მოხდა, მაგალითად - რობაქიძის მკვლელობა. გამოძიება მიდიოდა სხვა მიმართულებით. დაკავებულები იყვნენ მოკლულის მეგობრები, საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. დაკავებულები გაათავისუფლეს და მათი ადგილი პოლიციელმა დაიკავა.

**- დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ სერიოზულად ილახება მედიის უფლებები. რას ფიქრობს ამაზე ყოფილი ჟურნალისტი და დღევანდელი ომბუდსმენი?**

- ჟურნალისტები დარღვევებზე მართლაც საუბრობენ, მაგრამ ხშირად ოფიციალურად საუბრისგან თავს იკავებენ. გვაქვს ზეპირი ინფორმაცია, რომ ჟურნალისტს სცემეს. მაგრამ, როდესაც ვამოწმებთ, გვეუბნებიან, რომ ამაზე არ სურთ საუბარი. ასეთ შემთხვევაში რეაგირების მოხდენა ძნელია. მე თუ მკითხავთ, ბეჭდვით მედიაში ყველაფერზე წერენ, ვისაც რა უნდა. ტელევიზიებში პრობლემა სარედაქციო დამოუკიდებლობის არქონაა. როცა ჟურნალისტი და რედაქცია დამოკიდებულია ტელევიიზიის მფლობელზე, მფლობელი კი ხელისუფლების წარმომადგენელია, თავისთავად ცხადია, იგი თავისთავის წინააღმდეგ არასოდეს წავა. ან, როდესაც დამფუძნებელი არის წარმატებული ბიზნესმენი და ტელევიზია მისთვის არის არა ბიზნესი, არამედ ერთგვარი ლობი ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, არც ის მისცემს ჟურნალისტს თავისუფლებას. ჩემი აზრით, პრობლემა არის ის, რომ მედია ჩვენს ქვეყანაში ვერ იქცა ბიზნესად. ვიდრე მედია არ იქნება ფინანსურად დამოუკიდებული, ის ვერ იქნება ბოლომდე თავისუფალი, მიუხედავად იმ ლიბერალური კანონმდებლობისა, რომელიც ჟურნალისტის მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს.

**- თქვენ ხშირად გსაყვედურობენ, რომ არ ხართ ისეთი რადიკალური, როგორც სახალხო დამცველს მოეთხოვება.**

- სახალხო დამცველის ოფისი არ არის ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომ ყველაფერზე მაქსიმალურად რადიკალური განცხადებები აკეთოს. ჩემი მიზანი არის შედეგის მიღწევა, თუნდაც - ნაბიჯ-ნაბიჯ. მინდა თანამშრომლობა ყველა სახელმწიფო უწყებასთან, რადგან მარტო სახალხო დამცველის ოფისი ვერ დაიცავს ვერავის უფლებას, თუ ეს მთელი ქვეყნის პოლიტიკა არ იქნება. ახლა გვაქვს სემინარი ადამიანის უფლებათა ეროვნული გეგმის შემუშავებზე, რაც უნდა იყოს მთელი ქვეყნის გეგმა. ეს ყველაფერი ჩემთვის უფრო ფასეულია, ვიდრე ხმამაღალი განცხადებები ნებისმიერ თემაზე. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, როცა სამართლებრივ რეაგირებას შედეგი არ მოაქვს, ცხადია, ამას ვაკეთებ. მე მაქვს ამბიცია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ქმედითი ოფისი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. დამერწმუნეთ, ამას გავაკეთებ.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები
პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!
შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!
- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% წლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან
კამპანია 30.11.05 ძალაშია
ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!
- მიიღეთ 10% წლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!
პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

## მოკლედ

### "პოპული" დალუქულია

"ნიკალას" ქსელებში ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებული ხმაურიანი რეიდის შემდეგ შედარებით მშვიდად ჩაირა სუპერმარკეტ "პოპულის" სავაჭრო ქსელში არსებული მაღაზიების მასობრივმა შემოწმებამ. გუშინწინ, გვიან ღამით ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლები "პოპულის" ცამეტივე ობიექტში ერთდროულად შევიდნენ და ყველა მაღაზია დალუქეს. გამოძიება სამი სამეწარმეო სუბიექტის - ინდმეწარმე "ირაკლი ცანავას", შპს "ა-15"-ის და სააქციო საზოგადოება "პოპულის" მიმართ მიმდინარეობს, რომელთა საკუთრებაშიც "პოპულის" სახელწოდების მქონე 13 მაღაზიაა.

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სავაჭრო ობიექტში ყოველდღიურად უნდა დგებოდეს საბუღალტრო ნაშთი, რათა გაირკვეს, რა პროდუქცია დარჩა გასაყიდი და შემდეგ მოხდეს საბუთებთან შედარება. აღმოჩნდა, რომ "პოპულის" მაღაზიებში ასეთ საბუღალტრო ნაშთს საერთოდ არ აწარმოებდნენ. შესაბამისად, ამ ეტაპზე გამოძიება "საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის" გამო მიმდინარეობს. ცამეტივე ობიექტიდან ამოღებულია მაღაზიების დოკუმენტაცია და კომპიუტერები. თუმცა, ფინანსური პოლიცია "პოპულის" ქსელში აღმოჩენილ სხვა დარღვევებზეც საუბრობს. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, მაღაზიებში არსებული პროდუქციიდან ამოღებულია ძეხვეული, რომლებიც სპეციალურ მაცივარში ინახება. ფინანსური პოლიციის ეჭვი იმან გამოიწვია, რომ ძეხვეულის ნაწილს ვარგისიანობის ვადა გადაშლილი ჰქონდა, ნაწილს კი გადასწორებული. გამოძიების მიერ დანიშნულია სასაქონლო ექსპერტიზაა.

ფინანსური პოლიციის პრესსამსახურის განცხადებით, მაღაზიათა შემოწმება კვლავაც გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ იქ გადასახადების დამალვის ფაქტიც გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევაში, "პოპულის" ხელმძღვანელობას ბრალდება კიდევ უფრო დაუმძიმდება. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის საქმე გადასახადების დაფარვის მუხლითაც აღიძრება. რაც შეეხება მაღაზიების ფუნქციონირების აღდგენას, როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ეს თავად "პოპულის" ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული.

**"მათ რომ საბუთები წესრიგში ჰქონოდათ, მაღაზიები არ დაილუქებოდა და მუშაობას არ შევაფერხებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერანაირი დოკუმენტაცია ვერ წარმოგვიდგინეს"**, - აცხადებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კარლო დოლიძე. "პოპულის" მაღაზიათა ქსელში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო

დეპარტამენტის ცამეტი ჯგუფი გუშინ მთელი დღე მუშაობდა. მათი დაპირებით, გამოძიების საბოლოო შედეგები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

### სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლის ცხედარი აღმოაჩინეს

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ტერიტორიაზე გუშინწინ სასაზღვრო ძალების მაიორის, 47 წლის თენგიზ მღებრიშვილის ცხედარი აღმოაჩინეს. გარდაცვლილის ძმამ და თანამშრომლებმა იგი სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაზე, აბანოს შენობის წყალგაყვანილობის მილზე რკინის მარყუჟზე ჩამოკიდებული იპოვეს. გარდაცვლილს ახალციხის პროზექტურაში ექსპერტიზა ჩაუტარდა. მას ქურთუკის ჯიბეში ოჯახის წევრებისადმი მიწერილი წერილი აღმოაჩნდა, რომლითაც ბოდიშს უხდის მათ. როგორც სამედიცინო ექსპერტი დავით მერაბიშვილი აცხადებს, გვამს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. მისივე თქმით, მღებრიშვილმა თავი, სავარაუდოდ, გვიან ღამით მოიკლა. თენგიზ მღებრიშვილი სასაზღვრო ნაწილში წლების განმავლობაში მუშაობდა და ის საბინაო და საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი იყო. მას თანამშრომლები დადებითად ახასიათებენ. მომხდართან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო გამოძიებას აწარმოებს. თუმცა, სამართალდამცველები ოფიციალურ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

*ინტერპრესნიუსი*

ფეხბურთი

# უეფა გრანტებს არ მოგვაკლებს

მიხეილ აბაიშვილი

"მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები. ეს ჩემი პირველი ვიზიტია და პატივი მაქვს, წარმოგიდგინოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც უეფა მომდევნო ათი წლის განმავლობაში იმოქმედებს", - ეს სიტყვები ევროპული ფეხბურთის რანგით მეორე ჩინოსანს, უეფას აღმასრულებელ დირექტორს (გნებავთ, გენერალურ მდივანს), ლარს კრისტენ ოლსონს ეკუთვნის. იგი უეფას ფინანსური დახმარების პროგრამა "ჰეთ-თრიკის" კოორდინატორთან, ბრუნო ვოლფისბერგთან ერთად გუშინ ჩამოვიდა საქართველოში. ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებს.

გუშინვე გამართულ პრესკონფერენციაზე ოლსონმა მედიას ევროპული ფეხბურთის განვითარების უეფასეული ხედვა წარმოუდგინა. პრეზენტაცია, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და სხვა მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ, დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, შემდეგ კი უეფას ჩინოსანმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.

ოლსონის თქმით, უეფა მომდევნო ათი წლის განმავლობაში შემდეგი ძირითადი პრინციპებით იხელმძღვანელებს:

ფეხბურთი არის უეფას ნომერ პირველი პრიორიტეტი;

უეფა არის ასოციაციების ასოციაცია, დამყარებული წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპზე.

"პირველი პრინციპის არსი ის გახლავთ, რომ უეფა წინა პლანზე აყენებს ფეხბურთს და მის სპორტულ ღირებულებას და არამც და არამც კომერციას. რა თქმა უნდა, ფინანსურ მხარეს, ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კომერციის გამო რაიმე კომპრომისზე წავიდეთ და ამით ფეხბურთი დავაკნინოთ. მაგალითად, უეფა არც წასულა, არც აპირებს წავიდეს დათმობებზე და საფეხბურთო წესებში, ტურნირების რეგლამენტში ცვლილებას არ შეიტანს ტრანსლიაციების დროს სარეკლამო დროის გახანგრძლივების ან სხვა მსგავსი ფინანსური მანიპულაციებისთვის", - კონსერვატორული, მაგრამ, ალბათ, ფეხბურთის ყველა ქომაგისათვის მისაღები, ერთადერთი სწორი პოზიცია დააფიქსირა უეფას გენერალურმა მდივანმა.

"მეორე პრინციპი უფრო საორგანიზაციო მხარეს შეეხება. უეფა ასოციაციების ასოციაციაა, რომელიც ევროპის ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებს აერთიანებს. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მდიდარია ესა თუ ის ქვეყანა საფეხბურთო ტრადიციებით, რამდენჯერ აქვს ამ ქვეყნის ნაკრებს სხვადასხვა უმაღლესი ტიტულები მოპოვებული და რამდენი ადგილი აქვს ჩემპიონთა ლიგაში. ერთ ასოციაციას აქვს ერთი ხმა და, ვთქვათ, საქართველოს ხმა ისევე წონადია, როგორც საფრანგეთის. უეფა ამ თანასწორობის პრინციპს არ უღალატებს", - აღნიშნა ოლსონმა.



ლარს კრისტენ ოლსონი: "მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები".

უნდა ითქვას, რომ ევროპული ფეხბურთის მამები თავიდან საკმაო სიფრთხილით შეხვდნენ ქართულ ფეხბურთში განხორციელებულ რევოლუციურ ცვლილებებს. როგორც თავად აღნიშნეს, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქმის მცოდნე პროფესიონალები მოვიდნენ, ფინანსური დახმარების ყველა უეფასეულ პროგრამას მწვანე შუქი აუნთეს.

"ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალს ქართულ ფეხბურთში მიმდინარე ცვლილებებს და მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი რადიკალური ცვლილება საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს. დღეს შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის მიერ არჩეული კურსი ერთადერთი სწორი გზაა. ეს მხოლოდ საორგანიზაციო მხარეს არ ეხება. მხედველობაში მაქვს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დაწყებული გაახალგაზრდავების პროცესი. ეს მტკივნეული ეტაპი ყველა წამყვანმა საფეხბურთო ქვეყანამ გაიარა. საჭიროა მხოლოდ მოთმინება და დადებით შედეგს რამდენიმე წელში აუცილებლად მიაღწევთ", - დაგვაიმედა ოლსონმა.

მისივე თქმით, ევროპის საფეხბურთო კავშირი ახორციელებს მონიტორინგს იმ გრანტების ხარჯვის მიზნობრიობაში დასარწმუნებლად, რომელიც საქართველოს პროგრამა "ჰეთ თრიკის" ფარგლებში გამოუყვეს.

"იმისთვის, რომ საქართველოში ფეხბურთი განვითარდეს, აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. უეფა ზრუნავს, რომ მის წევრ ასოციაციებს ამ საქმეში დახმარება აღმოუჩინოს, თუმცა კი, თავად ამ ქვეყნებზეც ბევრია დამოკიდებული, მათ შორის, ფინანსურადაც. საქართველო პროგრამა "ჰეთ თრიკის" ფარგლებში 2004-2008 წლებში საერთო ჯამში გრანტის სახით 2,5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ამ თანხით დაფინანსდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ოთხი პროგრამა – სამწვრთნელო ლიცენზირების კურსები, მსაჯთა კურსები, რეგიონალური ფედერაციების ოფისების და მინი-მოედნების მშენებლობა, ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკური ცენტრის განვითარება. ეს პროექტები უკვე განხორციელების სტადიაშია და უეფა მათ შეჩერებას არ აპირებს. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიზრდება უეფას ფინანსური შემოსავლები 2008 წლისთვის, საქართველო "ჰეთ თრიკის" პროგრამით მომდევნო, 2008-2012 წლებშიც მიიღებს დახმარებას. ჩატარებული გამოთვლებით, დახმარების ოდენობა, სულ მცირე, უკვე არსებულის მსგავსი მაინც იქნება", - პროგრამა "ჰეთ თრიკის" გაგრძელებას დაგვპირდა უეფას გენერალური მდივანი.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უეფას ორკაციანი, თუმცა წარმომადგენლობითი დელეგაცია მცხეთაში წაიყვანა, სადაც სტუმრები "ჰეთ თრიკის" გრანტით დაფინანსებული მინი-მოედნის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ. უეფას მაღალჩინოსნებმა საქართველო დღეს დატოვეს და მეზობელ აზერბაიჯანში გაემგზავრნენ.

# სიმძიმის ცენტრი ტურინშია

ტურინის "იუვენტუსისა" და მიუნხენის "ბაიერნის" შეხვედრა კვლავ ცენტრალური მატჩი იქნება დღეს. ბრემენში კი "ვეზერშტადიონზე" "ვერდერი" იტალიურ "უდინეზეს" უმასპინძლებს. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ბრემენელთათვის ეს მატჩი უკანასკნელი შანსია მერვედფინალში გასასვლელად. ჯერჯერობით ტომას შააფის გუნდი ჯგუფის უპირობო აუტსაიდერია, მაგრამ საკმარისია გერმანელებმა "უდინეზე" დაამარცხონ, რომ ისინი მეორე საგზურისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან. პირველი ადგილი კი, ალბათ "ბარსელონას" დარჩება, რომელიც "ნოუ-კამპზე" საბერძნეთის "პანათინაიკოსს" უმასპინძლებს.

"უდინეზესთან" მატჩამდე "ვერდერმა" გერმანიის ჩემპიონატის შეხვედრაში ფრანკფურტის "აინტრახტის" წინააღმდეგ, სათამაშო სქემა დახვეწა. კლოზემ და კამპანიამ მეტოქე - 4:1 გაანადგურეს და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ "ვერდერი" გერმანიაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. "უდინეზემ" კი შინ უფერული მატჩი გამართა "პალერმოს" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ორი კვირით ადრე იტალიელები გერმანელებს დაუზავდნენ - 1:1.

რაც შეეხება "ბარსელონას", მან საკუთარ მინდორზე "პანათინაიკოსი" უნდა დაამარცხოს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ათენში ნულოვანი ფრით აღინიშნა და იქაც ესპანელებს გაცილებით მეტი შანსი ჰქონდათ გოლის გატანის. სეზონის არცთუ ისე შთამბეჭდავად დაწყების შემდეგ, ფრანკ რაიკაარდის გუნდი თანდათან ფორმაში შედის. პრიმერადივიზიონში "ბარსა" უკვე მეორე ადგილზეა და სულ ცოტათი ჩამორჩება ლიდერ "ოსასუნას". ამ მატჩს ინგლისის "ლივერპულის" საყვარელი არბიტრი, ჰოლანდიელი რენე ტემინკი განსჯის.

ევროპის ყურადღების ცენტრში კი ისევე, როგორც ორი კვირის წინათ "იუვენტუსი" - "ბაიერნის" შეხვედრა იქნება. ოღონდ ამჯერად მატჩი ტურინის "დელე ალპიზე" გაიმართება. გერმანიაში "ბაიერნმა" მოიგო - 2:1 და ეს "ბებერი ქალბატონის" პირველი მარცხი იყო მიმდინარე სეზონში. ამას მეორე მარცხიც მოჰყვა. შაბათს "იუვემ" უპრინციპულესი მატჩი წააგო მილანში - 3:1. თუმცა კაპელოს გუნდმა ამის მიუხედავად ჩემპიონატის ლიდერობა შეინარჩუნა. თავისი ქვეყნის პირველობას ლიდერობს მიუნხენის "ბაიერნიც". საინტერესოა, რომ გერმანელთა სატურნირო მაჩვენებელი ჰგავს კიდეც იმას, რასაც "იუვენტუსი" სერია A-ში აჩვენებს.

შარშან "იუვემ" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ორჯერ დაამარცხა "ბაიერნი". ახლა, მას შემდეგ, რაც გერმანელებმა მიუნხენში იმარჯვეს, მათ შეუძლიათ სრულ რევანშზეც იოცნებონ. ამისთვის კი გერმანელებს "დელე ალპიზე" გამარჯვებაც მართებთ. შეხვედრას სლოვაკი არბიტრი ლიუბოშ მიხელი წარუძღვება. ჯგუფის მეორე მატჩში ერთმანეთს ბელგიის "ბრიუგე" და ვენის "რაპიდი" შეხვდებიან. მატჩი ბრიუსელში გაიმართება. ორი კვირის წინათ ბელგიელებმა ვენაში უკვე დაამარცხეს ავსტრიის ჩემპიონი და თუ ამას "იან ბრეიდელის" სტადიონზეც მოახერხებენ, შეუძლიათ არა მარტო მესამე ადგილისთვის იოცნებონ, რომელიც უეფას თასზე თამაშის უფლებას იძლევა, არამედ ჯგუფიდან გასვლასაც შეეცადონ. ბელგიურ შეხვედრას ებრაელი ალონ იეფეტი განსჯის.

B ჯგუფში, ბერნის "სტად დე სიუისის" სახელობის სტადიონზე "თუნი" ამსტერდამის "აიაქსს" უმასპინძლებს. პირველ შეხვედრაში ამსტერდამელებმა - 2:0 გაიმარჯვეს. თუ მოიგებს



ტრეზეგეს "იუვენტუსი" შეეცდება რევანში აიღოს.

შვეიცარიული კლუბი, სატურნირო ცხრილში ჰოლანდიელებს გადაასწრებს და მეორე ადგილისთვის ბრძოლაში უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. მატჩს სლოვაკ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. ვლადიმირ გრინიაკის ხელმძღვანელობით. ლონდონში კი "არსენალს" დღესვე შეუძლია მერვედფინალის საგზური ოფიციალურად გაიფორმოს. "მეთოფეები" პრაღის "სპარტას" მასპინძლობენ, რომელსაც ორი კვირის წინათ - 2:0 უკვე მოუგეს. ამ მატჩს ფრანგი ალენ სარსი გაუძღვება.

აი, ყველაზე თანაბარ და რთულ D ჯგუფში კი ყველაფერი არც ისე იოლად არის. ჯგუფის ლიდერიც კი "მანჩესტერ იუნაიტედი" შორს არის იმისგან, რომ მერვედფინალის საგზური გაიფორმოს. დღეს სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი საფრანგეთში, ჯერჯერობით ბოლო ადგილზე მყოფ "ლილს" ეთამაშება.

საინტერესოა, რომ იმ დიდი აჟიოტაჟის გამო, რომელიც ამ მატჩს თან ახლავს, თამაში "ლილის" "გრიმონპრეს" სტადიონზე კი არა, არამედ პარიზის "სტად დე ფრანსზე" გაიმართება, სადაც 1998 წელს საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ასეთ მდგომარეობაში "ლილი" თავისუფლად შეიძლება თავს ზემოთ გადახტეს. მით უფრო, რომ "მანჩესტერ იუნაიტედთან" წარმატებით თამაშის გამოცდილება ამ კლუბს ნამდვილად აქვს.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა ორი კვირის წინათ, "ოლდ ტრაფორდზე" ფრედ - 0:0 დამთავრდა. "სტად დე ფრანსზე" თამაშს გაუძღვება გერმანელ მსაჯთა ბრიგადა მარკუს მერკის ხელმძღვანელობით. ამავე ჯგუფში ლისაბონის "ბენფიკა" ესპანეთის "ვილიარეალს" უმასპინძლებს. ამ გუნდების პირველი მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

ცესკო

## განცხადება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2005 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის ხელახალი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თაობაზე

N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება (N58/2005).

აღნიშნული განკარგულება გამოქვეყნებულია ცესკოს ვებგვერდზე www.cec.gov.ge



1

იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ნუკრი თხელიძე**

სამამულო ომის ინვალიდი ვეტერანთა კანონის მე-14 მუხ. მე-2 პარაგრაფის საფუძველზე განთავისუფლებულია ყოველგვარი ბეგარისაგან, ხოლო თბილისის საკრებულოს 2003წ. 9/11 გადაწყვეტილებით მოსაკრებლებისაგან. გთხოვთ, გაგვიმარტოთ, რამდენად შეესაბამება კანონს ის, რომ შს. სამინისტროს იარაღის ნებართვის გაგრძელებისათვის თადარიგის პოლკოვნიკს, ომის ინვალიდს, თხოვს ცნობას ერთიანი საპენსიო ფონდიდან და არ კმაყოფილდება საპენსიო წიგნაკის ქსეროასლით, ანდა რატომ ახდევინებენ 8 ლარს ბანკის მეშვეობით, ხოლო ფსიქოს ცნობის აღებისათვის ფსიქო სამედიცინო დაწესებულება უმუშევარ პენსიონერს ნახევარგვერდიან ფურცელში სთხოვს 25-ლარს, კანონის უზენაესობა ყველასთვის აღსასრულებელია, შპს ორგანიზაცია უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოში არსებულ კანონს თუ არა?

ბატონო ნუკრი,

2002 წლის "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის "პ" ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის და მე-3 მუხლის თანახმად:

**მუხლი 7. სარეგისტრაციო მოსაკრებლების სახეები და განაკვეთები; რეგისტრაციის უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო დაწესებულებები**

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ შემდეგი სახის რეგისტრაციას:

პ) კუთხვილი სანადირო თოფის და მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (პისტოლეტი, რევოლვერი) რეგისტრაცია შესაბამისი მოწმობის გაცემით:

პ.ა) ფიზიკური პირისათვის - 8 ლარი;

**მუხლი 8. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდაზე**

**შეღავათების დაწესება**

სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ბ) ფიზიკური პირები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც ჯილდოდ გადაეცათ იარაღი; საქართველოს პარლამენტის წევრები; საქართველოს შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების, დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თადარიგის გადამდგარ უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა; პროკურატურის სისტემიდან პენსიაზე გასული თანამშრომლები,

რომელთაც მინიჭებული აქვთ იუსტიციის მრჩევლის ან იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება; პენსიაზე გასული მოსამართლეები - ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის "ო" - "რ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 3. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი**

1. რეგისტრაციის მაძიებელი ვალდებულია გადაიხადოს ამ კანონით დაწესებული სარეგისტრაციო მოსაკრებელი.

2. დაუშვებელია პირისათვის ამ კანონით გაუთვალისწინებელი სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების დაკისრება.

3. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდევინება ხორციელდება რეგისტრაციამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება არსებული წესის მიხედვით.

5. ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

6. რეგისტრაციის მაძიებელი ვალდებულია სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კანონმდებლობით დადგენილ სხვა საბუთებთან ერთად წარუდგინოს სარეგისტრაციო ორგანოს.

7. სარეგისტრაციო მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩა-რიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონით დად-გენილი წესით.

**ელდარ დვალიშვილი**

ვინ განსაზღვრავს სასამართლო სახელმწიფო საბაჟო გადასახდელის ოდენობას: ა) თუ სადავო საკითხები მორალურ და მატერიალურ ზარალს, აუნაზღაურებელ გასამრჯელოს და სხვას შეეხება? ბ) არის თუ არა შეღავათები უმუშევარის, მარტოხელის, პენსიონერის და სხვა

სოც. დაუცველი პირების მიმართ სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის ოდენობაში? შესაძლებელია თუ არა გადახდაზე გადავადების შეღავათები? გ) როგორია სამოქალაქო სასამართლო საქმის განხილვის ვადები, თუ მოსარჩელის დამოუკიდებელი მიზეზების გამო სასამართლო გაჭიანურდა, - სახელმწიფო საბაჟო გადასახდელის ვარგისიანობა?

ბატონო ელდარ,

"სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" შემდეგი მუხლების თანახმად:

**მუხლი 38. სახელმწიფო ბაჟი**

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით:

ა) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;

ბ) შეგებებულ სარჩელზე;

გ) მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ;

ე) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ;

ვ) სააპელაციო საჩივარზე;

ზ) საკასაციო საჩივარზე;

თ) კერძო საჩივარზე.

**მუხლი 39. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა**

1. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს:

ა) 38-ე მუხლის "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტს;

ბ) სააპელაციო საჩივრისათვის - სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტს;

გ) საკასაციო საჩივრისათვის - სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტს;

დ) კერძო საჩივრისათვის და განცხადებისათვის გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებისათვის ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე. აგრეთვე განცხადებისათვის დავალიანების ამოღების თაობაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ - სადავო საგნის ღირებულების 1,5 პროცენტს.

2. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

**მუხლი 40. დავის საგნის ღირებულება**

1. დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე.

2. თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

3. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

**მუხლი 41. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში**

დავის საგნის ფასი ქონებრივ დავებში შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელისა - გადასახდელი თანხით;

ბ) თუ სარჩელი აღძრულია ნივთის (ქონების) გადაცემისა თუ მიწოდების შესახებ - ამ ნივთის ღირებულებით;

გ) ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა - ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით;

დ) ვადიანი გასაცემისა და გადასახდელის შესახებ სარჩელისა - არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში ყველა გასაცემი და გადასახდელი თანხის ერთობლიობით;

ე) უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გადასახდელის ან გასაცემის შესახებ სარჩელისა - სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით;

ვ) გასაცემის ან გადასახდელის შემცირებისა თუ გადიდების შესახებ სარჩელისა - იმ თანხით, რომლითაც მცირდება ან დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

ზ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელისა - დარჩენილი ვადის, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით;

თ) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელისა - არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით;

ი) ნაგებობაზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელისა - ნაგებობის ღირებულებით, მაგრამ არანაკლებ მისი საინვენტარიზაციო

შეფასებისა, ხოლო თუ მისი ასეთი შეფასება არ არსებობს, მაშინ - არანაკლებ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეფასებისა, ხოლო იმ შენობებისათვის, რომლებიც ეკუთვნის საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას - არანაკლებ ამ ნაგებობათა საბალანსო შეფასებისა.

**მუხლი 42. დავის საგნის ფასის წინასწარ განსაზღვრა**

თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

**მუხლი 43. სარჩელის ფასის განსაზღვრის წესი არაქონებრივი დავების დროს**

სარჩელის ფასი არაქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) საქორწინო ურთიერთობიდან წარმოშობილ სარჩელებში დავის ღირებულება განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით;

ბ) სხვა არაქონებრივი დავების დროს დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი. საოჯახო სამართლებრივ საქმეებში დავის საგნის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ამ მუხლის "ა" ქვეპუნქტში მითითებულ თანხას;

გ) თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, მაშინ დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

**მუხლი 46. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მოსარჩელეები - ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე;

ბ) მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

გ) მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;

დ) მხარეები - უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

ე) მოსარჩელეები - არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

**მუხლი 47. სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ**

1. სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

2. თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე

მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო სალაროდან.

3. ერთი მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

**მუხლი 48. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან განაწილვადება და მათი ოდენობის შემცირება**

სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს ან გაუნაწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა.

**მუხლი 49. სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება**

1. სასამართლო ხარჯების ოდენობა განახევრდება, თუ:

ა) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან მოპასუხემ ცნო სარჩელი;

ბ) მხარეები მორიგდებიან;

გ) გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. თუ სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

**მუხლი 59. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა**

3. სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს 1998 წლის კანონის მე-4 მუხლის და მე-5 მუხლის შემდეგი ქვეპუნქტების თანახმად:

**მუხლი 4. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები**

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ა) სარჩელებზე, აგრეთვე განცხადებებზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ, სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტი;

ბ) სააპელაციო საჩივრებზე სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი;

გ) საკასაციო საჩივრებზე სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი;

დ) კერძო საჩივრებზე აგრეთვე განცხადებებზე დავალიანების ამოღების თაობაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ სადავო საგნის ღირებულების 1,5 პროცენტი.

**მუხლი 5. შეღავათები სახელმწიფო ბაჟში**

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ფიზიკური პირები-სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

ბ) მოსარჩელენი-სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;

გ) მოსარჩელენი-სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ

დ) ფიზიკური და იურიდიული პირები-მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;

ე) მოსარჩელენი-სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;

ვ) ფიზიკური პირები-სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;

თ) მოსარჩელენი-სარჩელებზე ბოროტმოქმედებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ი) მხარეები-საკასაციო საჩივრებზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;

მ) ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები-ყველა სარჩელზე;

ნ) მოსარჩელენი-სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;

ო) მხარეები-სარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;

პ) იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები-საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;

რ) ვეტერანები, რომლებმაც "ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;

ქ) მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე - სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

ჩ) მოსარჩელე - უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე;

ც) მოსარჩელე - თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე.

ამრიგად, თუ წინააღმდეგობა იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და მითითებულ კანონს შორის, იმოქმედებს კანონის ნორმები, როგორც უფრო გვიან მიღებული.

**ვაჟა ახალაძე**

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემს სასარგებლოდ დაეკისრა 875 ლარის გადახდა, სააღსრულებო ბიურომ 2005 წლის 20 ივნისს წერილით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს, რომელშიც მოითხოვდა, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება სამი თვის ვადაში ნებაყოფლობით მოეხდინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში აღსრულება მოხდებოდა იძულებითი წესით. გავიდა ნებაყოფლობითი აღსრულების სამი თვის ვადა და იძულებითი აღსრულების ერთ თვეზე მეტი, მაგრამ სააღმსრულებლო ბიურო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არღვევს კანონს, მიზეზს ასახელებს ბიუჯეტში თანხის უქონლობას. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო, როგორ მივაღწიო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, კანონი რას ითვალისწინებს მსგავს შემთხვევაში?

ბატონო ვაჟა,

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 28-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების და 92-ე პრიმა მუხლის თანახმად:

**მუხლი 28. წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ**

5. სასამართლო აღმასრულებელი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე კრედიტორის განცხადების მიღებისთანავე მოვალეს - სახელმწიფო დაწესებულებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის წინადადებას აღსრულების ფონდის სახსრებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ.

6. თუ წლის განმავლობაში აღსრულების ფონდით გათვალისწინებული სახსრები საკმარისი არ იქნება კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საქართველოს პრეზიდენტი მიმართავს პარლამენტს აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფის თხოვნით.

**მუხლი 921. იძულებითი აღსრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ**

1. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების

მიცემიდან 3 თვის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოვალეებზე თანხებს გასცემს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ მიცემული წინადადებების რიგითობის მიხედვით.

ამრიგად, სახელმწიფო დაწესებულების მიმართ არსებული მოთხოვნა დაკმაყოფილდება თუ აღსრულების ფონდში გამოყოფილი თანხები საკმარისი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაელოდოთ მომავალ წელს, როცა მიღებულ იქნება ახალი ბიუჯეტი და გამოყოფილ იქნება მსგავსი შემთხვევებისათვის ფულადი თანხები აღსრულების ფონდში.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზური დღიური

## ჩემდა ჭირად მონადირე

მე ვარ ნალა. სკოლაში ვმუშაობ დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. კარგი ქმარი მყავს, მაგრამ მეტი შემოსავალი რომ ჰქონდეს, კიდევ უფრო კარგი იქნებოდა.

ჩემი ქმარი მთელ დღეებს ნადირობაში ატარებს. ასეთი გატაცება აქვს, უფრო სწორად, ავადმყოფობა. თავი მომაბეზრა თავისი ნადირობით. ახლა უკვე შევეჩვიე, თორემ ქორწინების პირველი ორი წელი ძალიან გამიჭირდა მის ამ გატაცებასთან შეგუება. ახლა შევეგუე, სხვა რა გზაა.

თავიდან საშინელი მოსასმენი იყო ყოველდღე თოფებზე, ტყვიებზე, საფანტზე, ძაღლებზე, გარეულ იხვებსა და ცხოველებზე საუბარი. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. ცუდად ვხდებოდი ამ ყველაფრის მოსმენისას, რადგან ჩემს ქმარს გაუჩერებლად, დღე და ღამე ნადირობაზე საუბარი შეეძლო.

ახლაც ასეა, თუ ცუდ ხასიათზეა და გინდა რომ გუნება გამოუკეთო, აუცილებლად ნადირობაზე უნდა ესაუბრო. საკმარისია, რამე შეკითხვა დაუსვა ნადირობის თემაზე, რომ უკვე კარგ ხასიათზე დგება. მოკლედ, შევეგუე მის მონადირულ ხასიათს.

ეს კიდევ არაფერი, ჩემს ქმარს ნადირობის გარდა, კიდევ ორი გატაცება აქვს - ფეხბურთი და აკორდეონი.

ჩემდა ჭირად, ვიღაცამ აჩუქა აკორდეონი. დაჯდა სარკის წინ, დაიდო მუხლებზე და დამოუკიდებლად, ნელ-ნელა ისწავლა დაკვრა. მერე ვიღაცამ კიდევ აჩუქა აკორდეონი, მერე – კიდევ. ასე რომ, ახლა სახლში უკვე ხუთი აკორდეონი გვაქვს. აღარ ვიცი, სად შევჩურთო. რომ შემეძლოს, ხუთივეს ერთად მოვისვრიდი ფანჯრიდან.

თუმცა, ხანდახან კარგია, როდესაც აიღებს ჩემი ქმარი ამ თავის აკორდეონს, გაწელავს და დაიწყებს დაკვრას. ის უკრავს, ჩვენ ვმღერით და ვცეკვავთ. ჩვენი სამივე ვაჟიშვილი ძალიან კარგად ცეკვავს, როგორც პროფესიონალები.

იშვიათად, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მომწონს აკორდეონი, როდესაც სტუმრები გვყავს. მხიარულებისას ცეკვა-თამაშის დროს ხომ ჩემი ქმარი და მისი აკორდეონი პირდაპირ შეუცვლელები არიან ხოლმე. მაგრამ ხომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება მხოლოდ აკორდეონზე უკრავდე და როცა მოგბეზრდება დაკვრა, მაშინ სანადიროდ მიდიოდე. ასე ცხოვრება, რა თქმა უნდა, აუტანელია.

მახსოვს, ერთხელ მთელ სახლში შუქი ჩაქრა. ირგვლივ, რა თქმა უნდა, სამარისებური სიჩუმე და წყვდიადი გამეფდა. სწორედ ამ სიჩუმეში დააძრო ჩემმა ქმარმა თავისი აკორდეონი და დაკვრა დაიწყო. მეც ავყევი, სიმღერა წამოვიწყე. ძალიან კარგად გამოგვივიდა. ყველა მეზობელმა გააღო ფანჯარა და ჩვენ გვისმენდა. ჩვენი ოჯახური სახელდახელო კონცერტი მეზობლების აპლოდისმენტებით დამთავრდა. მაშინ ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი ქმრით და მისი აკორდეონით. მაგრამ ასე იშვიათად ხდება. ჩემს ყოფას შეგუებული, აღარც კი ვეკითხები, სად მიდის? მაინც წავა და რა აზრი აქვს?

ეს კი არადა, სამივე შვილს თოფი უყიდა, იმის ნაცვლად, რომ მათთვის ბინები ეყიდა.

არ ვიცი, არ ვიცი. რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ასე.

ახლა თმა უნდა შევიჭრა. ამბობენ, 130 რუბლი ღირსო, მაგრამ მიხვალ პარიკმახერთან და უცებ "გაჯახებს", რომ თმის შეჭრა, არც მეტი, არც ნაკლები, 160 რუბლი ღირს.

მოკლედ, დავდგები სარკის წინ და მე თვითონ შევიჭრი. როგორც ახლაა მოდაში – უკან უფრო გრძლად დავიტოვებ, წინ დავიმოკლებ.

აი, ჩემი ქმარიც დაბრუნდა ნადირობიდან

ვეკითხები: "ბესიკ, რამე მოკალი?"

მპასუხობს: "არა."

სულ არაფერი? – არ ვეშვები.

არა, მხოლოდ ერთი შაშვი...

- ამხელა კაცი იმიტომ წახვედი სანადიროდ, რომ ერთი საცოდავი შაშვი მოგეკლა?1

- სანადიროდ არც ვყოფილვარ.

აი, ასეა. მთელი დღე უაზროდ დაკარგა, ვერაფერი მოკლა და მაინც ძალიან კმაყოფილია.

*რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი. პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

მოკლედ

## პეტროვისა და შამბას შეხვედრა

"რეგნუმ.რუ"-ს ცნობით საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ივო პეტროვი შეხვდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას. საუბარი შეეხო იმ პროექტებს, რომლებიც გალში, ტყვარჩელში და ოჩამჩირეში ევროკომისიამ უნდა დააფინანსოს. ივო პეტროვმა განაცხადა, რომ "დიდი ყურადღება დაეთმობა ამ რაიონებში საავადმყოფოების აღდგენას და მათ ენერგომომარაგებას". მისი თქმით, "ეს არის დიდი და სერიოზული პროექტი, რომელსაც სპეციალური კომიტეტი მართავს. კომიტეტში კი უცხოელ სპეციალისტებთან ერთად ქართული და აფხაზური მხარის წარმომადგენლებიც შევლენ".

სერგეი შამბამ აფხაზური მხარის აღნიშნული პროექტებით დაფინანსება დაადასტურა, მაგრამ კატეგორიულად არ დაეთანხმა მმართველ კომიტეტში ქართული მხარის მონაწილეობას. მისი თქმით, "საქართველოს აქვს პოლიტიკური ინტერესები და ცდილობს ჩაერთოს იმ პროექტებში, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ხორციელდება".

პეტროვი დაინტერესდა გალში საერთაშორისო პოლიციის ქვედანაყოფის შექმნის, ადამიანის უფლებების დამცველი ოფისის გახსნისა და ქართულ ენაზე სწავლების შესაძლებლობით, რაზეც შამბამ განაცხადა შემდეგი: "ზუგდიდში პოლიციის ქვედანაყოფი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ამით კრიმინოგენული ვითარება არ გაუმჯობესებულა.

რაც შეეხება ადამიანის უფლებების ოფისის გალში გახსნას, ასეთი ოფისი სოხუმში უკვე არსებობს და მისი მოქმედება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. ამიტომ, ამ ეტაპზე ახალი ოფისის გახსნის საჭიროება არ არსებობს.

ქართულ ენაზე სწავლება კი რამდენიმე პრობლემას უკავშირდება. საჭიროა სახელმძღვანელოები, პირველ რიგში ისტორიის, რადგან ამ სფეროში საქართველოსთან განსხვავებული აზრი გვაქვს".

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები




ახალი ათონის მღვიმე. ეთნოლოგთა საკავშირო კონფერენცია სოხუმში. 1987 წელი. მონაწილენი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან: ლენა მალია, გალინა კოპეშავიძე, ლილი აკრბა; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან: ზინაიდა გაგლოევა, ლუდვიგ ჩიბიროვი; თბილისიდან: ჯულიეტა რუხაძე, მედეა ქანთარია, ლიანა ბერიაშვილი, თინა ოჩიაური, ირაკლი სურგულაძე, კოტე ჩოლოყაშვილი და სხვ.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# მოგზაურობა სოხუმში

ლელა მარგიანი

*"ჩვენსა და აფხაზებს შორის ნდობის ფაქტორი უნდა აღდგეს, მთავარი ესაა," - ამ განწყობით დაბრუნდნენ სოხუმიდან აფხაზეთის ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები. ისინი რამდენიმე დღის წინ, კოდორში მორიგი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის განხორციელების დროს, აფხაზ ახალგაზრდებს შეხვდნენ და სოხუმშიც გაჰყვნენ. სოხუმური შთაბეჭდილებების შესახებ გვესაუბრა სამმართველოს ხელმძღვანელი არჩილ ჩხეიძე.*

არჩილ ჩხეიძე: "მოგეხსენებათ, ჩვენმა სამმართველომ კოდორის ხეობაზე ერთგვარი შეფობა აიღო და ჰუმანიტარული ღონისძიებებიც განახორციელა, მაგრამ ამჯერად ჩვენს კოდორში ჩასვლას სხვა მიზანიც ჰქონდა - კვლავ უნდა შევხვედროდით სოხუმიდან კოდორის ხეობაში ჩვენთან შესახვედრად ამოსულ აფხაზ ახალგაზრდებს და, შეპირებისამებრ, მათ სოხუმში უნდა წავყოლოდით. მიუხედავად დიდი წვალებისა (ჭუბერიდან გასულებს, ბენზინი მალე გაგვითავდა და სიცივეში, ტალახსა და სიბნელეში, საკმაო მანძილის ფეხით გავლა მოგვიწია, სანამ ისეთ ადგილამდე არ მივაღწიეთ, სადაც მობილური ტელეფონით ჩვენს კოდორელ მასპინძელს, ქალბატონ ნორა კვიციანის ვაჟს დავუკავშირდებოდით), გაყინულები და ტალახში ერთიანად ამოსვრილები, მოულოდნელ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ჩვენმა მასპინძელმა პირდაპირ ნათესავის ახალმოსახლეობის აღსანიშნავად გამართულ სუფრაზე მიგვიყვანა, სადაც სხვებთან ერთად ოთხი აფხაზი ახალგაზრდაც გველოდა (მათი უსაფრთხოების მიზნით, ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ). მეორე დღეს, ყველანი ერთად სამხიდიანი მანქანით ადრიანად დავუყევით ხეობის გზას, სოხუმისკენ.

ხეობაში რუსი სამშვიდობოების ორი მთავარი საგუშაგოა. ერთი – ქვაბჩარაში, ჩხალთის შუაში, მეორე – ლათის ცენტრში. ლათის საგუშაგო პირდაპირ გზაზეა. ჩვენ იქვე, საგუშაგოსთან გადავუხვიეთ, გვერდი ავუქციეთ და ისე განვაგრძეთ გზა, თუმცა რუსი ჯარისკაცები მშვენივრად გვხედავდნენ. როცა დავინტერესდით, თუ რატომ მოვიქეცით ასე, ასეთი პასუხი მივიღეთ: "Официально, здесь без пропуска проходить




*კელასური დღეს.*

нельзя. Но вы, обходите и идите, без проблем." მართლაც, ჩვენი მასპინძლის წყალობით არანაირი პრობლემა არ გვქონია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ერთად მანქანაში სამხედროფორმიანი და იარაღიანი ადამიანებიც ისხდნენ.

საგუშაგოს გავლის მერე, თავად აფხაზებმა გამოთქვეს უკმაყოფილება რუსებთან დაკავშირებით, ესენი აქ რატომ უნდა იდგნენო. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ რუსები აფხაზებს ხეობაში ასვლაში ხელს არ უშლიან, მაგრამ როდესაც აფხაზებს ხეობიდან ვინმე ჩამოჰყავთ და უცხოს ხედავენ, მაშინ აპროტესტებენ ამას.

**- თორმეტი წელია, სოხუმში არ ყოფილხართ. როგორი გეჩვენათ იგი?**

- კოდორის ხეობიდან მერხეულში ჩასვლას 5-6 საათი მოვუნდით, რადგან ლათასთან გზა იყო გაფუჭებული და რამდენიმე საათი იქ დავკარგეთ. მერხეულში მსუბუქი მანქანებით დაგვხვდნენ და წავედით სოხუმში. მანქანით მოვიარეთ ქალაქი. როგორც იტყვიან, "თვალს წყალი დავალევინეთ". მართალია, დროის სიმცირის გამო ბოტანიკური ბაღი და ჩვენთვის საყვარელი ბევრი ადგილის მონახულება ვეღარ მოვასწარით, მაგრამ სანაპიროზე მაინც გავიარეთ. ზღვის კენჭები შევაგროვე და აკვარიუმისთვის თბილისში წამოვიღე. მინდა ვთქვა, რომ სოხუმმა ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მე ხომ ამდენი ხანია, აღარ მინახავს იგი. მხოლოდ ქალაქის ცენტრია ცოტა მოვლილი. სოხუმის გარეუბნები, ოჩამჩირე, გულრიფში განადგურებულია. როგორც კი ქალაქს გაცდები, სხვა სამყაროში ხარ, სადაც თითქოს დრო გაჩერებულა. ირგვლივ მიტოვებული და დამწვარი სახლები, გავერანებული ეზოებია! მომეჩვენა, თითქოს სოხუმიც დაპატარავებულა. ქუჩაში ძალიან ცოტა ხალხი და ტრანსპორტია. მხოლოდ გზისპირა სახლებია შელამაზებული და იგრძნობა, რომ იქ ხალხი ცხოვრობს, თორემ სიღრმეში გავერანებულია ყველაფერი. ოჩამჩირეში ყოფნისას, ფოტოფირის ყიდვა მომინდა, ჩემმა აფხაზმა მასპინძელმა საათს დახედა და მითხრა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ორი საათის შემდეგ, ფაქტობრივად, ვერაფერს ასეთს ვეღარ იყიდიო (ამ დროს მხოლოდ პატარა მაღაზიები და ჯიხურები მუშაობს, სადაც, ძირითადად, სიგარეტითა და სასმელით ვაჭრობენ. ამიტომ, საკანცელარიო ან სხვა საქონლის ყიდვა უკვე შეუძლებელია).

**- კიდევ რისი ნახვა მოასწარით?**

- მე წარმოშობით გალელი ვარ და გალშიც ვიყავით. ჩემს სახლთან მიმიყვანეს. მხოლოდ გარედან შევხედე, შიგ არც შევსულვარ, რადგან ძალიან დამთრგუნველი იყო ჩემთვის ამდენი წლის უნახავი სახლ-კარის ნახვა. ჩემს სახლში ახლა აფხაზი ცხოვრობს, გვარად აგრბა. მეზობლების კითხვაზე, ამ სახლის პატრონი რომ დაბრუნდეს, რას იზამო, მან უპასუხა: "მერე რა, დაბრუნდეს, პატივს ხომ მცემს, რომ სახლ-კარი დავახვედრეო. ნამდვილად, მოვლილი აქვს ჩვენი სახლი. მე და მამაჩემი პირისპირ ვცხოვრობდით და ორივეს სახლი დგას."

**- რას გვეტყვით აფხაზ ახალგაზრდებთან შეხვედრაზე?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი მასპინძელი ოთხი აფხაზი ახალგაზრდა იყო. მათთან ერთად ჩავედით სოხუმში. ძალიან თბილად მიგვიღეს, მაქსიმალური ყურადღება გვქონდა მათგან. ჩვენი თხოვნა და მისი შესრულება ერთი იყო. რაც ვისურვეთ, ყველაფერი დაგვათვალიერებინეს, ყველგან მიგვიყვანეს.

**- ალბათ, ჩვენს საერთო ტკივილზეც ისაუბრებდით. რას ფიქრობენ ისინი ამის თაობაზე?**

- რა თქმა უნდა, ჩვენს ყველაზე დიდ ტკივილზე – დევნილების დაბრუნებაზე და, საერთოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ვისაუბრეთ. ამ საკითხებზე მათგან უარყოფითი პასუხი ნამდვილად არ მიგვიღია. პირიქით, ისინი გმობენ იმას, რაც ჩვენს შორის მოხდა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს რუსების მოწყობილი იყო.

საუბარში აღიარებდნენ, რომ თქვენ უფრო ხართ ქალაქელები, ჩვენ ჩამოსულები ვართო. ალბათ, იმას გულისხმობდნენ, მთიანი სოფლებიდან ჩამოსულებმა რომ დაიკავეს ქართველების საცხოვრებლები. ჩვენ ვართ თქვენი სტუმრებიო, – გვითხრეს. თუმცა, ახლა დრომ მოიტანა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გელოდებითო. ისინი, ვისაც ჩვენ შევხვდით, ჩვენს მოლოდინში არიან. მათ კარგად იციან, რომ აფხაზეთი დაცარიელებულია, რომ სოხუმი უქართველებოდ, უხალხოდ აღარაა ისეთი ლამაზი, როგორიც იყო. თურმე, შეიძლება, ტერიტორია წალკოტი იყოს, მაგრამ ადამიანების გარეშე ის არაფრად ღირს.

**- თქვენს აფხაზ მასპინძლებს თბილისში ჩამოსვლის სურვილი ხომ არ გაუჩნდათ?**

- ჩვენ შევთავაზეთ. გვინდა, რომ მართლაც ჩამოვიყვანოთ ისინი თბილისში და გალამაზებული დედაქალაქი ვაჩვენოთ. მერე შეადარონ და დასკვნები თავად გამოიტანონ. ისინი ხომ, ფაქტობრივად, ჩაკეტილები არიან, რუსეთშიც ვერ გადიან. მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს რუსეთში გასვლის შესაძლებლობა. თავად აღიარებენ, რომ ვერ არიან "გამარჯვებულები". ცოტა ხნის წინ დღესასწაული ჰქონდათ, ჩვენ მივულოცეთ, მათ ასე გვიპასუხეს: "არა, ჩვენ დღესასწაული კიდევ კარგა ხანს არ გვექნება, სანამ ქართველები არ დაბრუნდებიან." ერთმა ისიც კი მითხრა, თორმეტი წელია. მხოლოდ ფსოუსა და ენგურს შორის დავდივარ. ეს მან ძალიან გულდაწყვეტილმა თქვა, არასდროს დამავიწყდება მისი გამომეტყველება და ეს სიტყვები.

**- ანუ, ისინი თავს "გამარჯვებულად" ვერ აღიქვამენ?**

- ვერა, ნამდვილად ვერა. მათ უკვე ესმით, რომ ასეთ მდგომარეობაში არანაირი პერსპექტივა არა აქვთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამას აფხაზი ახალგაზრდები ხვდებიან, ჩვენთან საუბარში არ მალავდნენ ასეთ განწყობილებას. რა თქმა უნდა, იქ ყველა ასე არ ფიქრობს. ბევრია სეპარატისტულად განწყობილი ახალგაზრდაც, მაგრამ ის მეიმედება, რომ ახალგაზრდობის ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს. ქართველების მშვიდობიანი დაბრუნებისა და ნორმალური ცხოვრების აღდგენის გარეშე, მათ შვილებს მომავალი არა აქვთ. რუსეთი მათთვის არც მეგობარია და არც პატრონი. ჩვენგან პატარა ნაპერწკალი სჭირდებათ და ეს ნაპერწკალი ნდობის ფაქტორის აღდგენაა. მთავარი ეს არის. ჩვენ ურთიერთობა უნდა გვქონდეს მესამე ძალის გარეშე. არასოდეს მესამე ძალას კარგი არ მოუტანია, მით უფრო, ისეთ ძალას, რომელსაც არც აფხაზების ბედი აინტერესებს და არც ქართველების.

# "კარგი საქართველო და ცუდი რუსეთი"

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბრიტანული ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების კოორდინატორი ჯონათან კოენი მიიჩნევს, რომ აფხაზებს არჩევანი ქართულმა მხარემ უნდა მისცეს. ამისათვის საქართველო აფხაზებისთვის საიმედო ქვეყანა უნდა გახდეს, იმდენად მაინც, რომ მათთან პირდაპირ მოლაპარაკებებს მიაღწიოს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კოენი კვარტალში ერთხელ რიგრიგობით სტუმრობს თბილისსა და სოხუმს და აფხაზების პოზიციაც იცის, მისი აზრის გათვალისწინება ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს. ჩვენ მას სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ შევხვდით.*

**- როგორ შეხვდნენ აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის ულტიმატუმს დსთ-ს სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით?**

- აფხაზეთში ამ განცხადებას სერიოზულად არ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ განცხადება ერთია, სინამდვილე - მეორე. მათი ღრმა რწმენით, სამშვიდობოების გაყვანას აფხაზური მხარის თანხმობაც სჭირდება, რის გაკეთებასაც იქ არავინ აპირებს. იქ დარწმუნებულები არიან, რომ ამ მხრივ მათ საშიშროება არ ემუქრებათ და ამბობენ, ეს საკითხი ჩვენ საერთოდ არ გვეხებაო. ასეთია მათი პოზიცია.



*ჯონათან კოენი და პაატა ზაქარეიშვილი თბილისში.*

**- როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

- თუ საქართველოს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება სურს, მაშინ სამშვიდობო ძალები უნდა იყვნენ. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ ეს საერთაშორისო კონტინგენტი იყოს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე ამის შესაძლებლობაში ეჭვი მეპარება. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მთავარი სტრატეგიაა.

**- რას გულისხმობთ?**

- მთავარია, საქართველოში აფხაზეთის საკითხს უფრო სერიოზულად მიუდგნენ, ვიდრე ამას დღეს აკეთებენ. საუბარი მაქვს სამხედრო რიტორიკაზე, რაც საქმეს ძალიან აფუჭებს, აფხაზებს კი მხიარულ გუნებაზე აყენებს. ჯერ ერთი, აფხაზეთში დარწმუნებულები არიან, რომ მათი შეიარაღებული ძალები ქართული მხრიდან ნებისმიერ აგრესიას მოიგერიებს და მეორეც, სჯერათ, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსეთიც დაეხმარება. ეს კი მათთვის გარანტიაა.

ამის საპირისპიროდ ნათელია, რომ აშშ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ არ დაეხმარება. ამიტომ, საქართველოს შანსი - აფხაზებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებებია.

**- კი, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ გააჟღერა მშვიდობიანი კურსის მხარდაჭერა.**

- მართალია, ბევრი ითქვა მშვიდობიანი გზის შესახებ, მაგრამ ეს მუდმივი სამხედრო რიტორიკის ფონზე ხდება, რაც საქმეს მთლიანად აფუჭებს.

**- კარგი, გამოვრიცხოთ სამხედრო რიტორიკა. წამოვლენ აფხაზები პირდაპირ მოლაპარაკებებზე?**

- თუ სამხედრო რიტორიკა გამოირიცხება და ქართული მხარე საიმედო პარტნიორი გახდება, აფხაზები პირდაპირ მოლაპარაკებებზე წამოვლენ.

**- რუსეთი ხელს არ შეუშლის? იქ ხომ ყველაფერს მოსკოვი აკონტროლებს?**

- მოსკოვი ოსეთს უფრო აკონტროლებს, ვიდრე აფხაზეთს. აფხაზეთში ბევრი ისეთი ადამიანი ვიცი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთი მათთვის ჭირვეული პარტნიორია, მაგრამ არჩევანი არ აქვთ. ცუდ საქართველოსა და ცუდ რუსეთს შორის ცუდი რუსეთი ურჩევნიათ. კარგ საქართველოსა და კარგ რუსეთს შორისაც კარგი რუსეთი ურჩევნიათ. ამიტომ, საქართველო საიმედოობის მხრივ რუსეთს უნდა სჯობდეს და მაშინ, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის პიდაპირი მოლაპარაკებები შედგება.

პირველი გვერდიდან




# ჩვენი გზა

## ხელისუფლების დისკრედიტაცია არ არის

**- შეგიძლიათ, მოკლედ მიმოიხილოთ გზა, რომელიც რესპუბლიკურმა პარტიამ ივნისიდან დავით უსუფაშვილის მეთაურობით გაიარა. რა იყო ამ გზაზე ყველაზე დიდი შეცდომა და წარმატება?**

- დათო ყოველთვის მეცოდება ასეთი საქმისთვის და სულ მგონია, რომ მისი შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეებისკენ უნდა იყოს მიმართული. ის, ძირითადად, დაკავებულია პარტიის ორგანიზაციული საქმეებით, ტექნიკური პრობლემებით, რომელიც პარტიის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე იქმნება - ოფისში წყლის ჩამოსვლით დაწყებული და არჩევნების წინ პარტიის პლატფორმის განსაზღვრით დამთავრებული. ეს მისი საქმეა და ყველანი ვცდილობთ, დავეხმაროთ. ამ ვითარებაში რთულია, სერიოზული გარღვევა მოახდინო პარტიაში, რომელსაც წესიერებასა და პატიოსნებაზე აქვს პრეტენზია და რომელიც არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში არავის ჰპირდება, რომ რაიმე ფორმით რომელიმე ბიზნესის "კრიშა" გახდება და მისი უწესო საქმიანობის გარანტი იქნება.

**- შეცდომად გითვლიან მოჭიდავეების აქციის მხარდაჭერას და მერე გაერთიანებულ ოპოზიციურ მიტინგში მონაწილეობას.**

- არ ვთვლი, რომ პარტიის მხრიდან ეს სერიოზული შეცდომა იყო. შესაძლოა, პარტიის რომელიმე ლიდერის რომელიმე გამოსვლა იყო არასწორი, შესაძლოა, სხვაგვარად ყოფილიყო, ნებისმიერი ქმედება და განცხადება ყოველთვის კონკრეტულ გარემოსა და კონტექსტში უნდა იყოს განხილული. ვფიქრობ, რომ უმრავლესობა შეცდომად გვითვლის არა მოჭიდავეების აქციას, არამედ იმას, რომ მონაწილეობა არ მივიღეთ შუალედურ არჩევნებში. ჩვენ მხარდამჭერებისთვის იმის ახსნა უფრო გაგვიჭირდა, თუ რატომ არ მივიღეთ მონაწილეობა არჩევნებში და არა იმის, თუ რატომ გამოვედით იმ აქციაზე.

**- რატომ თქვით უარი შუალედურ არჩევნებზე?**

- ამას რამდენიმე კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. ეს არჩევნები პარტიისთვის ორ მთავარ ცენტრში ერთობლივად განიხილებოდა - ბათუმსა და თბილისში. აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონით არჩევნებში მონაწილეობა აგვიკრძალეს. მათ უფლებამოსილებას გადაამეტეს, ამ კანონის მიღების უფლება არ ჰქონდათ. ერთადერთი რამ დაიწერა - მასალკინს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა. სხვას ეს კანონი არაფერს არ შეეხებოდა. მასალკინი ჩვენი კანდიდატი იყო და ბოლო წუთს ამ კანდიდატის გამოცვლა ჩვენი მხრიდან არასერიოზულიც იქნებოდა და შეუძლებელიც. პრინციპში, ეს უკვე გადამწყვეტი იყო იმის მიუხედავად, რა მოხდებოდა თბილისში და არჩევნებში არმონაწილეობაზე ფიქრი დავიწყეთ. ამის შემდეგ ცესკო-მ პარტიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით პროცედურობანას თამაში დაგვიწყო. სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც შარშან, შემოდგომაზე, პარტიის მაშინდელმა თავმჯდომარემ, დათო ბერძენიშვილმა აიღო, ცესკო-მ არ ცნო. რა თქმა უნდა, მონაწილეობის მიღება საინიციატივო ჯგუფის სახელითაც შემეძლო, მაგრამ ჩვენი მიზანი თინიკო ხიდაშელის დეპუტატობა არ იყო. ნებისმიერ არჩევნებში ჩვენთვის პარტიის პლატფორმისა და შეხედულებების საზოგადოებამდე მიტანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული ადამიანის შეხედულებებისა.

ამის შემდეგ ცესკო-მ მიიღო წესი, რომლის მიხედვითაც ყველა პარტიას, ვისაც 28 მარტის არჩევნებში დამოუკიდებლად არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, საშუალება ეძლეოდა, ხელახლა გაევლო რეგისტრაცია. როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ ეს უკანონო გადაწყვეტილება იყო და ცესკო-მ თავის უფლებამოსილებას გადაამეტა. ეს ზუსტად ისეთი გადაწყვეტილება იყო, როგორითაც ნანა დევდარიანმა თავის დროზე, ცესკო-ს სხდომებზე მედიას დასწრება აუკრძალა.

ამას დაერთო დათო უსუფაშვილის ძმის გახმაურებული დაკავება. ეს ადამიანი უკვე მესამე თვეა, სრულიად უკანონოდ ზის ციხეში. ამან პირადად მე არჩევნებზე უარის თქმა საბოლოოდ გადამაწყვეტინა და შემდეგ პარტიის ეროვნული კომიტეტიც დამეთანხმა. ეს არჩევნები ჩვენთვის ყველა თვალსაზრისით ძალიან მძიმე იქნებოდა. რაც არ უნდა მომხდარიყო და როგორც არ უნდა გაეყალბებინათ არჩევნები, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერაფრის გაკეთებას. ყველა უცხოური ორგანიზაციიდან მივიღეთ პასუხი, რომ არ აპირებდნენ არჩევნებზე დაკვირვებას, ადგილობრივი რესურსებით დაკვირვების მექანიზმები კი თითქმის არ არსებობს. უცხოელები არასდროს არ აკვირდებიან შუალედურ არჩევნებს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ეს იმ რანგის არჩევენები არ არის, რომელიც პოლიტიკურ სურათს ცვლის და ეს, პრინციპში, მართალია. ოპოზიციას ხუთივე ოლქიც რომ მოეგო, არაფერი შეიცვლებოდა იმის გარდა, რომ აბსოლუტურად დისკრედიტებული ხელისუფლება გვეყოლებოდა. ბიძინა ბრეგაძეს ყველგან და ნებისმიერ დროს მოვუგებ არჩევნებს. ამ არჩევნების წაგებით კი იქნებოდა დისკრედიტებული ხელისუფლება, რომლისთვისაც სასამართლოში უნდა მეჩივლა...

**- და ხელისუფლების იმიჯს გაუფრთხილდით?**

- არა. გავუფრთხილდი თავს და პარტიას, რომლისთვისაც ეს არ შეიძლება ყოფილიყო გადამწყვეტი ბრძოლა. ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ - ადამიანური რესურსიც დავზოგეთ და ფინანსურიც. ვიბრძოლებთ იმ არჩევნებში, სადაც პოლიტიკურ სურათს შევცვლით. ეს სულ მალე, ერთ წელიწადში იქნება და ხელისუფლებას დავუმტკიცებთ, რომ განსაკუთრებით ბიძინა ბრეგაძისნაირი კანდიდატების არ გვეშინია.

**- ახალ ცესკო-სთანაც გქონდათ შეხება და ზედმიწევნით იცით ადმინისტრაციული რესურსის შესაძლებლობებიც. რატომ ხართ ასე დარწუნებული გამარჯვებაში?**

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებს მოიგებს. ჯერ არ ვიცით, როგორ გამოვა ამ არჩევნებში "რესპუბლიკური პარტია", მარტო თუ ვინმესთან ბლოკში. შუალედურ არჩევნებში, რომელიც არავის არ აინტერესებს, ხელისუფლებასთან ბრძოლაში მარტო ვიქნებოდით, ეს იქნებოდა "რესპუბლიკური პარტია" სახელმწიფო რესურსის წინაალმდეგ და არავინ სხვა. არ იქნებოდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები, არ იქნებოდა მედია. საქართველოში პირველად ჩატარდა არჩევნები ისე, რომ კანდიდატებს შორის არც ერთი დებატი არ გამართულა. ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არ მომხდრა. მედია აბსოლუტურად კონტროლირებადი იყო, ყველა საინფორმაციო საშუალებამ გვითხრა, რომ ამ არჩევნებისთვის დებატები არ იქნებოდა. პარტიას არ აქვს დიდი ფინანსური რესურსი და ვერ გააკეთებს ლიფტებს და სახურავებს იმ მოსახლეობისთვის, სადაც კენჭს იყრის, მაგრამ შეგვიძლია მოსახლეობამდე სიტყვით მივიტანოთ საკუთარი სათქმელი. სიტყვის თქმის საშუალება კი ამ არჩევნებზე ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გამოგვირიცხა.

იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი არჩევნების დროს ასე აღარ იქნება და არა იმიტომ, რომ ხელისუფლება გამოსწორდება. არამედ იმიტომ, რომ გარე ზეწოლა უფრო ძლიერი იქნება.

**- რეგიონებში პარტიის სტრუქტურების შექმნა, რაც არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად მიშვნელოვანია, ახალი დაწყებული გაქვთ. ჩვენმა გუბერნატორებმა კი პრეზიდენტისგან საბრძოლო დავალება მიიღეს და დღეიდან ხალხს უნდა შეხვდნენ, რათა სადღესასწაულოდ პრეზიდენტმა იცოდეს, რა უჭირს ქვეყანას. მოსახლეობას გუბერნატორებთან შესახვედრად ამზადებთ?**

- პრეზიდენტს დააგვიანდა. ჩვენ კალენდრით არ ვმუშაობთ, ეს ყოველდღიური საქმიანობაა და არც გუბერნატორებთან შეხვედრისთვის ვამზადებთ ხალხს. პრეზიდენტმა თქვა, რომ გუბერნატორებთან შემდეგი შეხვედრა ზუგდიდში გაიმართება. შეიძლება, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ზუგდიდში იმ დროისთვის "ტრადიციული" სკანდალი აქვს დაგეგმილი, ასეთი რამ ხშირად ეწყობა ხოლმე. ეს არ არის ფორმა, რომელსაც "რესპუბლიკური პარტია" ირჩევს. ჩვენ ძალიან გვინდა წარმატებული ხელისუფლება და ეს ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარემაც თქვა. დავამტკიცებთ, რომ წარმატებულ ხელისუფლებაზე უკეთესნი ვიქნებით, თუკი საზოგადოება ჩვენზე გააკეთებს არჩევანს. ეს არ არის ჩასაფრების პოზაში მყოფი პარტია, რომელიც სადაც ფეხი წაუცდება ხელისუფლებას, ხელსაც მიაყოლებს, რომ კარგად გადაიჩეხოს. პირიქით - ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ მუშაობა ვაიძულოთ.

თუკი პრეზიდენტს უნდა, გუბერნატორებმა ხალხის წუხილი გაიგონ, ადრესატამდე მიიტანონ და შემდეგ ისიც ადეკვატურად მოიქცეს, ამაზე კარგი რა შეიძლება იყოს?! იქნებ, ახლა მაინც გაიგონ გუბერნატორებმა, რა ხდება რეგიონებში და ამბავი პრეზიდენტამდე მიიტანონ. ეჭვი მეპარება, გუბერნატორებმა ეს ორ კვირაში შეძლონ. პრეზიდენტმა ადგილებიც კი განუსაზღვრა - პარტაქტივები კულტურის სახლებში შეიკრიბება და იქნება დითირამბები. პრეზიდენტმა თქვა, რომ ის მუდმივად ამას აკეთებს და რასაც ის აკეთებს, ამას ტელევიზიით ყოველდღე ვხედავთ.

**- რა არის იმის გარანტი, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისევე არ გააცრუებთ იმედებს, როგორც ამას თითქმის ყველა ხელისუფლება აკეთებს და რეფორმების აგრესიულობით ამართლებს? ეს ხელისუფლება ნდობის უდიდესი პროცენტით მოვიდა, ამას რას დაუპირისპირებთ?**

- პირველ რიგში, არ გვინდა ოდესმე "რესპუბლიკურმა პარტიამ" არჩევნებში ისეთი პროცენტი მოიპოვოს, რომელიც თავის დროზე ჰქონდა "მოქკავშირს" და შემდეგ "ნაციონალურ მოძრაობას". ეს ყველაზე დიდი კატასტროფაა ქვეყნისთვის, ეს არის სახელმწიფოში დემოკრატიის, პლურალიზმის, აზრთა შერკინების დასასრული და ამის კარგი მაგალითია საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვლილი ორი წელი. არ შეიძლება ქვეყანაში ვინმეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ჰქონდეს გამოცხადებული მონოპოლია ისე, როგორც ეს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს. პრეზიდენტი ყველა გამოსვლაში ამბობს, რომ მათ სურთ დებატები და ისინი მზად არიან ნებისმიერთან იკამათონ, ოღონდ ყველა კამათში გაიმარჯვებენ. ჩვენ ამაზე პრეტენზია არ გვაქვს, ჩვენ ყველა კამათიდან რაციონალურის მიღება გვინდა. ეს არის განსხვავება ჩვენ შორის. ყველაზე დიდი განსხვავება პრობლემების მოგვარების ხედვაში გვაქვს. დღევანდელი ხელისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, რაღაც მომენტში პრობლემას ხედავდა. ვფიქრობ, რომ დღეს განსაკუთრებით დარღვეულია ურთიერთობები პრეზიდენტსა და საზოგადოებას შორის. ერთმა ჩემმა უცხოელმა მეგობარმა პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ მითხრა, რომ ის მთვრალია ძალაუფლებით. მეც ვფიქრობ, რომ ეს ასეა და ის ამჟამად თრობის პროცესშია.

თუკი ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის, იქნებ, ჩვენი ხმა გაიგოს, ოპოზიციის უპირველესი დანიშნულება სწორედ ეს არის. ეს კი ერთადერთი გზით არის შესაძლებელი - ხელისუფლება მინიმალურ დათმობაზე უნდა წავიდეს და თავი დაანებოს ტელევიზიებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს ამ ხელისუფლების და სახელმწიფოს გადარჩენის შანსი. მიხეილ სააკაშვილმა იცის, რომ ის ხელისუფლებაში ერთმა კონკრეტულმა ტელევიზიამ მოიყვანა. პირველად სწორედ ამ ტელევიზიას შეეხო რეფორმა და შემდეგ სხვა დანარჩენებიც ნამსხვრევებში მოყვნენ. ჩემი, ერთი ადამიანის ბრძოლის მიზანი და შედეგი სახელმწიფო ზეწოლისგან მედიის გათავისუფლებაა. ამის შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოხდება და ხელისუფლებაც ადეკვატური გახდება.

სიტყვის თავისუფლება ერთი რომელიმე ადამიანის ახირება არ არის. მსოფლიომაც დაადასტურა და საქართველომაც, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. მინიმუმ მართალი სიტყვა უნდა გაიგონოს ხალხმა, რომ სწორი არჩევანი გააკეთოს.

საქართველოში შევარდნაძე დიდხანს იქნებოდა, მისი საპრეზიდენტო ვადა დასრულდებოდა და მერე ალბათ სხვა ფორმით მოგვევლინებოდა ხელისუფლების სათავეში, რომ არა თავისუფალი მედია. რევოლუცია 23 ნოემბერს არ მომხდარა, ის დიდი ხნით ადრე მოხდა ადამიანების გონებაში და შემდეგ ამან ფორმა შეიძინა. ეს ყველაფერი გაცილებით ადრე, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაიწყო. შევარდნაძემ მოიგო არჩევნები, მაგრამ ისე, რომ ხალხი საარჩევნო ყუთებთან არ მისულა. ყველაზე ოპტიმისტური დათვლითაც იმ არჩევნებზე 17 პროცენტზე მეტი ამომრჩეველი არ მისულა. ამის შემდეგ ეს მოვლენები გარდაუვალი იყო, უბრალოდ, დროში გაიწელა.

**- ხელისუფლებები, საბოლოოდ, ერთმანეთს ემსგავსებიან. ოპოზიციებიც?**

- სამწუხარო ის არის, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში (თუ არ ჩავთვლით ზვიად გამსახურდიასა და "მხედრიონს" შორის დაპირისპირების ძალზე მოკლე პერიოდს, სადაც მხოლოდ იარაღი ლაპარაკობდა), ყოველთვის ხელისუფლება ადგენს თამაშის წესებს და ოპოზიცია ამ წესებით თამაშობს. ოპოზიციაში ყოფნისას, სააკაშვილიც, ჟვანიაც და ბურჯანაძეც იმ წესებით თამაშობდნენ, რომელსაც მათ შევარდნაძე სთავაზობდა. ის იყო დირიჟორი (ამას "ლეიბორისტული" გაგებით არ ვამბობ) იმ ყველაფრისა, რაც საქართველოში ხდებოდა. ჩვენ არ ვაპირებთ ხელისუფლების მიერ დადგენილი წესებით თამაშს და ამის დასტური შუალედურ არჩევნებში ჩვენი არმონაწილეობა იყო. თამაშის საკუთარ წესებს ვქმნით იმის მიუხედავად, თუ რას მოიმოქმედებს ხელისუფლება. საზოგადოება თუ გამოგვყვება, ძალიან კარგი...

**- დანარჩენი ოპოზიცია გამოგყვებათ?**

- არ ვიცი, რას მოიმოქმედებს დანარჩენი ოპოზიცია, ეს რთული სათქმელია. ძალიან ბევრ ოპოზიციურ წარმომადგენელს ვატყობ, რომ მათ სურთ რევოლუციამდელ მიხეილ სააკაშვილს დაემსგავსონ. საკუთარ თავში მის პროტოტიპს ეძებენ და ეს ძალიან სამწუხაროა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა ხელისუფლებაში მოსასვლელად. ეს არ არის ჩვენი გზა, ჩვენი გზა ამ ხელისუფლების დისკრედიტაცია არ არის.

**- დღეს საქართველოში რთულია ამ ოქროს შუალედის დაჭერა.**

- ერთადერთი, რა შემთხვევაშიც ჩვენ ამას ვერ დავიცავთ, ის იქნება, თუკი ისევე მოგვექცევიან, როგორც ზაფხულში, როდესაც დათო უსუფაშვილის ძმის საქმის გამო სასამართლოს აღმასრულებელი, ირაკლი სიორიძე დააპატიმრეს. თუკი ჩვენთან ბრძოლას ამ ფორმით გააგრძელებენ, ავცდებით იმ გზას, რაც ახლა გვაქვს დასახული და შემდეგ ჩვენც გადავალთ ბრძოლის იმ მეთოდებზე, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს. თუ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც სისხლისმსმელები იქნებიან, ეს დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის, ჩვენ ეს არ გვინდა. როგორც ჩანს, ეს ხელისუფლების მიერ არჩეული გზაა.

**- თქვენს პარტიას ოპოზიციური ბრძოლის 27-წლიანი გამოცდილება აქვს. რა არის ის ახალი, განსხვავებული, აქამდე უცნობი ინსტრუმენტი, რომელსაც პარტია ამ ხელისუფლებასთან ოპონირებისთვის გამოიყენებს?**

- როგორც ილიკო ხაინდრავამ ხატოვნად თქვა, ჩვენ უნდა ჩამოვიდეთ ტელეეკრანებიდან. ხელისუფლებამ ამაზე იზრუნა, ახლა მაქსიმალურად ახლოს უნდა მივიდეთ ხალხთან, ვესაუბროთ მათ. ჩემი აზრით, "რესპუბლიკური პარტიის" ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ინტელექტუალთა კლუბიდან პოლიტიკურ პარტიად უნდა იქცეს. ჩვენი საბრძოლო ინსტრუმენტები პოლიტიკური პარტია, მისი რაიონული ორგანიზაციები და აქტივისტებია, რომლებიც ადგილებზე საბრძოლველად მზად არიან.

**- არც ერთ დროში, არც ერთ ქვეყანაში არ უყვართ ინტელექტუალები. ხალხს პოპულისტები ურჩევნია.**

- მიხეილ სააკაშვილის მადლობლები ვართ იმისთვის, რომ მან საქართველოში ეს სტერეოტიპი დაანგრია და ქართველები მიხვდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში პოპულიზმი გამოსავალი არ არის. ამ ტალღამ აღმოსავლეთ ქვეყნებზე გადაიარა, დასრულდა და ხელისუფლებაში მემარჯვენე ძალები მოდიან. მთავარია, საზოგადოებას კარგად გავაგებინოთ, რა განსხვავებაა მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის. უნდა გავაგებინოთ ის, რომ სააკაშვილი თავისი შეხედულებებით ისეთივე მემარცხენე და სოციალისტია, როგორიც, მაგალითად, ლეიბორისტული მოძრაობა ზოგ ქვეყანაში და რა თქმა უნდა, საქართველოშიც. იმ ტიპის ქვეყანას, როგორიც საქართველოა, მხოლოდ პოპულისტური მიზნებით დახარჯული მილიონები აუცილებლად დაანგრევს.

**- ახალ საპარლამენტო ოპოზიციაში მემარჯვენეები და მემარცხენეები როგორ თანაიცხოვრებენ?**

- არ ვიცი, რა მოხდება ადგილობრივი არჩევნებისას, მაგრამ ამ წუთის მდგომარეობით ეს მხოლოდ საპარლამენტო თანამშრომლობაა ე.წ. ღია კენჭისყრის პრინციპით. ჩვენ გვინდა გვქონდეს საერთო ხმა და ხელისუფლების გაუგებარ გადაწყვეტილებებს დავუპირისპირდეთ. მაგალითად, ისეთს, რომელიც გუშინ გავიგეთ ტელევიზიით - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევა ცვლილებები, რაც პროკურატურას და გამოძიებას ხელს უხსნის ერთადერთ იარაღზე, რომლითაც ადვოკატები პოლიციის ძალადობისგან კლიენტების დასაცავად იყენებენ. ელენე თევდორაძე ამბობდა, რომ ამ ცვლილებებით ჩხრეკის ოქმი საჭირო აღარ იქნებაო. დაწერილი ეს არ მინახავს და არ ვიცი, რა ხდება. ჩვენ პარლამენტში თანამშრომლობა გვინდა იმისთვის, რომ ხელისუფლებას ასეთ პრინციპულ საკითხებში დავუპირისპირდეთ. ფრაქციის არქონით ბევრ რამეს ვიყავით მოკლებულნი. თებერვალში პრეზიდენტი პარლამენტში მივა და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს ფრაქციას იქ გამოსვლის საშუალება მიეცემა. გაცილებით დიდ კატასტროფას ველი, ვიდრე შარშანდელი გამოსვლისას, როდესაც კირკიტაძე ეროვნულ გმირად მოგვევლინა.

ფრაქციის აუცილებლობა რეალობამ მოიტანა. იყო ერთი გადამწყვეტი მომენტიც – დღეს ოპოზიციის გარკვეული ნაწილი რევოლუციის დისკრედიტაციას და ანტირევოლუციური ტალღის გაძლიერებას ცდილობს.

**- კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

- "ლეიბორისტულ პარტიას" და "ახალ მემარჯვენეებს". დათო გამყრელიძემ გამოსვლებში ჯერჯერობით გაკვრით, მაგრამ აგდებულად მოიხსენია ის, რაც ნოემბერში საქართველოში ხდებოდა. ყველა, ვინც ნოემბერში გამოვიდა, მართალი იყო და მათ შორის, ჩვენც. შევარდნაძე უნდა წასულიყო. ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ამ ხელისუფლებამ პირველსავე დღეს დაუშვა, ეს იყო ის, რომ შევარდნაძე პატივით გაუშვეს პენსიაში და ხელშეუხებლობის გარანტიები მისცეს. არ ვამბობ, რომ სახლში უნდა მივვარდნოდით და ცეცხლი წაგვეკიდებინა მისი კოტეჯისთვის. მიხეილ სააკაშვილს უნდა ყოფნოდა ვაჟკაცობა და გაესამართლებინა რეჟიმი, რომელიც ამ ქვეყანაში 12 წლის განმავლობაში იყო და ეს აფხაზეთის ომით უნდა დაეწყო. გაესამართლებინათ იმისთვის, რაც ჭუბერზე მოსახლეობას დაემართა და მერე ეს სია კიდევ გაგრძელდებოდა. ეს არის ჩემი პოზიცია და არ არის შეთანხმებული პარტიაში. მინდა, ამ ქვეყანაში სულ ხუთი დღით მაინც ვიყო გენერალური პროკურორი...

**- თქვენი პირველი სამუშაო დღე როგორი იქნებოდა?**

- ირაკლი სიორიძის პროცესზე მოსამართლე გადაწყვეტილების გამოსატანად რომ გავიდა, პროკურორს ვკითხე, არ გეშინია, შენი დროც რომ მოვიდეს-მეთქი? ისიც ვუთხარი, მოხარული ვარ, ხელისუფლებას ახალი სოსო ალავიძე უპოვია-მეთქი. იმან ირონიულად მიპასუხა - "რა, სოსო ალავიძეს რამეზე პასუხი მოეთხოვა"? და ის მართალი იყო. სანამ ადამიანებს იმის შეგრძნება ექნებათ, რომ ლოიალობის მაღალი ხარისხის გამო არ დაისჯებიან, მანამდე ამ დღეში ვიქნებით. არ ვარ ციხეების გადავსების მომხრე, ამის მომხრე დღევანდელი ხელისუფლებაა და ამის მაგალითები გვაქვს. იმის მომხრე ვარ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ციხეში მჯდომი შევარდნაძე არაფერში მჭირდება, მაგრამ არც არაფერში მჭირდება შევარდნაძე, რომელიც გაზეთის ფურცლებიდან გვმოძღვრავს.

როდესაც შევარდნაძის ნარჩენებზე ვსაუბრობთ, არ იგულისხმება სახელმწიფო სტრუქტურებში იმ დროს მომუშავე ათასობით ადამიანი, ისინი არც კრიმინალები არიან და არც დამნაშავეები. საუბარია რეჟიმის გასამართლებაზე, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა, სამწუხროდ, უარი თქვა. ორი წელია, ხელისუფლებაში არიან და ლუსტრაციის კანონზე სიტყვა არ დასცდენიათ.

**- როდესაც ნოემბერში ერთად იყავით, მაშინ რა პოზიცია ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს?**

- არ ვიცი. მე მასთან არ ვიყავი, ეს "რესპუბლიკური პარტიის" ძველ ლიდერებს უნდა ჰკითხოთ.

**- თქვენი პარტიის წევრები, ნაცვლიშვილი და გელაშვილი მუდმივი ბრალდებების მიზეზია. რით პასუხობთ ამ ბრალდებებს? ოღონდ ნუ იტყვით, "მათაც ჰყავთ ასეთები და ა.შ."**

- არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, არ შემიძლია, არ ვთქვა მაია ნადირაძის ამასწინანდელ გამოსვლაზე "კურიერში". როდესაც ნაცვლიშვილი ჩვენ მთავარ პრობლემად ესახებათ, მინდა შევახსენო, რომ იმავე მინისტრის სხვა ორი მოადგილე ამავე ხელისუფლების მაღალ ეშელონებშია – ერთი მათივე ფრაქციის წევრი ბატონი ბაზღაძეა და მეორე აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ირაკლი ალასანია. ორივეს დიდ პატივს ვცემ და მათთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს. ნაცვლიშვილთან დაკავშირებით თუ სხვა ბრალდება აქვთ, მზად ვართ, განვიხილოთ და გარწმუნებთ, "რესპუბლიკური პარტია" იქნება პირველი, რომელიც დასაბუთებული ბრალდების შემთხვევაში განაჩენს გამოუტანს ნებისმიერ მის წევრს.

რაც შეეხება, გელაშვილს – ჩემი აზრით, ის არის ჩვეულებრივი ბიზნესმენი (ქართული გაგებით) და ძალიან წესიერი კაცია. არასდროს არ მქონია ურთიერთობა მილიონრებთან, ეს პირველი შემთხვევაა და მილიონრების შესახებ უარყოფითი სტერეოტიპი დამენგრა. ჩვენ სპეციალურად გამოვითხოვეთ დოკუმენტები ლიტვის შს სამინისტროდან და ლიტვაში მასზე არავითარი ფაილი არ არსებობს.

**- პარტიაში გაწევრიანებით თავისუფლების რა ხარისხი დაკარგეთ?**

- თავისუფლება არ დამიკარგავს, მაგრამ მოთმინება ვისწავლე და ეს ჩემთვის დიდი დანაკარგია. მე, რომელიც ყოველთვის ყველას პირში ვეუბნებოდი სათქმელს, ახლა რაღაცეებზე თავს ვიკავებ, თუმცა ეს პრინციპულ საკითხებს არ ეხება.



თუკი ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის, იქნებ, ჩვენი ხმა გაიგოს.

FM ცნობი 98.0

# ლაშა და ელექტრონული წიგნები

**ლაშა ბუღაძე:** ჩვენ დღეს, წიგნის ახალი სახეობის, ანუ ელექტრონული წიგნის შესახებ ვილაპარაკებთ. ჩემი დღევანდელი სტუმარი გამომცემელი მამუკა ხანთაძე გახლავთ. პირველი პრეცენდენტი უკვე შეიქმნა საქართველოში წიგნებისა, რომლებსაც დისკის სახე აქვს. თანამედროვე ტექსტების ელექტრონული ვერსიით გამოცემა დიდი ხანია, აპრობირებულია მთელს მსოფლიოში, თუმცა იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, ანუ ისტორიული ხმების გაცოცხლებას, ისინი არ ისახავენ მიზნად. ასეთი კომპიუტერული ტექსტები გახდა პოპულარული მას შემდეგ, რაც ძალიან აქტიურად დაიწყო მასზე ლაპარაკი მილორად პავიჩმა, მწერალმა, რომლის შესახებაც დღეს ასევე ვისაუბრებთ, რადგანაც ბატონ მამუკას ძალიან უნდა ამ ავტორის თბილისში ჩამოყვანა.

მამუკა, საიდან გაგიჩნდათ ელექტრონული წიგნების გამოცემის იდეა და საიდან მოიძიეთ საჭირო მასალები?

**მამუკა ხანთაძე:** თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, დღის წესრიგში დააყენა ასეთი ტიპის გამოცემების შექმნა. თავიდანვე ისმოდა კითხვები, ხომ არ იყო ეს წიგნის შემცვლელი. რა თქმა უნდა ეს აბსურდია. ვისაც უყვარს წიგნის კითხვა, მან ეს კარგად იცის. მე ვიცნობ ყველა უცხოურ ელექტრონულ გამოცემას, თუმცა ჩვენი გამომცემლობის საამაყოდ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის აბსოლუტურად სხვა ტიპის ელექტრონული წიგნები. ჩვენი ნამუშევრები არ არის იმისთვის, რომ მხოლოდ ტექსტს გაეცნოს მკითხველი. ექვსი პროექტი გვაქვს განხორციელებული და ყოველ მათგანში ავტორების თითქმის მთელი შემოქმედება არის ასახული, თავისი ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალით. ეს არის შეჯერებული შემოქმედებითი და ბიოგრაფიული მასალები. მე და ჩემს პარტნიორს, კახა დავითურს თავდაპირველად მოკრძალებული იდეა გვქონდა, გვსურდა ბავშვებისთვის მსახიობების მიერ წაკითხული ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებები ჩაგვეწერა, მაგრამ შემდეგ გამიჩნდა იმის ამბიცია და საშუალება, რომ უფრო სრულყოფილი გამოცემა გაგვეკეთებინა. ჩვენი პირველი პროდუქტი იყო გალაკტიონ ტაბიძის ელექტრონული, ხმოვანი წიგნი. დისკზე იყო შემოქმედება, ბოიგრაფიული ცნობები, აუდიო მასალა ავტორისა და მსახიობების შესრულებით, დოკუმენტური ფილმი, გალაკტიონის ჩანახატები და ჩანაწერები. ამჟამად უკვე გაკეთებული გვაქვს ასევე ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლადო ასათიანი და ქართული ფოლკლორი. ჩვენ მოვიძიეთ ის მასალა, რომელიც საქართველოს რადიოს ფონდებში ინახება და რომელთა მდგომარეობაც შემდგომი გამოყენების საშუალებას გვაძლევდა. ეს ექვსი დისკი არის ერთი მიმდინარეობა, რომელსაც დავარქვით "ლიტერატურა თანამედროვე კარცერლუქსისთვის." მეორე მიმდინარეობასაც ჩაეყარა საფუძველი, ეს არის "ერთი ქართული შედევრი". ეს წიგნი "ხასამბეგურაზეა", გავაკეთეთ ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრთან ერთად. ამ მიმართულებით მუშაობას განვაგრძობთ.

**ლაშა ბუღაძე**: არის სკეპტიკური დამოკიდებულება, რომ ინტერნეტი და ასეთი ტიპის გამოცემები ანაცვლებენ წიგნს. ხომ არ ხდება პირიქით, იმის მცდელობა ხომ არ არის, რომ ახალგაზრდას მისთვის უფრო საინტერესო ფორმებით ველაპარაკოთ და ამ გზით წიგნის აქტუალიზირება მოვახდინოთ?

**მამუკა ხანთაძე**: ამ ფორმამ გაამართლა, ახალგაზრდებს, მოზარდებს ძალიან მოსწონთ, მათი ლიტერატურით დაინტერესებისთვის კი ყველა ფორმა გამართლებულია. რა თქმა უნდა, ელექტრონული ვერსია ნამდვილ წიგნს არ ცვლის, ეს მხოლოდ მისი ერთ-ერთი ფორმაა და არანაირად მისი ალტერნატივა. თანაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ავტორისეულ დეკლამაციას მოვუსმინოთ.

**ლაშა ბუღაძე:** ბატონო მამუკა, თქვენ ერთ-ერთი პიონერი იყავით საქართველოში წიგნის საგამომცემლო საქმეში. მაშინ, ვგულისხმობ გასული საუკუნის 90-იან წლებს, ეს იყო აბსოლუტური ენთუზიაზმის სფერო, წიგნის ყიდვის აუცილებლობა აღარავის ახსოვდა, ბევრისთვის ეს ფანატიზმის კატეგორიაში გადავიდა. მაგრამ წიგნის გამოცემამ მეტ-ნაკლებად ჩვენთანაც მოიკიდა ფეხი. გაჩნდა წიგნის მაღაზიები და წიგნის მყიდველიც. თუმცა ეს ინფრასტრუქტურა არ სცილდება თბილისს. რა არის ამის მიზეზი, მხოლოდ ეკონომიკური მხარე? როგორ შეაფასებდით არსებული გამომცემლობების მუშაობას და საერთო ტენდენციებს? თუ შეგიძლიათ, თქვენი აზრით ყველაზე წარმატებული გამომცემელი დაგვისახელო?

**მამუკა ხანთაძე**: რამდენიმე ათეული ადამიანის წყალობით დაიწყო საქმე იმისთვის, რომ კარგი წიგნები ქართულ ენაზე გამოცემულიყო. უახლოეს მომავალში ეს ტიპურ მოვლენად იქცევა. საქართველო თავის ნიშას მსოფლიო საგამომცემლო საქმეში თავისებურად ავსებს. თუმცა ბუნებრივია, ჯერ შორს ვართ იმ ქვეყნებისგან, სადაც გამომცემლობების მუშაობა ერთ-ერთ ყველაზე საჭირო და პრესტიჟულ საქმედ ითვლება. ჩვენთან იგი ვითარდება, შესაძლოა სასურველ ტემპებში ვერა, მაგრამ პროცესი მაინც არის. სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება საგამომცემლო საქმე, აქტიურად მუშაობს გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, საავტორო უფლებებსაც ექცევა ყურადღება, ახალი თარგმანებიც იბეჭდება. ლიდერები ამ საქმეში ნამდვილად არიან: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, "დიოგენე", ლევან თითმერია, "საარი" და კიდეც ბევრი კარგი გამომცემლობაა. რაც შეეხება ჩვენი გამოცემების გავრცელების შეზღუდულ სივრცეს. ეს მხოლოდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე არაა დამოკიდებული. მაგალითისთვის, რუსულმა საგამომცემლო საქმემ, ძალიან მოკლე ხანში დიდ წარმატებას მიაღწია, ამის მიზეზი კი 1992 წლის საგამომცელო საქმისა და პოლიგრაფიის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა გახლავთ. იგი დაფინანსდა რამდენიმე მილიონი რუბლით, ათი წლის ვადით. ამ დროში ჩვენმა რუსმა კოლეგებმა ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწიეს. სხვათაშორის ამ პროექტის ავტორი ქართველი იყო. დღეს ეს ინდუსტრია ერთ-ერთი უძლიერესია რუსეთში. ანუ აქ სახელმწიფოს ხელშეწყობაზე უნდა ვისაუბროთ. რეგიონებში ახალი წიგნები ხომ საერთოდ არ ჩადის.

**ლაშა ბუღაძე**: სულ მალე გამოვა მილორად პავიჩის წიგნების ქართული თარგმანები. ეს მწერალი გახლავთ ძალიან ცნობილი პოსტსაბჭოურ სივრცეში და მოგეხსენებათ, საქართველოშიც. თუმცა მის შემოქმედებას აქამდე რუსულ ენაზე ვეცნობით. კონკრეტულად რომელი წიგნების გამოცემას აპირებთ, საინტერესოა, ამ ავტორის თბილისში ჩამოსვლა რამდენად რეალურია.

**მამუკა ხანთაძე**: ჩაფიქრებული გვაქვს მისი ყველა წიგნის გამოცემა. "ხაზარული ლექსიკონი" იგვიანებს. პირველ რიგში გამოიცემა "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინეპოლში" და "საწერი მოწყობილობების ზარდახშა." ორივე იუზა მეტრეველის არაჩვეულებრივი თარგმანია. ბატონი გურამ გოგიაშვილი მუშაობს "ხაზარულ ლექსიკონზე." მის გამოცემას იანვრისთვის ვაპირებთ და ამ დროისთვის ვვარაუდობთ მილორად პავიჩის თბილისში ჩამოყვანას. იგი ჩვენს წინადადებას სიამოვნებით დათანხმდა, ასე რომ, წინასწარი თანხმობა მიღებული გვაქვს. პავიჩი დაახლოებით ოთხი ხუთი დღით ჩამოვა და სავარაუდოდ დაინტერესებული საზოგადოებისთვის რამდენიმე ლექციასაც ჩაატარებს.

**ლაშა ბუღაძე**: პავიჩი ძალიან გავლენიანი მწერალია, მას კრიტიკოსები XXI საუკუნის მწერალსაც კი უწოდებენ, მისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული ფორმის გამო. თუმცა თვითონ ამბობს, რომ იგი არის ბიზანტიელი მწერალი, თანაც მართლმადიდებლური კულტურის მქონე. პავიჩი უარს ამბობს რომანის მეტაფორულ ფორმაზე, სადაც დაბადებაცაა და დასასრულიც, იგი ამბობს, რომ მის რომანებს აქვთ რამდენიმე კარი და რამდენიმე გასაღები, თუმცა იგი მხოლოდ ფორმაზე ორიენტირებული მწერალი არ გახლავთ. მილორად პავიჩი გახლავთ არასწორხაზოვანი ლიტერატურული თხრობისა და სტილის ფუძემდებელი, ამ ავტორზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება... პავიჩის ნაწარმოებები უამრავ ენაზეა ნათარგმნი და მათ რიცხვს უკვე ქართული ვერსიაც დაემატება. აქამდე მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა ითარგმნა, რომლებიც ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალებში დაიბეჭდა. მართლაც სასიამოვნოა, რომ ამ ავტორს ქართულ ენაზე ნათარგმნი წიგნების სახითაც გავეცნობით. სასიხარულოა ასევე, რომ ცნობილი უცხოელი მწერლების თბილისში ჩამოყვანის შესაძლებლობები გაჩნდა, როგორც ვიცი თქვენ მილან კუნდერას ჩვენთან ვიზიტზეც ფიქრობთ. ამას გარდა გარკვეული ურთიერთობები გაჩაღდა პატრიკ ზიუსკინდთან. მწერალი, რომელიც ემალება ჟურნალისტებსა და ფართო საზოგადოებას და რომელსაც მთელი მსოფლიო დაეძებს, შესაძლოა, მალე საქართველოში ჩამობრძანდეს.

## ლაშა ბუღაძის სვეტი

## „რე-აქცია", „თავისუფალი თემა"



**"რე-აქციის" წამყვანი**. (მიმართავს თანაშემწეს) ხუთშაბათს ჩაგვისვეს "რეაქციამდე" ერთი დღით ადრე...

**თანაშემწეები**. (ერთხმად, აღშფოთებულები არიან) რაო?! ნუ რა წესია ეხლა ეს!.. ჩვენ პარასკევს გავდივართ და ეგენი ხუთშაბათს, არა?!

**"რე-აქციის" წამწვანი**. თემების წართმევაც უნდათ და სტუმრებისაც!

**თანაშემწეები.** (კვლავ ერთხმად) ჩვენ სტუმრებს ვერავინ წაგვართმევს!

**"რე-აქციის" წამყვანი**. "რე-აქცია" ოთხშაბათს ხომ არ გადმოვსვათ?! "თავისუფალ თემამდე" ერთი დღით ადრე...

**თანაშემწეები**. სამშაბათს გადმოიტანს!

**"რე-აქციის" წამყვანი**. ნუ, მაშინ ახლავე დავიბევოთ ორშაბათი!

**თანაშემწეები**. მართალია! კვირას გადაცემის გაშვებას ხო ნამდვილად ველარ იკადრებს!.. არაადამიანი ხო არაა, ნუ!

...

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. (თანაშწემწეებს მიმართავს) გაიგეთ, რა თემები ექნება პარასკევს, რო ხუთშაბათს გავაკეთოთ!..

**თანაშემწეები**. ვაიმე, როგორ?!..

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ნუ, ვერ გრძნობთ ინტუიციით? რაში იღებთ ხელფასს?!

**თანაშემწეები.** სტუმრები!.. მთავარია სტუმრები წავართვათ!

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ამ პარასკევს ვინ ეყოლება?

**თანაშემწეები.** მამა-შვილი ბუღაძეები!

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. არ შეგვჭამა ამ მამა-შვილმა!.. მამა გადმოიბირეთ, შვილი მიუგდეთ!

**თანაშემწეები.** ეგ ისეთი ხალხია, აქაც მოვლენ და მეორე დღეს იმ გადაცემაშიც მივლენ...

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ნუ, ხამები რა!.. კიდე ვინ ეყოლება?

**თანაშემწეები**. ასევე მამა-შვილი გაბაშვილები... ძმები გოჩა და მანუჩარ მაჩაიძეები და და-ძმა ბენდუქიძეები...

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. და წაართვით! ხალხი არ იცნობს!..და ბარემ თემაც მოვიფიქროთ!

**თანაშემწეები**. ნუ, აი, მაგალითად, ეს თემა: რატომ არ შეუძლია ხალხს საქართველოში ტელევიზიის გარეშე ცხოვრება? პრობლემაა თუ არა ეს? რატომ ითვლება ასე, რომ პოლიტიკოსებისთვის, საქართველოში, ყველაზე მნიშვნელოვანი საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში გამოჩენაა?! რატომ ღელავს პრეზიდენტი ყველაზე მეტად იმაზე, თუ როგორ გამოჩნდება საღამოს ჩართვაში?! გვყავს თუ არა მედია-ჩინოვნიკები?!

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ძაან გრძლად გამოგივათ...მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, ნუ ილაპარაკებთ, სახლიდან არ გამოხვიდეთ, ოჯახის წევრებსაც არ შეხედოთ თვალებში, დიღომთან ახლოსაც არ გნახოთ ჩავლილები!

**თანაშემწეები.** ამბობენ, პატარკაციშვილმა ტელეპატები დაიქირავაო... რო გამოიცნონ რას ვაკეთებთ, მერე რაღა გვეშველება!

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. უი, ტელეპატებზე ხომ არ გავაკეთით?!.. ოტია იოსელიანი ჩავრთოთ - ხალხს გააცინებს...

**თანაშემწეები**. არ გამოვა... მუდმივად "რე-აქციაშია" ჩართული... უფრო სწორად, მიერთებული...

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. მაშინ, ჩიბუხი მაინც გამოგვიგზავნოს... ჩიბუხი და სვანური ქუდი - ჩვენ... კაცი - იმათ!

**თანაშემწეები.** ან პირიქით...

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ნეტა, დენი მაინც გამოირთოს ქალაქში პარასკეობით!

**თანაშემწეები.** ვერ ჩავაწყობთ?

**"თავისუფალი თემის" წამყვანი**. ჩაწყობით კი ჩავაწყობთ, მაგრამ არ ვიკადრებთ...

**თანაშემწეები.** ნუ, მოკლედ, რა ბედნიერად ცხოვრობდა ხალხი გასულ საუკუნეებში... არ გადაგვიყოლა ამ ტელევიზორმა!..

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **ნუკრიანის** განვითარების სათემო კავშირთან **"ნუკრიანი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ნუკრიანი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
საქართველო, **სიღნაღის რაიონი,**
სოფ. **ნუკრიანის, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **ილია გოგინაშვილი** -სათემო კავშირი **"ნუკრიანი"**-ს თავჯდომარე
2005 წლის 2 ნოემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 3200 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, **სიღნაღის რაიონი,**
სოფ. **ნუკრიანის, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **ილია გოგინაშვილი** -სათემო კავშირი **"ნუკრიანი"**-ს თავჯდომარე
2005 წლის 2 დეკემბრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:30** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სიღნაღის რაიონის სოფ. საქობოს წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **საქობოს** განვითარების სათემო კავშირთან **"საქობო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"საქობო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
საქართველო, **სიღნაღის რაიონი,**
სოფ. **საქობოს, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **მაია ყოჩიაშვილი** -სათემო კავშირი **"საქობო"**-ს თავჯდომარე
2005 წლის 2 ნოემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2500 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, **სიღნაღის რაიონი,**
სოფ. **საქობოს, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **მაია ყოჩიაშვილი** -სათემო კავშირი **"საქობო"**-ს თავჯდომარე
2005 წლის 2 დეკემბრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

### შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, ნავთლუღის ქ. N6-ში მდებარე 3-ოთახიანი ბინის რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N52.
- სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასი შეადგენს 17 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს პუბლიკაციიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ტურბოგენერატორის რეალიზების შესახებ.**

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა  52.
- სარეალიზაციო ქონება- ტურბოგენერატორი გამოშვების წელი 1994,  НЭГЖ 874081 ПАЭС - 2500კვტ
- საწყისი ფასი შეადგენს 35 000 აშშ დოლარს
საკონკურსო პირობები:
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს პუბლიკაციიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

# დაცული ტერიტორიის დაცლილი მდგომარეობა

პირველი გვერდიდან

დღეს თუშეთს ბართან მხოლოდ 40 კომლი აკავშირებს. ეს ის ოჯახებია, რომლებიც ზამთარშიც მთაში რჩებიან და გაზაფხულამდე ასე, "ბელურობით" ინახავენ ქვეყანას. მერე ბარელებიც ამოდიან საქონლით და იწყება გაციებული თუშეთის გათბობა. ძირითადად, თოვლისგან და ყინვისგან ჩატეხილი სახურავების შეკეთება მიმდინარეობს. შეაკეთებენ–შემოაკეთებენ, კარტოფილს მოიყვანენ, ყველს დააგროვებენ და ზაფხულიც თავდება. სამაგიეროდ, იწყება უბორბლო ქვემიგრაცია – მატყლი და საოჯახო ნივთები მამა-პაპურად ცხენებით ჩამოაქვთ ძირს. მანამდე კი, სამხიდიანი სატვირთოებით კარტოფილსა და ყველს ეზიდებიან, თითო ტომარას 6 ლარად. განა ბარში ცუდად ცხოვრობენ? – ღვინოც აქვთ და პურ-მარილიც, მაგრამ სხეულით რომ აქ მოყუჩდებიან, გულით და გონებით იქ რჩებიან და ჩვენი მთაბარივით ასე სულჩაწყვეტილები არიან გზის გახსნამდე. გზა კიდევ ძალიან გვიან იხსნება, წელს ივნისამდე არ დაადგა საშველი.

შენაქოში სამი კომლი ცხოვრობს. დღემდე ეს დიდი მიღწევა იყო, მაგრამ წელს ერთი ოჯახი ბარში ჩამოვიდა და მეორესაც აუშალა სალერღელი. კაკო ბოქვაიძე კიდევ ამბობს, თუ ესეც წავიდა, მეც ველარ გავჩერდებიო. არადა, კაკო ბოქვაიძე 30 წელია თუშეთს არ გასცილებია და იმისთანებიც თუ დაბლა ჩამოვყარეთ, მერე თუშეთის დასაბრუნებლად მოგვიწევს სირბილი გაეროში.

ჯერჯერობით, მცდელობაა, რომ თუშეთი საქართველოს გრანტების საშუალებით მიაწებონ და ამის შესახებ ორიოდ კომენტარს შემოგთავაზებთ.

ლევან გოგოთიძე, სათემო კავშირის "ლეკოანის" თავმჯდომარე: **"მომავალ გაზაფხულზე, გზები რომ გაიხსნება, ხისოში დავიწყებთ მცირე ჰესის მშენებლობას, რომელიც ელექტროენერგიით ჭანჭახოვანის თემს და სოფელ ომალოს მოამარაგებს. პროექტს აფინანსებს მსოფლიო ბანკი და სამხარეო ადმინისტრაცია. ჰესის მშენებლობა ორ თვეში უნდა დამთავრდეს."**

რატი ჯაფარიძე, დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორი:

**"საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. მისი მიზანია საქართველოში უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ბრძნული გამოყენების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება.**

**თუშეთიც დაცული ტერიტორიაა და ჩვენი პროექტის ამოცანაა იქ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიზნით, თუშეთში უცხოელები და ქართველი ტურისტული ოპერატორები ჩავიყვანეთ. სამწუხაროდ, ამ მშვენიერი კუთხის შესახებ ინფორმაციას უცხოეთში კი არა, საქართველოშიც ძალიან ცოტა ადამიანი ფლობს.**

**ჩვენ უნდა მივცეთ თუშეთის მოსახლეობას გარკვეული შემოსავლის წყარო. თუშებს საოჯახო სასტუმროების მოწყობაში ვეხმარებით, რასაც 50 პროცენტით ვაფინანსებთ. დღეისათვის თუშეთში 15 ასეთი სასტუმროა. ამას გარდა, ზოგიერთ ოჯახს ცხენების და აღკაზმულობის შეძენაში დავეხმარეთ."**

ეგ არის და ეგ. თუმცა, ცოტა არ იქნება, ერთი გრანტიც თუ დაემატება გზისთვის.





















გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

# ჯანეტ ჯექსონს „ახალი" შვილი ჰყავს



მომღერალ ჯანეტ ჯექსონს ჯეიმს დებარჟისგან 18 წლის ქალიშვილი ჰყავს. ეს ინფორმაცია ნიუ იორკის ერთ-ერთი რადიოს ეთერით გავრცელდა. ჯექსონისა და დებარჟის შვილი, რომელსაც რენე ჰქვია, ჯანეტის უფროს დასთან, რები ჯექსონთან ცხოვრობს. ის მშობლებს ჰგავს და "მშვენივრად" მღერის. ჯეიმს დებარჟი რიტმ-ენ-ბლუზის ჯგუფის სოლისტია, რომელიც 1978 წელს ჯერემი ჯექსონმა, ჯანეტის ძმამ დაარსა. მაშინ დებარჟმა მაიკლ ჯექსონის 18 წლის დაზე იქორწინა. მათ ერთად რამდენიმე თვე იცხოვრეს, 1985 წელს კი გაიყარნენ. ამბობენ, მიზეზი დებარჟის ნარკოტიკებისადმი ლტოლვა იყო... მაგრამ, თუკი ჯანეტ ჯექსონის ქალიშვილი 18 წლისაა, გამოდის, რომ ის 1986-1987 წელს დაიბადა, ანუ ცოლ-ქმრის გაყრიდან ორი წლის შემდეგ. მეორე მხრივ, ჭორები იმის შესახებ, რომ ჯანეტს "გასაიდუმლოებული" შვილი ჰყავდა, ყოველთვის ვრცელდებოდა და შესაძლებელია სიმართლეც იყოს.

1991 წელს მომღერალმა ფარულად იქორწინა რენე ელიზონდოზე, რომელიც მისი რამდენიმე სიმღერის თანაავტორიც გახდა. 1999 წელს ეს ქორწინებაც გაყრით დამთავრდა.

# შეიხედე გენაცვალე

სანდრო ნავერიანი

*შემოიხედე გენაცვალეო, ასე გეუბნებიან, ხინკალი გვაქვს მაგარიო, მწვადიცო და ქაბაბიცო.*



გუშინ თბილისში ახალი სახინკლე გაიხსნა – "შემოიხედე გენაცვალე". ხინკალი – უგემრიელესი (ჯერჯერობით); მწვადი – გემრიელი; ქაბაბი – ყველაზე გემრიელი. კარგი იყო: ხინკალიც, მწვადიც, ქაბაბიც... მაგრამ, მომსახურება მოიკოჭლებდა. ალბათ, იმიტომ, რომ პრეზენტაცია იყო და რასაც ქართველები ვეძახით – "მუქთა გულაობა".

მოკლედ, მივედი, "ჩავაკარტოჩკე" მიწვეული "ზნამენიტოსწები": დევიდ გომართელი, ჯორჯ ჰუციშვილი, ლაილა მესჰი... ბევრნი იყვნენ, ბევრნი – ისეთები, ვისაც ხინკალი უყვარს. და მერე:

GMC Group- ს ისედაც ვაფასებდი (ბოულინგ ცენტრის გამო) და ახლა უფრო მეტად ვაფასებ. ვხედავ, რომ ეს ხალხი თავის თავის გარდა, სხვაზეც ზრუნავს: გემრიელი კერძები, იდეალური ინტერიერი, არაჩვეულებრივი ატმოსფერო და სტუმარ-მასპინძლობა ჯიგრული.

ლადაობა (გაკრული) იქით იყოს და ისევ იმ სახინკლეს დავუბრუნდები: ერმაკოვის ფოტოები, ძველთბილისური, ყარაჩოხლური ატმოსფერო საშუალებას გაძლევს მოილხინო. მოილხინო ისე, რომ საბოლოოდ "შემოიხედე გენაცვალედან" ნაწყენი, გულგატეხილი, დაბოღმილი და გაბრაზებული არ წამოხვიდე.

მენიუ, როგორც ორგანიზატორები პრესრელიზში გვამცნობენ, ორიგინალურად არის მოწოდებული – როგორც ძველებური ცნობის ფურცელი. ცენტრალურ დარბაზში ანსამბლი "ძველი თბილისი" დუდუკებზე შეასრულებს ქართულ მელოდიებს. ამას გარდა, თურმე, დილაადრიანად, პირველი ხინკალი "იმედის დილის" ეთერში ნინი ბადურაშვილს მოუმზადებია (WOW მეხინკლე ნინის), მაგრამ...

მაგრამ ის, რომ მე პატივს ვცემ GMC Group-ს, რადგან მათ არასდროს ავიწყდებათ ქველმოქმედება; გაჭირვებული ქართველები და ის ადამიანები, რომლებიც 28-ლარიან პენსიაზე ცხოვრობენ: შემოსავალი სათნოების სახლს გადაეცემა!!!

**P.S**. "ძველად უთქვამთ, ალიონზე სირაჩხანისკენ ჩამვლელ ყარაჩოხელებს მედუქნე დილის მადლის შესაწევნად ლოცავდა და გულღიად ეგებებოდა - ჩემთან "შემოიხედეთ გენაცვალეო". მედუქნეს ნამდვილი სახელით აღარც მოიხსენებდნენ, "შემოიხედე გენაცვალე" შეარქვეს და დღე ისე არ გავიდოდა, სტუმრად არ წვეოდნენ. ისეთი მადლიანი დალოცვა იცის, დღეგრძელობა და ბარაქა არ მოგვაკლდებაო. მერე ქალაქმა იერსახე იცვალა და მედუქნეც თავის დუქანთან ერთად ისტორიას ჩაბარდა."

**P.P.S.** ხინკალი მართლა მაგარია: თხელი ცომით; დაკეპილი ხორცით; ალბათ, ერთი-ოცი (!) ნაოჭით და პატარა კუჭით; გემრიელი, უგემრიელესი ხინკალია ამ სახინკლეში!

ასე რომ, "შეიხედე გენაცვალე", ოღონდ, რომ შეიხადავ შეყევი, არ დათმო, უსახსრობას არ აჰყვე – ჭამე ხინკალი (მაწვადი, და რაც მთავარია – ქაბაბი)!

# არატოტალიტარული პანო მოდელირებული სივრცით

## ჰიმნი თბილისს და სხეულს არტში

სოფო კილასონია



უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც უნივერმაღი რუსთაველის გამზირს, ნაცვლად უსახური კედლისა, ძალიან მეტყველი და ხალისიანი პანოთი გადმოჰყურებს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შიდა ეზოდან ამ ადგილას უწინ არსებული კავკასიური თეატრალური საზოგადოების შენობის, კლასიცისტური ფასადი იმზირება. ეს ყოველიმე ჩვენს ქალაქში ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა. ისე უეცრად, რომ არაერთმა დაბნეულმა, დაღლილმა ან შეყვარებულმა ადამიანმა, ვერც კი შენიშნა. თუმცა გარკვეული იდეები ბატონ გია ბუღაძეს ორი წლის წინ გასჩენია. მაშინ კედელზე საკუთარი ნახატის დამონტაჟებას ვარაუდობდა, მაგრამ მას შემდეგ სურვილებს ფერი უცვლია, იდეა კონკრეტულ პროექტად ქცეულა. ბოლოს კი სულ სხვა მედიებით დაინტერესებულა მხატვარი.

**"მე, კაცი, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრება სტაციონალური იდეის მატარებელი ვიყავი და ყველაზე აქტიური კედლის მხატვარი გახლავართ საქართველოში, ამჟამად სულ სხვა საკითხები მაინტერესებს. ამიტომაც მულტიმედიური ფორმით გავედი სივრცის მოდელირებაზე და მის დამუშავებაზე. ეს კარგი თემაა და ჩემთვის ძალიან საინტერესო,"**- ეს სიტყვები გია ბუღაძემ ჩემთვის პანოსთან დაკავშირებით ნამდვილად არ უთქვამს, თუმცა შესაძლოა ის და კიდევ სხვა მისი ბოლო პერიოდის აქცია-ნამუშევრები ამ კონტექსტში ვიგულისხმოთ და ეს ალბათ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, სანამ რუსთაველის გამზირზე "დამონტაჟებულ არტს" დავუბრუნდებით.

უკვე არაერთი წელია, რაც 24 სექტემბერის დღე გია ბუღაძისთვის ერთ ტრადიციასთან, ერთგვარ საანგარიშო გამოფენასთან ასოცირდება. თითქოს და წელს ეს ტრადიცია სამუდამოდ უნდა დაერღვია მხატვრას, მაგრამ ასე არ მოხდა. მიუხედავად ამისა, ყველაზე მთავარი ფორმები და დამოკიდებულება მაინც შეცვალა. ბუღაძის ტრანსფორმირებული ხელოვნება ამჯერად გალერეა "უნივერსში" ვიხილე, მე იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიგში აღმოვჩნდი, ვინც პირადი ნაცნობ-მეგობრობის წყალობით გია ბუღაძის პერსონალურ გამოფენასა და ერთ უჩვეულ აქციაზე, მისი გახსნიდან მეორე დღეს მაინც აღმოჩნდნენ. არც აფიშა-პლაკატი, არც რაიმე ანონსი. უბრალოდ გალერეა "უნივერსის" ოდნავ შეღებული კარი. მის ნამუშევრებს იქაურობა ბევრად უფრო უხდებოდა, ვიდრე "ძველი" და "დიდი" გალერეები. მეტი სივრცე, მეტი საშუალება ღრმად ამოისუნთქო, შუქი დაინახო, ფერი შეიგრძნო და ხმოვანი ინსტალაცია გაიგონო.

სიტყვა გამოფენა ვახსენე და ალბათ შევცდი, სექტემბრის მიწურულს გია ბუღაძემ და მისმა ახალგაზრდა მეგობარმა, რეჟისორმა და ფოტოხელოვანმა გიორგი ბანძელაძე-მატაბელმა სხვადასხვა მედიების დახმარებით საინტერესო პროექტი წარმოგვიდგინეს. პირველ დარბაზში მხატვრის გრაფიკული ნამუშევრების, შუქის დაცემით ვიზუალურად ამოძრავებული საკმაოდ დიდი ბანერები დაგვხვდა, მეორე დარბაზში კი უკვე სივრცეში გაშლილი, უფრო სწორედ სივრცეში ინსტალირებული ბუღაძის პესონაჟები შემოგვეგებნენ. დარბაზში ჩამოკიდებული მატერიები, რომლებზეც სლაიდოსკოპით ნახატების დეტალები შუქდებოდა და ერთ-ერთ კედელზე ახალგაზრდა ხელოვანის ვიდეოინსტალაცია მიმდინარეობდა, ეს ყოველივე დამთვალიერებელს მეტი მოძრაობისკენ და მეტი თავისუფლებისკენ მოუწოდებდა.

გია ბუღაძე: **"ეს არის ტრაქტატი სხეულზე, როგორი და რამდენაირი შეიძლება იყოს სხეული არტში. არა ფიზიკური სხეული, არამედ მისი ანაბეჭდი, გამოსახული ანარეკლი. ჩვენ გვინდოდა ადამიანის სხეულის მოდიფიკაცია სხვადასხვა მედიუმში. გიორგი ჩემთვის აღმოჩენად იქცა, მიუხადავად იმისა, რომ მას ბავშვობიდან ვიცნობ. მან დიდი ოსტატობით შეასრულა ინსტალაცია, სადაც ჩვენმა იდეამ არაჩვეულებრივად შეისხა ხორცი."** მხატვრის სხვადასხვა მიმართულებებისა და სივრცისადმი ინტერესმა თავისთავად გამოხმაურება ქალაქის ახალ პანოსა და მის გარშემო განხორციელებულ პროექტშიც ჰპოვა. უნივერმაღის კედელზე არა ნახატი, არამედ კომპიუტერული ფოტო სინთეზი განთავსდა. პირველი რაც აივნების შემდეგ თვალში გვეცემა ფერები და მოძრაობაა. დინამიკა, რომელსაც აივნების სხვადასხვა მიმართულებები, რაკურსები, სიმაღლეები და მასშტაბები ქმნიან. თუმცა საღამოს, უკვე შებინდებულზე ამ დინამიკას ორმხრივი განათება კიდევ უფრო აძლიერებს და ამშვენებს. მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ბუღაძისა და არტლაინის ერთობლივი პროექტი. მათ მიერვე დამონტაჟდა ნეონის ნათურები, შენობის გარე კოლონადის თავზე და რაც ყველაზე საინტერესოა - მეორე პანო, რომელიც თეატრის შიდა ეზოს მთავარ ფასადად იქცა, მკრთალად წარმოდგენილი ძველი შენობის პირისახე", რომელის დანახვაც რუსთაველის გამზირზე გამვლელებსაც შეუძიათ.

გია ბუღაძე: **"წინა პანოს ჰქვია "ჰიმნი თბილისს", თავიდან ვფიქრობდი, სოლოლაკის რომელიმე ხედი წარმოგვედგინა, თუმცა მივხვდი, რომ მის მსგავს ხედებს, იუგენ სტილისა და კლასიცისტურის სინთეზს, ბაქოშიც ვხედავთ და ოდესაშიც გვხვდება. თბილისისთვის დამახასიათებელი პირველ რიგში აივანია. ეს არ არის ტოტალიტარული პანო, იგი არსობრივად დემოკრატიულია, ძალიან მობილურია და როცა მოგვბეზრდება მარტივად სხვა რამით შეგვეძლება შევცვლა. ამ ეტაპზე კი ერთად წარმოვადგინეთ ნოსტალგია და ის თბილისი, რომელიც ერთ დროს საქართველოს სახეს ქმნიდა."**

თუ ჩემსავით სხვამაც ძალიან გვიან დაინახა გია ბუღაძისა და არტლაინის ერთობლივი ქმნილება, რომელიც ერთდროულად თურმე თანამედროვე არტიცაა, ძველი თბილისიც და დემოკრატიული აზრიც ხელოვნებაში, მაშინ პირადი გამოცდილებიდან ვურჩევ ყველას ამ სანახაობას ღამით ჩაუსაფრდეს, რათა სრული ეფექტი დაინახოს და ნოსტალგიაც გაუჩნდეს.







ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

მეუღლე აიდა სვანიძე, შვილები გიორგი, შალვა შარაშენიძეები, და ლიანა შარაშიძე, რძლები ეკა მიგრიაული, ქეთი ფირცხალავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ შალვას ძე შარაშენიძე**

პანაშვიდი: 1 და 2 ოქტომბერს 16.00 საათზე
გამოსვენება 3 ოქტომბერს 14.00 საათზე

**მის: ძმები ზუბალაშვილების N30.**
**პირველი სადარბაზო. მე-2 სართული.**